



სოხუმში გარდაცვლილი გმირები ავტორი მარინა ნაჭყეზია აფხაზეთის ომის 1992-93 წლების მკვლევარი



თემური მიხეილის ძე სალთხუციშვილი

დაიბადა 1963 წლის 2 მაისს ქ.თბილისში. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-8 ბატალიონში.

იბრძოდა აფხაზეთში. სოხუმში სოფელ ცუგუროვკასთან დაიკარგა უგზო-უკვლოდ.



ირაკლი ბარნოვი

(1968-1993)

პოლიციის ლეიტენანტი ირაკლი კონსტანტინეს ძე ბარნოვი დაიბადა 1968 წლის 14 თებერვალს, ქალაქ თბილისში. 1986 წელს დაამთავრა ქ.თბილისის N5 საშუალო სკოლა. 1986-1988 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ, 1988 წლის 14 ივლისიდან მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში-მთავრობის დაცვაში, ქ. თბილისის ყოფილი ორჯონიკიძის რაიონის შს რაიონულ განყოფილებაში. 1990 წლის პირველი სექტემბრიდან 1991 წლის 10 ოქტომბრამდე სწავლობდა შსს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე.

1991 წლის 11 სექტემბრიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა პოლიციელად ქ. თბილისის შსს წყალმომარაგებათა ნაგებობების დაცვის პოლიციის ლეიონში.

1992 წლის აგვისტოში პოლიციის თანამშრომლებთან ერთად მივლინებულ იქნა აფხაზეთის რეგიონში, საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად.

1992 წლის 25 აგვისტოს სოხუმის რაიონში, აგუძერასთან, საბრძოლო მოქმედებების დროს 24 წლის ირაკლი ბარნოვმა მძიმე ტრავმა მიიღო. სეპარატისტები აქტიურად უტევდნენ სოხუმს. მტრის ნაღმის აფეთქების შედეგად იგი გადმოვარდა ბეტეერიდან და ელენთა დაუზიანდა, ჭრილობა საბედისწერო აღმოჩნდა. მძიმედ დაჭრილმა ირაკლიმ ამოასვენა ღრმა ხევში გადაჩეხილი საკუთარი მეთაურის ცხედარი.

მიუხედავად მრავალი ქირურგიული საოპერაციო ჩარევისა, ირაკლი 1993 წლის 31 იანვარს მძიმე პერეტონიტის შედეგად გარდაიცვალა.

ირაკლი ბარნოვის სახელი ამოტვიფრულია შსს თბილისის დიღმის სამმართველოს მემორიალურ დაფაზე.



დავით მიხეილის ძე ზურაბაშვილი

დაიბადა 1962 წლის 7 დეკემბერს ქ.დუშეთში. 1991 წლიდან იბრძოდა სამაჩაბლოში. იყო „ავღანელთა კავშირის“ ბატალიონის შემადგენლობაში. 1992-93 წლებში იბრძოდა აფხაზეთში. 1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას წარმოებულ ბრძოლისას უგზო-უკვლოდ დაიკარგა.



გიორგი (გუგა) რევაზის ძე გურგენიძე

დაიბადა 1965 წლის 1 იანვარს ქ.თბილისში. მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალ გია გულუას სახელობის პოლიციის სპეციალური დანიშნულების სამმართველოში.

იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. დაიღუპა 1993 წლის 4 ივლისს აფხაზეთში მდინარე გუმისთასთან მიმდინარე ბრძოლის დროს.

დაჯილდოებულია :სიცოხლეში_ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით და გარდაცვალების შემდგომ_ მხედრული მამაცობის ორდენით.



ივან მიხეილის ძე ცერცვაძე
(დ. 1952, თბილისი, – გ. 23 სექტემბერი, 1993, სოფ. თავისუფლება)

— ქართველი სამხედრო მფრინავი, პოლკოვნიკი. დაამთავრა ჩერნიგოვის უმაღლესი სამხედრო-საჰაერო სასწავლებელი.

1972–1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელ პოლკში.

1985 წელს დაამთავრა გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია. 1985 წლიდან იყო პოლკის მეთაური, შემდეგ საავიაციო უზრუნველყოფის ცენტრის უფროსი. მიენიჭა პირველი კლასის მფრინავისა და სამხედრო მფრინავ-გამომცდელის წოდებები.

1992 წლის 18 ივნისს დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად. მის მიერ 1992 წლის 19 სექტემბერს სუ-25-ით განხორციელებული გაფრენა ითვლება საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების დაბადების თარიღად. ხელმძღვანელობდა საჰაერო ოპერაციებს აფხაზეთში კონფლიქტის დროს. პირადად ასრულებდა საბრძოლო გაფრენებს.

1993 წლის 23 სექტემბერს მისი სუ-25 ჩამოაგდეს სოხუმის რაიონში, სოფელ თავისუფლებასთან. ცერცვაძე დაიღუპა.

სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი (1993).



ზვიად (თემურ) ჯანჯღავა

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, რიგითი ჯანჯღავა ზვიადი (თემური) დუნდუს ძე ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის საავტომობილო ოცეულის მძღოლად 1993 წლის 1 მარტიდან (ბრძ. N187, 25.04.93 წ.)

ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში და ერთ-ერთი ოპერაციის დროს 1993 წლის 2 მარტს გმირულად დაიღუპა სოფელ აჩადარაში.

დაჯილდოებულია მედლით «მხედრული მამაცობისათვის» (სიკვდილის შემდეგ) მოწმობა N00499.



თამაზ (რაულ) ჯანჯღავა

ჯანჯღავა თამაზი მელენტის ძე, 1992 წლის ნოემბრიდან მსახურობდა სოხუმის გარნიზონის სამხედრო კომენდატურის გულრიფშის ქვეგანაყოფში სამორიგეო ნაწილში.

თ. ჯანჯღავამ აფხაზეთში საომარი მოქმედების პერიოდში გამოიჩინა თავი, როგორც საქართველოს მთლიანობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. ის პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ყველა დავალებას. გამორჩეულია მისი თავგანწირვა 1993 წლის სექტემბერში გულრიფშის დაცვის დროს, დაჭრილი მეომრების ევაკუაციისას. 22 სექტემბერს ბაბუშერის აეროპორტში დაჭრილი მეომრების გადაყვანისას, მოწინააღმდეგის მიერ აფეთქებულ თვითმფრინავში, ჩაიფერფლა მისი სიცოცხლე.

1997 წელს თ. ჯანჯღავას ნეშთი სხვა დაღუპულებთან ერთად გადმოასვენეს ქ. თბილისში. დასაფლავებულია ძმათა სასაფლაოზე.

კვლავ დასტირის ქართლის დილა
მტრედებს, ტყვიით დახოცილთ
უშენობით დაღლილი ვარ,
შენი სისხლი და ხორცი.
აფხაზეთო, თუნდაც ეს დრო
უცხო ფრთის ქვეშ ათენო,
არ შეშინდე, არ არსებობს
უშენო საქართველო!

ედუარდ უგულავა



ლაშა ჯანხოთელი

ჯანხოთელი ლაშა ვლადიმერის ძე, დაბადებული 1971 წლის 26 მარტს, ქართველი, განათლება – დაუმთავრებელი უმაღლესი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ეკონომიკური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

ლ. ჯანხოთელი 1993 წლის 21 ივნისიდან, მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის ს/ნ 10152-ის ცალკეული ქიმიური დაცვის «ქაქუცა ჩოლოყაშვილის» სახელობის ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილედ.

მინიჭებული ჰქონდა ლეიტენანტის სამხედრო წოდება. ლ. ჯანხოთელი გამოირჩეოდა მინდობილი საქმისადმი მტკიცე პროფესიულობით. ასრულებდა სამხედრო ხელმძღვანელობის მითითებებსა და დავალებებს, უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სამხედრო ოპერაციაში. ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშში, გუმისთაში.

ლ. ჯანხოთელი იბრძოდა სოფ. შრომისათვის. მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული საარტილერიო დაბომბვისას ლ. ჯანხოთელი მძიმედ დაიჭრა გულ-მკერდის არეში.

1993 წლის 6 ივლისს მიუხედავად ექიმების მცდელობისა, ლ. ჯანხოთელი გარდაიცვალა ქ. სოხუმის ჰოსპიტალში, მიყენებული ჭრილობებისაგან.

ლ. ჯანხოთელი დაკრძალულია ქ. სოხუმში «კაშტაკის» სასაფლაოზე.



სოზარ და გივი ხვადაგიანები

(მამა – შვილი)

სოზარ ხვადაგიანი 1952 წლის 16 თებერვალს დაიბადა ცაგერის რაიონის სოფ. ზოგიშში, სკოლის დამთავრების შემდეგ გერმანიაში მოიხდა სავალდებულო სამხედრო სამსახური. მერე დაოჯახდა, შეეძინა ორი შვილი.

აფხაზეთის ომის დროს, ქალაქის მაშინდელი მერი ოთარ ლითანიშვილი გამოვიდა ტელევიზიით და გამოაცხადა, რომ აყალიბებდნენ დივიზიას «თბილისელი», სოზარი დაუფიქრებლად ჩაეწერა მოხალისედ, – გვიამბობს მეუღლე, ქალბატონი რიმა, – ამ დროს ჩემი ბიჭი, გივი, მე-11 კლასში იყო და სიხარულს ვერ ფარავდა: დედი, მამაჩემი ჯიგარი კაცია, კაცური საქმე გააკეთა, აფხაზეთში მიდის საომრადო. სოზარმა ვაჟკაცურად მოიხადა თავისი სამხედრო ვალი, 1992 წლის 26 დეკემბერს, ტყვარჩელის მისადგომებთან სნაიპერის ტყვიით გულგანგმირული დაეცა ბრძოლის ველზე. პატარა გივიმ მოსვენება დაკარგა, შურისძიება ჩაიდო გულში. ისნის კომისარიატში მივიდა და ეხვეწებოდა კომისარს, მეც წამიყვანეთ, მამაჩემის ადგილი უნდა დავიკავო, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. ტიროდა, არ ისვენებდა, ოფიციალური ჯარისკაცის სახელით სურდა საომრად წასვლა. როგორღაც მოახერხა მაშველთა კორპუსში ჩაწერა. თანამებროძეებმა «გავროშა» შეარქვეს და ძალიან უფრთხილდებოდნენ. იბრძოდა ოჩამჩირეში, ცხენისწყალთან. ლაბრაში მამამისის დაღუპვის ადგილი იპოვა და თბილისში შესვენებით ჩამოსულმა დედას უთხრა: «დედი, სადაც მამაჩემმა სისხლი დაღვარა, მე ის ადგილი ვნახე, თუ ცოცხალი გადავრჩი, იქ ძეგლს დავდგამ!» ამ დროს მას კონტუზია ჰქონდა მიღებული. სკოლის გამოსაშვები გამოცდები ჩააბარა, 3 ივნისს ბანკეტზეც კი არ დარჩა – ვინ იცის, იქ ბიჭებს როგორ უჭირთ, უნდა წავიდეთ. 17 წელი ფრონტის ხაზზე, ოჩამჩირეში შეუსრულდა. გივი (გია) პატარაობიდანვე შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, სწავლობდა მუსიკას, ცეკვას, ვარჯიშობდა თავისუფალ ჭიდაობაში, ყოველთვის



კაცური საქმე იზიდავდა.

ცრემლიანი თვალებით აცილებდა შავებში ჩაცმული დედა, ხმას ვერ იღებდა. «ხმა ამოიღე, მითხარი რამე!» – უთხრა გიამ. «რა უნდა გითხრა, ვერ ავიტან, წვალეებით რომ ვინმემ მოგკლას» – ძლივს ამოთქვა ქალმა. «ნუ გეშინია, დედა, ნახე, რა მაქვს, და «ლიმონკა» აჩვენა, რომელზედაც დანის წვერით წაწერილი იყო – გივი ხვადაგიანი, – ამას ისე ავაფეთქებ, 4-5 კაცს თან გავიყოლებ!». გიამ, მამამისივით, ვაჟკაცის სახელი დატოვა. მისთვის საბედისწერო გამოდგა თბილისიდან ბოლო გაფრენა 1993 წლის 22 სექტემბერს. ის და მისი მეგობრები – გია ჯავახიშვილი, დათო გრიგოლია, ზურაბ კარანაძე, ალბერტ ჯამბულაშვილი, თენგიზ ნადოევი, სულ 92 ადამიანი – ზღვიდან ნასროლი ჭურვით დაიფერფლნენ ბაზუმერის აეროპორტში.

1997 წლის 9 მაისს მოხერხდა გივი ხვადაგიანის ნეშტის გადმოსვენება თბილისში. დაკრძალულია დიღმის ძმათა სასაფლაოზე.

გივი ხვადაგიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ზურაბ ხომტარია

ხომტარია ზურაბ გივის ძე 1993 წლის 16 იანვრიდან მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის I ბატარეის მე-2 ოცეულში (ბრძ. N5 1993 წ. 16 იანვარი).

მებრძოლი ხომტარია ზურაბ გივის ძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მიერ ჩატარებულ ყველა ძირითად საბრძოლო ოპერაციაში.

საბრძოლო დავალებებს ასრულებდა პირნათლად. გამოირჩეოდა მამაცობით, ერთგულებითა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით.

1993 წლის 21 სექტემბერს ხოშტარია ზურაბ გივის ძე დაიღუპა სოხუმისათვის ბრძოლებში ტრაფშის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოწინააღმდეგის მხრიდან გასროლილი სნაიპერის ტყვიით.



თამაზ ხვიტია

თამაზ ხუტას ძე ხვიტია დაიბადა 1960 წელს ოჩამჩირის რაიონში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქ. ომსკის მილიციის უმაღლეს სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1981 წელს და მუშაობა დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობაზე, საიდანაც 1984 წელს კარგი სამსახურისათვის გადაყვანილ იქნა კადრების განყოფილებაში. 1990 წელს სამსახური გააგრძელა სოხუმის შს რაიგანყოფილების საკუთრების დატაცების

წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში. 1991 წელს დაინიშნა აფხაზეთის ა/რ შსს კადრების განყოფილების უფროსის მოადგილედ. იყო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.

ვინც იცნობდა თამაზ ხვიტიას, ადასტურებს რომ ის იყო კეთილშობილი, ლამაზი, ახოვანი და ნათელი პიროვნება. დედით აფხაზს წუთითაც არ უყოყმანია, როცა სამშობლოს დამახილზე ერთ-ერთი პირველი ჩადგა აფხაზეთის დამცველთა რიგებში. სხვაგვარი შვილი ვერ გაიზრდებოდა პოლიციის პოლკოვნიკის ხუტა ხვიტიას ოჯახში. როცა საბრძოლო დავალების შესასრულებლად მიდიოდა, მამა შეეწინააღმდეგა – ეგებ ამ ოპერაციაში არ მიგელო მონაწილეობაო, რაზეც თამაზმა უპასუხა – მე თუ არა, მაშ ვინ უნდა დაიცვას აფხაზეთი მამაჩემოო. ამ სიტყვებით წავიდა 1993 წლის 16 სექტემბერს სოხუმის დასაცავად... და აღარ დაბრუნდა. ამ ბრძოლის შემდეგ თამაზის შესახებ არაფერი იციან.

მშობლები, და-ძმა, მეუღლე და ერთადერთი ვაჟიშვილი დღემდე იმედიანად გასცქერიან გზას... როგორ იქნება არ დაბრუნდეს? როგორ ვიცხოვროთ მისი ნაღვლიანი გამოხედვისა და მუდამსხივიჩამდგარი თვალების გარეშე? – გოდებენ ოჯახის წევრები. უჭირს ოჯახს კარგი ყმის – თამაზ ხვიტიას გარეშე!



ვახტანგ ხურცილავა

ვახტანგ იროდის ძე ხურცილავა ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის რიგითად. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, მეთაურთა დავალებას ასრულებდა დროულად და პირნათლად, თანამებრძოლთა შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1993 წლის 25 სექტემბერს ერთ-ერთი შემოტევის დროს სოხუმში, კიროვისა და კარლ-მარქსის ქუჩის გადაკვეთაზე ჭურვის აფეთქების შედეგად დაიღუპა,

დასაფლავებულია კარლ-მარქსის ქუჩაზე არსებულ ბაღში, თანამებრძოლების მიერ.



ფრიდონ ხუნწარია

ხუნწარია ფრიდონ ვახტანგის ძე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, აფხაზეთში 23-ე ბრიგადის დივიზიონის პირველი ბატარეის, პირველი საცეცხლე ოცეულის, მესამე საცეცხლე სექციის მძღოლად 1992

წლის 23 დეკემბრიდან. ერთ-ერთი შემოტევის დროს დაიღუპა 1993 წლის 18 სექტემბერს.



ივანე ხეტეშვილი

ვანო შალვას ძე ხეტეშვილი იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და გმირულად დაეცა სამშობლოსათვის ქ. სოხუმში 1993 წლის 23 სექტემბერს.



ვლადიმერ ხალიპანი

რიგითი ხალიპანი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე დაბადებული 1953 წლის 3 დეკემბერს კრასნოდარის ოლქში, მცხოვრები ქ. სოხუმში.

23-ე ბრიგადის საინჟინრო მესანგრეთა ასეულის რიგითი ხალიაპინი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე 23-ე ბრიგადის საინჟინრო მესანგრეთა ასეულში ჩარიცხული იყო 1993 წლის თებერვლიდან.

ერთ-ერთი დავალების შესრულების დროს, 1993 წლის 14 მარტს, მდინარე გუმისთის მისადგომებთან ბომბის განაღმვის დროს, აფეთქების შედეგად დაიღუპა.

მისი ნეშტი, დარჩენილი აფეთქების შედეგად, დაკრძალულია ქ. სოხუმში კურჩენკოს სახელობის პარკში ძმათა სასაფლაოზე.

ლევან გურჩიანი დაიბადა 1961 წლეს. გარდაიცვალა 1993 წელის 17 მარტს.





დიმიტრი (დიმა) ჭურღულია

უფროსი ლეიტენანტი დიმიტრი ტარიელის ძე ჭურღულია დაბ. 1951 წელს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის გენერალ-მაიორ თ. ნადარეიშვილის 1992 წლის 22 დეკემბრის

ბრძანებულებით შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სამთავრობო და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის სპეციალური განყოფილება.

დიმიტრი ტარიელის ძე ჭურღულია საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე ჩაება ბრძოლაში. 1992 წლის დეკემბერში ის ჩაირიცხა ზემოთხსენებულ განყოფილებაში სპეციალური დანიშნულების ჯგუფის «იუპიტერი» ასეულის უფროსად. დ. ჭურღულია კეთილსინდისიერად და ხარისხიანად ასრულებდა თავის მოვალეობას, იყო მომთხოვნი თავისი თავისა და მეზობლების მიმართ.

დიმიტრი ჭურღულია მონაწილეობას ღებულობდა რიგ საბრძოლო მოქმედებებში, კერძოდ ქ. სოხუმზე თავდასხმის დროს 4-6 იანვარს, 14-16 მარტს, გუმისთის მიდამოებში, სოფელ შრომასთან, ცუგუროვკაში და ტამიშში.

1993 წლის სექტემბერში აფხაზ სეპარატისტთა და მათ მიერ დაქირავებულ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა მიერ მთავრობის შენობაზე განხორციელებული შემოტევის დროს, დიმიტრი ტარიელის ძე ჭურღულიამ გამოიჩინა მამაცობა, სიცოცხლის ბოლომდე იგერიებდა მტრის შემოტევას. ძალთა არათანაფარდობის გამო, ბევრი მეომარი გმირულად დაიღუპა. მათ შორის დიმა ჭურღულიაც, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს ერთიანობას.



ნიკოლოზ და ვასილ ჩიკლაურები

ნუკრი და ვასიკო ზაქარიას ძე ჩიკლაურები ტყუპები იყვნენ – ერთად მოველინნენ წუთისოფელს – 1962 წელს ქ. თბილისში და ასევე ერთად გადასახლდნენ

მარადისობაში 1993 წლის 22 სექტემბერს, ბაბუშერის აეროპორტთან, საავიაციო კატასტროფაში (მტრის მიერ თვითმფრინავის აფეთქებისას) ტრაგიკულად დაიღუპნენ.

ნუკრი და ვასიკო წიკლაურები 1993 წელს ჩაირიცხნენ საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში.

22 სექტემბერი საბედისწერო აღმოჩნდა მათთვის და მათი დისშვილების თემურ და ზურაბ ზალდასტანიშვილებისათვის. აფხაზეთის ომს ერთმა ქართულმა ოჯახმა ოთხი ღირსეული ვაჟკაცის სიცოცხლე შესწირა.

ოთხივე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ჯამბულ წურწუმია

ჯამბულ სერგოს ძე წურწუმია დაიბადა 1961 წლის 10 დეკემბერს გულრიფშის რაიონის სოფ. ვარჩემი. მუშაობდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში.

აფხაზეთში ომის დაწყების დღიდან იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში დგება, მსახურობდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონის ფიზიკური მომზადების უფროსად, მაიორის წოდებით. ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს ჯამბული დაიჭრა. 1993 წლის 18 სექტემბერს კი, აფხაზი სეპარატისტების მორიგი შემოტევისას, მდინარე კოდორთან გამართულ სასტიკ ბრძოლებში იგი გმირულად დაიღუპა.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. გთავაზობთ მის ერთ ლექსს – «ბიჭები»

მე თქვენ გიხსენებთ რატომღაც ახლა,
სულ პირტიტველა, საოცარ ყმაწვილთ.
ბიჭებს, რომლებმაც არ იცით დაღლა,
ბიჭებს, რომლებთან ტყვიები გაწვიმთ.
მე თქვენ მიყვარხართ!
მწარეც ხართ, ტკბილიც,
და ერთმანეთში ვერაფრით გარჩევთ.
ვინ გადარუჯა სოფელი თბილი?
ვინ აგიოხრათ ლამაზი ვარჩე?
ვინ დააჩოქებს კოდორის ბოკვრებს –
მამა-პაპათგან ბრძოლებში ნარჩევთ?..
საქართველოსთვის იქნება მოვკვდეთ
და მაინც მარად ცოცხლებად დავრჩეთ.
და კვლავ გიხსენებთ რატომღაც ახლა,
სულ პირტიტველა, საოცარ ყმაწვილთ,
ბიჭებს, რომლებმაც არ იცით დაღლა,
ბიჭებს, რომლებთან ტყვიები გაწვიმთ.

თენგიზ ძაძაძია



1992 წლის 2 ოქტომბერს, გუმისთის ხიდთან მოწინააღმდეგის გადმოსვლის მცდელობისას გმირულად დაიღუპა.

შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ნუკრი (სიმონ) ცისკაძე

სიმონ ცისკაძე დაიბადა 1956 წლის 12 ნოემბერს ქ. თბილისში. მე-16 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა მონღოლეთში. წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იყო მაშველთა კორპუსის «მხედრიონის» წევრი, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. როგორც რიგითი ჯარისკაცი, ყველგან და ყოველთვის გვერდით ედგა თანამებრძოლებს. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაცვისას შეგნებული ჰქონდა დაუნდობელ მტერზე შურისგების აუცილებლობა. არავის გაჰკვირვებია სიმონის აფხაზეთში წასვლა, რადგანაც აფხაზეთი მისთვის ახალი სატკივარი არ გახლდათ, ჯერ კიდევ 1978 წელს დღიურში წერდა: «როგორ დავეცით, რას დავემსგავსეთ, ვინ ვართ, რანი ვართ, სად არის საქართველო, ვინ გვართმევს აფხაზეთს? – ღმერთო, შენ დაიფარე ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მამული, ღმერთო!..» მერე კი სწორედ ამ განწყობამ ათქმევინა: «ხშირად მინატრია, ნეტა ახლა დრო იყოს კრწანისის, შამქორის... აბჯარს ავისხამდი და სხვებთან ერთად, მოძღვარს მოვუსმენდი დაჩოქილი». ეს წინასწარმეტყველური სიტყვებია. ვინ იცის, რას ფიქრობდა, რას ჰვრეტდა, როცა წერდა საკუთარ ლექსს...

«პეტეფს ბრძოლის ველზე რომ მიეგო, მეც მსგავსი სიკვდილი მსურს..».

სიმონი, იგივე ნუკრი, წერდა თავისთვის დღიურებსა და ლექსებს. გამოყენება არც უფიქრია. მხოლოდ ღამესა და ფურცელს ანდობდა თავის გულისწინადადებს.

«მე საკუთარი სისხლის ვიცი ფერი და გემო და მშობლიური მიწის სუნის ხელებზე ამდის, როგორ იქნება, არასოდეს არ დავჭირდე და სიკვდილის შიშით განვერიდო სამშობლოს ძახილს».

დიახ, არ განერიდა სამშობლოს ძახილს, 1993 წლის 20 სექტემბერს სოხუმის მისადგომებთან, სოფ. თავისუფლებაში, წმ. მიქაელის სასაფლაოსთან წარმოებულ თავდაცვითი ბრძოლის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. პეტეფს შენატროდა და ეს მაინც აუსრულდა... ბედნიერ მომავალზე ოცნება ოცნებად დარჩა... სიმონის დალუპვიდან 8 თვის შემდეგ ოჯახს მისი ვაჟკაცი, პატარა ნუკრი ცისკაძე მოევილინა, რომელიც მძიმე სინამდვილეში გაიზრდება – დაბადებიდანვე ობლობა, მაგრა კაცურკაცის შვილობა იქნება მისი ცხოვრების თანამგზავრი.

სიმონ ცისკაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.



ხვიჩა ცხადაია

ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მე-2 ბატალიონში მისი ჩამოყალიბების პერიოდში 1992 წლის 14 აგვისტოს, ხოლო 1993 წლის 1 თებერვალს დაინიშნა მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 მოტომსროლელი ბატალიონის მე-3 ასეულის მძღოლ-მექანიკოსად (ბრძ. N10-11 08.02.1993 წ.)

1993 წლის 17 მარტს, აფხაზ სეპარატისტთა და დაქირავებულ რუს ბოევითა მიერ განხორციელებული ერთ-ერთი შემოტევის დროს, ბრძოლის მსვლელობისას, ცხადაა ხვიჩამ მიიღო ტყვიით გამჭოლი ჭრილობა თავის არეში, რის შედეგადაც დაეცა ბრძოლის ველზე.

დაჯილდოვდა მედლით «მხედრული მამაცობისათვის» სიკვდილის შემდეგ დასაფლავებულია ხობის რ-ნის სოფელ ნოჯიხევში.



კარლო ჩხენკელი

კარლო კონსტანტინეს ძე ჩხენკელი, დაბადებული 1928 წელს, მცხოვრები ქ. სოხუმში.

ჩხენკელი კარლო კონსტანტინეს ძე ეკონომიურ მეცნიერებ ათა დოქტორი, საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის წარმოების მართვის ორგანიზაციის კათედრის გამგე, საზოგადო მოღვაწე, ომის პირველი დღიდანვე

აქტიურად ჩაება ქ. სოხუმის დამცველთა რიგებში, პირნათლად ასრულებდა მოხალისეთა ლაშქრის ბატალიონი «ცხუმის» ხელმძღვანელობის დავალებებს ქ. სოხუმის დაცვის საკითხებში, ახალგაზრდა თაობის სამხედრო შენაერთების გაწვევის საქმეში.

ბატონ კარლოს ერთი დღეც არ დაუტოვებია ქ. სოხუმი, ბოლომდე იდგა ქალაქის დამცველთა რიგებში. 1993 წლის 27 სექტემბერს ქალაქში საომარი მოქმედებების დროს, აფხაზეთის მთავრობის სახლის ალების დროს დახვრიტეს აფხაზმა სეპარატისტებმა. დაკრძალულია ქ. სოხუმში.

გიორგი ჩარგეიშვილი



ზემდეგი გიორგი იუზას ძე ჩარგეიშვილი მსახურობდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში.

1993 წლის 22 სექტემბერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ქ. სოხუმში.



მურთაზ ჩაკვეტაძე

მურთაზ ახმედის ძე ჩაკვეტაძე იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საქართველოს მხედრიონის რიგებში (თბილისის რაზმის შემადგენლობაში).

იგი 1992-1995 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი იყო და ამავე დროს მონაწილეობდა ქ. გაგრის თავდაცვის ბრძოლებში (1992 წ. აგვისტო), 1992 წ. შემოდგომაზე მონაწილეობდა სოხუმის თავდაცვის ბრძოლებში.

1993 წ. 22 სექტემბერს თანამებრძოლების დასახმარებლად მიფრინავდა ქ. სოხუმში, რა დროსაც მოწინააღმდეგის მიერ ჩამოგდებულ თვითმფრინავში აფეთქდა.

სახელმწიფოს მეთაურის 1994 წ. 30 დეკემბრის N415 ბრძანებულებით მურთაზ ჩაკვეტაძე დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.



ბადრი შელუგია

ბადრი ანზორის ძე შელუგია ჩარიცხული იყო ეროვნული გვარდიის III ბრიგადის I ბატალიონში რიგითად, 1992 წლის სექტემბრიდან.

ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, ბატალიონის რიგებში.

1992 წლის 12 ოქტომბერს გუმისთის მისადგომებთან, ერთ-ერთი საომარი მოქმედებების დროს, ბადრი მძიმედ დაიჭრა. გადაყვანილ იქნა ქ. თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა 1992 წლის 29 ნოემბერს.

დაკრძალულია სოხუმის რაიონის სოფელ თავისუფლების სასაფლაოზე.

ბადრი შუბითიძე



ბადრი შუბითიძე დაიბადა 1959 წელს.

დაიღუპა 1992 წლის 26 დეკემბერს, სოხუმის სამხედრო შტაბის დაბომბვისას.



ზურაბ შენგელია

კაპიტანი - ზურაბ პროკოფის ძე შენგელია, 1992-93 წლებში აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობისათვის და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე ჩაერიცხა 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-8 კავშირგაბმულობის ბატალიონის მეთაურის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში.

1992 წლის 13 ოქტომბერს მიენიჭა მორიგი სამხედრო წოდება «კაპიტანი» (ბრძ. N107 15.02.1993 წ.).

ზ. შენგელია ღებულობდა მონაწილეობას ბატალიონის ხელმძღვანელობაში, ყველა საბრძოლო დავალების შესრულების დროს.

1993 წლის 16 სექტემბერს სოხუმზე მოულოდნელი თავდასხმის დროს იბრძოდა ბირცხას მთაზე. მას შემდეგ არავის უნახავს.

ითვლება უგზოუკვლოდ დაკარგულად.

ავთანდილ შარია



ავთანდილ პანტელეიმონის ძე შარია ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონში 1993 წლის 14 მაისიდან (საფუძველი ბრძანება N93).

ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც აწარმოებდა დივიზიონი. ერთ-ერთი საბრძოლო მოქმედების დროს, 1993 წლის 16 სექტემბერს სოფ. ღვადასთან მიიღო ჭრილობა, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

*დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის **II** ხარისხის ორდენით.*

ელგუჯა შარტავა



ელგუჯა გივის ძე შარტავა 1993 წლის 27 სექტემბერს ქალაქ სოხუმში საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას სეპარატისტების მიერ აყვანილ იქნა ტყვედ. ის დაიღუპა

(დახვრეტილ იქნა სეპარატისტების მიერ) საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში.



თენგიზ ქობულია

თენგიზ სერგოს ძე ქობულია 1992 წლის დეკემბრის თვიდან მსახურობდა ქ. სოხუმის რკინიგზის კვანძის სამხედრო კომენდატურაში მსროლელად.

იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. მისი ხელმძღვანელობით ხდებოდა სამხედრო ტექნიკის, იარაღის და ტყვია-წამლის მიწოდება ფრონტის წინა ხაზისათვის.

თ. ქობულია პირნათლად და დროულად ასრულებდა მასზე დაკისრებულ დავალებებს, იყო ენერგიული, შემსრულებელი მებრძოლი.

თ. ქობულია 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზ სეპარატისტებს ჩაუვარდა ტყვედ და დახვრეტილ იქნა მათ მიერ. იგი დასაფლავებულია ქ. სოხუმში, ჩოჩუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მის საცხოვრებელ სახლთან ახლოს.

გოჩა ქვარცხავა



აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ქვარცხავა გოჩა ჯემალის ძე ჩარიცხული იყო II საარმიო კორპუსის შტაბის დაცვის და უზრუნველყოფის ასეულში.

1993 წლის 7 სექტემბერს სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს სოხუმის რაიონის სოფ. მანიაში ნაღმის აფეთქების შედეგად დაიღუპა.



მაგი ქირია

რიგითი ქირია მაცი სოსოს ძე ჩარიცხული იყო 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის სამთომსროლელი ასეულის საბრძოლო მასალების მომტანად 1993 წლის 15 აპრილიდან.

მეთაურის ბრძანებებსა და დავალებებს ასრულებდა პირნათლად. იყო დისციპლინირებული თავდადებული მებრძოლი.

1993 წლის 22 მაისს, მტრის მიერ ასეულის საბრძოლო პოზიციების დაბომბვისას, ნაღმის აფეთქების შედეგად, სასიკვდილოდ დაიჭრა.

დასაფლავებულია სოფ. იაშტუხვაში.



დავით ქეცბაია

1992 წლის 16 აგვისტოს ქ. სოხუმში საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ქეცბაია დათო ჯუმბერის ძე.

იმის გამო, რომ დღეისათვის მოკვლევის ჩატარება შეუძლებელია, რადგან დაღუპვის თვითმხილველები იმყოფებიან სხვადასხვა სამხედრო ფორმირებებში და მათი დისლოკაციის ადგილი სხვადასხვაა. დასკვნა ეყრდნობა გარდაცვალების მოწმობას.

ცნობილია, რომ პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ქეცბაია დათო ჯუმბერის ძე დაიღუპა ქ. სოხუმში ორჯონიკიძის ქუჩაზე ეკლესიის უბანში, როცა ის



მერაბ ქვილითაია

მერაბ შოთას ძე ქვილითაია დაიბადა ქ. სოხუმში 1960 წლის 26 ნოემბერს.

1967-1977 წლებში სწავლობდა ქ. სოხუმის მე-11 საშუალო სკოლაში.

1978-1979 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში: 6 თვე იმსახურა ქ. თბილისის სანიტარ-ინსტრუქტორის სასწავლებელში, შემდგომი 18 თვე იმსახურა ქ. ქუთაისის სამხედრო ნაწილში ზერიგითად. 1981-1986 წლებში სწავლობდა ქ. სოხუმში «საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში» მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. პარალელურად მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტში. 1987 წლიდან მუშაობდა N6 სამშენებლო ტრესტში – ინჟინრად.

1992 წლის აგვისტოში სოხუმში დაწყებული საომარი მოქმედებების დროს ქვილითაია მერაბი პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილებს ბრძოლის ველზე, ინსტრუქტაჟს უტარებდა მეომრებს სამხედრო ქვედანაყოფებში, თუ როგორ აღმოეჩინათ პირველადი სამედიცინო დახმარება დაჭრილებისათვის. სამხედრო სამედიცინო ასეული «კობრა»-ს ჩამოყალიბების პირველივე დღიდან მსახურობდა და მონაწილეობდა ასეულის მიერ განხორციელებულ ყველა ოპერაციაში. ბრძოლებში მიღებული ჭრილობების, თუ ქალაქის დაბომბვის შედეგად მას არაერთი სამხედრო თუ სამოქალაქო პირისათვის აღმოუჩენია პირველადი სამედიცინო დახმარება. ხშირად იყო ფრონტის წინა ხაზზე და ორმხრივი ცეცხლის დროს საკუთარი სიცოცხლის თავგანწირვის ფასად არაერთგზის გამოუყვანია დაჭრილი მეომრები, დროული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად ბევრ ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა. 1993 წელს წარდგენილი იყო სამთავრობო ჯილდოზე «ვახტანგ გორგასლის» სახელობის ორდენზე. მისი გმირობის შესახებ იწერებოდა საქართველოს პრესაში, იყო ტელევიზიების რესპოდენტი.

1993 წლის 21 სექტემბერს სოხუმზე მტრის მიერ განხორციელებული შემოტევისას მიძარის ქუჩის მიმდებარე სომხური სკოლის ტერიტორიიდან სამედიცინო ასეულ «კობრა»-ში მიღებულ იქნა რადიო შეტყობინება დაჭრილების დახმარების შესახებ. გამოძახებაზე გავიდა მორიგე ჯგუფი: სან-ინსტრუქტორი – ქვილითაია მერაბი, სანიტარი – ფაჩუაშვილი მერაბი, მძღოლი – კარტოზია ზაზა. მასირებული სროლების გამო მანქანით გამოძახების ადგილამდე მისვლა შეუძლებელი იყო. ქვილითაია მერაბმა გადაწყვიტა ფეხით განეგრძო გზა. ადგილზე მისულმა შენიშნა, რომ აღნიშნული ტერიტორია უკვე მტრის კონტროლის ქვეშ იყო. ის სწრაფად გაერკვა ვითარებაში და საკუთარი თავგანწირვით შეძლო მ. ფაჩუაშვილის და ზ. კარტოზიას გაფრთხილება: «ბიჭებო თავს უშველეთ, აქ მტერია». მათ შეძლეს სამშვიდობოს გამოსვლა. ქვილითაია მერაბი მას შემდეგ უგზოუკვლოდ არის დაკარგული. ცნობა მისი ადგილსამოყველის, ან დაღუპვის შესახებ დღემდე უცნობია.

იროსლოვ (გელა) ქაღდაძე



იაროსლავ დავითის ძე ქალდანი ჩაირიცხა 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 ბატალიონში 1993 წლის 1 მარტს (ბრძ. N31 03.93 წ.).

1993 წლის 16 მარტს აფხაზ-სეპარატისტთა შემოტევის დროს მდ. გუმისთის მისადგომებთან მე-2 ასეულის ერთი ჯგუფი მოექცა ალყაში, სწრაფი კონტრიერიშით მებრძოლებმა გაარღვიეს ალყა. ხელჩართულ ბრძოლაში ცეცხლსასროლი იარაღიდან ნასროლი ტყვიით დაეცა ბრძოლის ველზე სამშობლოსათვის თავდადებული, მამაცი მებრძოლი იაროსლავ ქალდანი.

დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ლევან ქართლელიშვილი

ლევან გიორგის ძე ქართლელიშვილი 1993 წლის 15 თებერვლიდან ირიცხებოდა ბატალიონ «გორდა»-ს ოცმეთაურად.

ღებულობდა მონაწილეობას საქართველოს ერთიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში.

1993 წლის 23 სექტემბერს ქ. სოხუმში ბრძოლის დროს დაიღუპა.



თენგიზ ქარდავა

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედების დროს 1992-93 წლებში, სოხუმის რაიონის სოფ. შრომის მკვიდრი თენგიზ გიორგის ძე ქარდავა მსახურობდა ცუგუროვკის ასეულში მოხალისედ. თ. ქარდავა სოფლის მაცხოვრებლებთან ერთად იცავდა შრომის და კამანის მისადგომებს, მორიგეობდა საგუშაგოზე, ასრულებდა საბრძოლო დავალებებს.

1993 წლის 16 სექტემბერს ქარდავა თ. გ. აფსუა სეპარატისტებმა დახვრიტეს სოფლის ალების შემდეგ. დასაფლავებულია სოფ. შრომაში.



გურამ ფანჩვიძე

გურამ ბიქტორის ძე ფანჩვიძე აფხაზეთში მიმდინარე სამხარი მოქმედებების დროს ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელ ბატალიონში რიგითად 1992 წლის 26 სექტემბრიდან (ბრძ. N20ბ. 19.10.92 წ.) 1993 წლის 16 მარტამდე.

გ. ფანჩვიძე მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც აწარმოებდა ბატალიონი, მეთაურთა დავალებებს ასრულებდა პირნათლად, თანამებრძოლებში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1993 წლის 16 მარტს მტრის ძლიერი შემოტევის დროს, სოფ. აჩადარაში გმირულად დაიღუპა.

ეგორ ფანცულაია



ეგირ ერმილეს ძე ფანცულაია 23-ე ბრიგადის მძღოლი იყო 1992 წლის ნოემბრიდან. ძირითადად გადაჰყავდა მეომრები საბრძოლო პოზიციებზე.

1993 წლის 28 ივლისს როდესაც მას მეომრები მიჰყავდა შრომის მიმართულებით ჭურვის აფეთქების გამო დაიღუპა .

მისი ცხედარი პოზიციიდან გამოასვენეს შტაბის დაცვის მეზობლებმა: ე. კვარაცხელიამ და თ. ქუხილაკამ. დაასაფლავეს სოხუმის რ-ნის სოფ. მიხაილოვკის სასაფლაოზე 1993 წლის 5 აგვისტოს.



მალხაზ ჯურიდონაშვილი

მალხაზ ელდარის ძე ჯურიდონაშვილი, იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საქართველოს «მხედრიონის» რიგებში (თბილისის «უშბის» რაზმის შემადგენლობაში).

1992 წლის ოქტომბრიდან მიღებული აქვს მონაწილეობა ოჩამჩირის, ბესლახუბას, ტამიშის, არადუს, ცაგერას, ცხენისწყლის, ლაბრას და სხვა საბრძოლო ოპერაციებში.

დაიღუპა 1993 წლის 22 სექტემბერს ქ. სოხუმში ბაბუშერას აეროპორტში, თვითმფრინავის აფეთქების დროს.



ვალერ უტიაშვილი

ვალერი დაიბადა ქ. თბილისში 1975 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღეს. ბავშვობა გაცილებით ბედნიერი ჰქონდა, ვიდრე შემდგომი პერიოდი. მთელს საგვარეულოში ვალერი ითვლებოდა სანიმუშოდ, კარგად ფლობდა რუსულს, ჰქონდა ხატვის ნიჭი. 16 წლის ასაკიდან სამუშაოს მოჰკვიდა ხელი.

იმ წლებში დაიშალა საბჭოთა კავშირი. გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ვალერი და მისი თანატოლები დღედაღამ მთავრობის სახლის წინ დროშას აფრიალებდნენ. შეუძლებელი გახდა მისი სახლში გაჩერება. უამრავი მტერი გაუჩნდა საქართველოს. შეიქმნა გვარდია და სამხედრო პოლიცია, მხედრიონი და ა.შ. პატარა იყო ვალერი და არსად არ იღებდნენ, მაინც დარბოდა, მოხალისედ სურდა ჩაწერილიყო. ამასობაში გაიზარდა და დავაჟკაცდა კიდევ.

ვალერი ბოლოს და ბოლოს ოფიციალურად ჩაირიცხა ს/ნ 22683-ში, აქედან რუსთავში გაგზავნეს. იქ არ გაჩერდა, აქ რა მინდა, ლაჩარი კი არა ვარ, ომში წამიყვანეთო. ერთ მშვენიერ დღეს ის რეკავს ოჯახში სოხუმიდან. მეორე დღეს, 22 სექტემბერს, აღმოჩნდა სამხედრო დანიშნულების თვითმფრინავში, რომელიც საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად იყო გაგზავნილი, სოხუმის აეროდრომზე დაშვებისას აფეთქდა. ასე ტრაგიკულად დასრულდა ვალერი უტიაშვილის ხანმოკლე ცხოვრების ისტორია. ასე ჩაიწერა მისი სახელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ მეომართა სიაში.



ვახტანგ ურიდია

ვახტანგ იმედის ძე ურიდია ომის დაწყების დღიდანვე ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის პირველ ბატალიონში (ბრძანება N24 1992 წლის 25 სექტემბერი). ის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას ყველა საბრძოლო ოპერაციაში. 1993 წლის 15 იანვარს გუმისთის მიდამოებში მიმდინარე ბრძოლაში გაწეული მამაცობისათვის დაჯილდოვდა მედლით «საბრძოლო დამსახურებისათვის». 1993 წლის 16 თებერვალს საქართველოს თავდაცვის მინისტრის N225 ბრძანების თანახმად ვ. ი. ურიდიას პირველი ბატალიონის დაზვერვის ოცეულის უფროსს მიენიჭა «ლეიტენანტის» წოდება.

ვ. ურიდიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1993 წ. 16-17 მარტს მიმდინარე ბრძოლებში. სოფელ შრომასთან გაანადგურა მოწინააღმდეგის ოცეული, რის შედეგადაც მებრძოლებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის საბრძოლო მანქანა (ბმპ).

ვ. ი. ურიდია 1993 წლის 21 სექტემბერს სოფელ ბირცხასთან თავდადებული ბრძოლის დროს დაიღუპა მოწინააღმდეგის მიერ ტანკსაწინააღმდეგო ჭურვის ტექნიკაზე პირდაპირი მოხვედრის შედეგად.

დასაფლავებულია სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთში.

N497 ბრძანებულებით დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



შავლეგო (შალვა) უგრეხელიძე

უგრეხელიძე შავლეგო პეტრეს ძე აფხაზეთის ომის დაწყების პირველსავე დღეებში ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იგი იყო თავდადებული, დისციპლინირებული მებრძოლი ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა მეთაურთა ბრძანებებს, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა მებრძოლებს შორის.

1993 წ. 16 მარტს გამთენიისას კორკუსის შტაბიდან მოვიდა ბრძანება ქალაქის დაცვის შესახებ. სამხედრო პოლიციის სამმართველოს 40 კაციანი ჯგუფი პოლკოვნიკ ი. ახალაიას მეთაურობით გადააგზავნეს გუმისთის რაიონში. უგრეხელიძემ თავის განყოფილებასთან ერთად დაიკავა საუკეთესო პოზიცია ალყაში მოაქცია მტერი და ტყვედ აიყვანა ერთი რუსი ოფიცერი წოდებით მაიორი.

20 მარტს ბრძოლის შემდეგ თავდაცვის მინისტრმა გ. ყარყარაშვილმა მწყობრის წინაშე უგრეხელიძეს მიანიჭა სამხედრო წოდება «ლეიტენანტი».

1993 წ. 16 სექტემბერს ყველა საბუთი მზად იყო, უგრეხელიძესთვის ლეიტენანტის მისანიჭებლად, მაგრამ სეპარატისტებმა დაარღვიეს ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ბრძოლები განაახლეს.

1993 წ. 24 სექტემბერს უგრეხელიძე მძიმედ დაიჭრა. მიღებული ჭრილობისაგან იგი ქ. თბილისის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ **დაჯილდოვდა «ვახტანგ გორგასლის» III ხარისხის ორდენით.**



ფრიდონ ტყემალაძე

ფრიდონ დიმიტრის ძე ტყემალაძე ჩაირიცხა მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 მოტომსროლელი ბატალიონის მე-2 ასეულის სნაიპერად 1992 წლის 1 დეკემბერს (ბრძ. N71 4.12.93 წ.), ხოლო 1993 წლის 1 თებერვალს დაინიშნა ამავე ბატალიონის მე-2 ასეულის ოცმეთაურის მოადგილედ.

მიღებული ჰქონდა მონაწილეობა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში მდინარე გუმისთის მისადგომებთან.

1993 წლის 16 მარტს მდინარე გუმისთის მისადგომებთან აფხაზ სეპარატისტებთან და დაქირავებულ რუს ბოევიკებთან შეტაკების დროს ხელჩართულ ბრძოლაში დაჭრილმა მტერი ახლოს მუშვა, შემდგომ კი ყუმბარა ააფეთქა და მოახლოვებული მტერიც თან გაიყოლა.

სამშობლოს დაცვის და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის მამაცობისა და თავდადებისათვის *დაჯილდოვდა სიკვდილის შემდეგ ვახტან გორგასლის I ხარისხის ორდენით.*



ჯეირან ჯაჭვლიანი

დაიბადა 1966 წლის 2 თებერვალს, გულურიფშის რაიონის სოფელ ომარიშარში.

ჯეირან ჯაჭვლიანი ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23_ე მექანიზირებული ბრიგადის მე_2 მოტომსროლელ ბატალიონის ტანკსაწინააღმდეგო ოცეულში 1992 წლის 22 სექტემბრიდან (ბრძ.# 3. 23.09.92 – რ.გახოვიძე).

აფხაზეთის ომში მან თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი უშუალო მონაწილეა იმ საბრძოლო ოპერაციებისა, რომელსაც ახორციელებდა ბატალიონის შემადგენლობა. 1993 წლის 27 ივნისს, მდ. გუმისტის მიდამოებში. ერთ-ერთი ბრძოლის მიმდინარეობის დროს, რიგითი ჯეირან ჯაჭვლიანი სასიკვდილოდ დაიჭრა და იმავე დროს მიწურულს გარდაიცვალა აგუძერის სამხედრო ჰოსპიტალში.



ტარიელ სტეფლიანი

დაიბადა 1953 წლის 25 ივნისს. 1981 წლიდან 1993 წლამდე მუშაობდა სოხუმის ტრანს.სააგენტოში მძღოლად.

რესპუბლიკის ეროვნული გვარდიდს მე-3 ბრიგადის მეთაურის 1992 წლის 25 სექტემბრის ბრძანება #3-ის და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23_ე მექანიზირებული ბრიგადის მეთაურის 4 დეკემბრის #71 ბრძანების საფუძველზე იგი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23 მექანიზირებული ბრიგადის მე-2 მოტომსროლელ ბატალიონის მე-2 ასეულის, მე-2 ოცმეთაურის მოადგილე.

აფხაზეთში მიმდინარე ომის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის ყველა საბრძოლო ოპერაციაში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1993 წლის 16 მარტს გუმისტის მისადგომებთან შემოტევის დროს, სადაც დაიღუპა გმირულად.

სიკვდილის შემდეგ ტარიელ სტეფლიანი დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.



ნური ბიძინას ძე აფრასიძე

დაიბადა 1954 წლის 13 ივლისს.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს აფრასიძე ნური ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის 23 _ე მექ. ბრიგადის მეორე ბატალიონის პირად შემადგენლობაში, ყუმბარმტყორცნელად. 1992 წლის სექტემბრიდან (ბრძანება # 3. 23 სექტემბერი.1992). მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1993 წლის 15-16 მარტის შემოტევების დროს (მძიმედ დაიჭრა), რისთვისაც ის საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 14 ივნისის ბრძანებულებით დაჯილდოვდა მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის“(00220).

ამის შემდეგ ნური აფრასიძე დანიშნულ იქნა პირველი საზღვაო დივიზიონის საკომენდანტო შენაერთის მეთაურის მოადგილედ.

აფროსიძე ნური ბიძინას ძე 1993 წლის 27 სექტემბერს ქ.სოხუმში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა.



ნოდარი ქაღდანი

დაიბადა 1966 წელს მრავალშვილიან ოჯახში გულრიფშის რ.ნი სოფ. ომარიშარში. საშუალო დამთავრა ქ.სოხუმში. მოიხადა სამხედრო მოვალეობა.

ეროვნული მოძრაობის დროს იღებდა მონაწილეობას ყველა ღონისძიებებში. 1992 წლის სექტემბრიდან 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონის მეომართა რიგებში ჩაეწერა და წარმატებით ასრულებდა ყველა დავალებას.

1993 წლის 16 მარტს გმირულად დაიღუპა გუმისტის მისადგომებთან.

დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ)

დაკრძალულია კოდორის ხეობაში სოფ. ომარიშარში.



სერგო ვახტანგის ძე მილდიანი

დაიბადა 1972 წლის 23 ივლისს გულრიფშის რაიონის სოფელ აჟარაში.


1989 წელს დაამთავრა სოფელ აჟარის საშუალო სკოლა წარჩინებით და იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. სწავლასთან ერთად ეწეოდა აქტიურ სპორტულ ცხოვრებას, გატაცებული იყო თავისუფალი ჭიდაობით და ჰქონდა წარმატებები სპორტულ შეჯიბრებებში.

1992 წელს, როდესაც დაიწყო აფხაზეთში ომი მას ჰქონდა დიდი სურვილი მიეღო მონაწილეობა საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში და 1992 წლის 01 ნოემბერს ჩაირიცხა 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-2 ბატალიონის მეორე ასეულში, მესამე ოცეულის სნაიპერად.

მას მიღებული აქვს მონაწილეობა ყველა საბრძოლო ოპერაციებში მდინარე გუმისთის მისადგომებთან. იყო აქტიური მებრძოლი, პირნათლად ასრულებდა ხელმძღვანელობის ყველა დავალებას.

1993 წლის 30 იანვარს მტრის მცირე ჯგუფმა შემოუტია 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-2 ბატალიონის მეორე ასეულს, პარალელურად მტერმა განახორციელა არტილერიული დაბომბვები. ერთ-ერთი დაბომბვის დროს სერგო მილდიანი მძიმედ დაიჭრა თავის არეში, მისმა თანამებრძოლებმა საბრძოლო პოზიციებიდან გადაიყვანეს სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც იმავე დღეს გარდაიცვალა.

დასაფლავებულია გულრიფშის რ/ნ სოფელ აჟარაში.



ენვერ მიხეილის ძე ავალიანი

დაიბადა 1949 წლის 10 ივლისს გულრიფშის რაიონ სოფელ საკენში. 1967 წელს დაამთავრა დრანდის საშუალო სკოლა-ინტერნატი. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით და სიბეჯითით.

სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. დაამთავრა ტექნიკური ტექნოლოგიის სპეციალობა. მუშაობდა შორეულ ზღვაოსნობაში.

ქართუაფხაზური ომის დაწყების დღიდან ჩადგა ქვეყნის სამსახურში. ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მე-2 ბატალიონის მე-3 ასეულში მსროლელად 1992 წლის 23 სექტემბერს. ამავე წლის 1 ნოემბერს დაინიშნა 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონის ნაღმმტყორცნი ბატარეის ყუმბარმტყორცნელი ათეულის მეთაურად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მე-2 ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში და თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და თავდადებულმა მეომარმა.

1993 წლის 1 იანვარს მდინარე გუმისთის მისადგომებთან გმირულად დაიღუპა.



ელდარ ოთარის ძე ივერიანი

დაიბადა 1969 წლის 14 დეკემბერს, გულრიფშის რ-ნი სოფელ ჩხალთაში. დაამთავრა ჩხალთის საშუალო სკოლა.

ელდარი ივერიანი იყო ზემსახური, რადგანა სავალდებულო სამსახური გაიარა ყოფილ საბჭოთა არმიაში 1988-1990 წლებში ქ.მურმანსკში.

1992 წლის 24 სექტემბერს ელდარ ივერიანი ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის 23 ბრიგადის მე-2 მოტო მსროლელ ბატალიონში.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში გუმისთის მისადგომებთან.

1993 წლის 17 მარტს მტერთან ერთ-ერთ შეტაკების დროს ხელჩართულ ბრძოლაში რამდენიმე ბოევიკი გაანადგურა და თვითონაც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში. გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით“, სიკვდილის შემდეგ.



გოგი პარმენის ძე წერედიანი

დაიბადა 1956 წლის 13 აპრილს პარმენ და ნატაშა წერედიანების ოჯახში, გულრიფშის რ/ნ სოფ. ჩხალთაში. დაამთავრა მერხეულის საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. ფოთში ჰიდრომელორაციულ ტექნიკუმში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სამწლიანი ჯარის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქ. სოხუმში თევზჭერის მრეწველობაში და ქმნის ოჯახს. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე ჩაბმული იყო სამხედრო ოპერაციებში და პირნათლად ასრულებდა სამშობლოს წინაშე თავის გულწრფელ მოვალეობას.

1993 წლის 16 მარტს მდინარე გუმისტასთან შეტაკებისას გმირულად დაიღუპა.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულ იქნა მედალით „მხედრული მამაცობისათვის“.



სოსლანი ჟულიას ძე გასვიანი

დაიბადა 1970 წლის 12 აპრილს, განათლება საშუალო. ცხოვრობდა გულრიფშის რ-ნი სოფ. ომარიშარში.

ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მე-2 ბატალიონში რადიო-მექანიკოსად 1992 წლის 20 სექტემბერს. ხოლო 1993 წლის პირველ იანვარს დაინიშნა 23-ე ბრიგადის მე-ე მოტომსროლელი ბატალიონის მე-2 ასეულის მე-2 ოცეულის მსროლელი ყუმბარ მტყორცნის თანაშემწედ.

მიღებული აქვს მონაწილეობა ბატალიონის მიერ ჩატარებული საბრძოლო ოპერაციებში, მდინარე გუმისთის მისადგომებთან.

1993 წლის 15-16 მარტის ბრძოლებში, როდესაც ქართულმა ჯარმა გამოავლინა არნახული გმირობა და შეძლო გადაერჩინა აფხაზეთის დედაქალაქი დაცემას, ძირითადი პოზიციები განლაგებული იყო მდ. გუმისთაზე. სწორედ აქ აღესრულა გმირულად, 22 წლის ასაკში სოსლან გასვიანი. იგი სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.



მარინა ტაბატაძე

ტაბატაძე მარინა ოთარის ასული, 1992 წლის მაისის თვიდან მსახურობდა სოხუმის ცალკეული ბატალიონის ს/ნ 2061-ის რიგებში რიგითად, სამედიცინო პუნქტში «მედდად». ნაწილი დისლოცირებული იყო გულრიფშის რაიონის დასახლების «ვარჩე-ტოლიატის» დასასვენებელ სახლში. მარინა ოთარის ასული ტაბატაძე, აფხაზეთის მოვლენების დაწყების დღიდან, 1993 წლის სექტემბრის ჩათვლით იმყოფებოდა აფხაზეთში.

1993 წლის 22 სექტემბერს, ქ. სოხუმის აეროპორტში დაფრენისას აფეთქდა თვითმფრინავი, მტრის მხრიდან განასროლი ჭურვით, სადაც იმყოფებოდა ს/ნ 2061-ის რიგითი მარინა ტაბატაძე. მასთან ერთად დაიღუპა ქ. თბილისიდან და სხვა რეგიონებიდან წამოსული 80-მდე სამხედრო პირი.

რიგითი მარინა ოთარის ასული ტაბატაძე ითვლება სამსახურობრივი მოვალეობის დროს დაღუპულად.

მ. ტაბატაძეს დარჩა 4 ქალიშვილი, რომლებიც დაზარდა ბებიაშ.



ხვიჩა სულაკაძე

ხვიჩა სულაკაძე დაიბადა 1965 წლის 15 ივნისს სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვაში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. დაამთავრა საქართველოს კვების მრეწველობის ტექნიკური პურ-პროდუქტების ტექნოლოგიის სპეციალობით.

1988 წლიდან მუშაობდა აფხაზეთში რესტორნებისა და სასადილოების ტრესტში. ის და მისი მეუღლე ვაჟიშვილს უზრდიდნენ ქვეყანას.

აფხაზეთში ომის დაწყების პირველი დღიდანვე მოხალისედ ჩაეწერა 23-ე ბრიგადის I ბატალიონში. იყო კეთილსინდისიერი, უღალატო პიროვნება, ბრძოლაში კი – უშიშარი, მეთაურის ბრძანებების პირნათლად შემსრულებელი.

1992 წლის 1 ოქტომბერს სოფ. აჩადარაში შეტაკების დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

დასაფლავებულია სოფ. იაშთხვაში.



ნუჯარ სოხაძე

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს სოხაძე ნუჯარი გრიგოლის ძე ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის შტაბის დაცვისა და უზრუნველყოფის ასეულში მეორე მსროლელი ოცეულის მეთაურად (ბრძ. N396 1993 წლის 16 აპრილი).

სოხაძე ნუჯარი გრიგოლის ძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის მიერ განხორციელებულ საბრძოლო მოქმედებებში. მეთაურის ბრძანებებს ასრულებდა პირნათლად. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. 1992 წლის 23 დეკემბერს მიღებული აქვს მადლობის წერილი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ე. შევარდნაძისაგან, სამშობლოსა და ერის წინაშე თავდადებისათვის.

1993 წლის 18 სექტემბერს დაიღუპა საბრძოლო მოქმედებების დროს ე. სოხუმში (გარდაცვალების მოწმობა III-ტი N426470).

დაჯილდოვებულია მედლით «საბრძოლო დამსახურებისათვის» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წ. 29.01. N56 ბრძანებულებით.

ვლადიმერ (ვოვა) სელიპანოვი

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სელიპანოვი დაბადებული 1968 წლის 25 სექტემბერს მცხოვრები ქ. თბილისში. ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მოხალისედ



წავიდა საბრძოლველ

ად აფხაზეთში.

1992 წლის 28 აგვისტოს ჩაირიცხა 103-ე ბატალიონის პირად შემადგენლობაში რიგით მსროლელად, მონაწილეობას იღებდა საბრძოლო მოქმედებაში ქ. გაგრის ზონაში 1992 წლის 7 ოქტომბრამდე. ამ ხნის განმავლობაში მან თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და მტკიცე ნებისყოფის მქონე ჯარისკაცმა.

1992 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა დახელოვნებისა და ზემდეგთა მომზადების კურსების ბაზაზე ჩამოყალიბდა 101 ბატალიონი, რომელშიც იგი ჩაირიცხა, და დაინიშნა მეორე ასეულში, ოცეულის მეთაურად. ბატალიონის შემადგენლობაში იღებდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას შრომა-ახალშენის მიმართულებით. 1992 წლის 2 ნოემბერს სადაზვერვო ჯგუფმა, რომელსაც იგი მეთაურობდა ბატალიონის მეთაურისაგან მიიღო ბრძანება დაეზვერათ სოფელი შუბარა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და საცეცხლე საშუალებების აღმოსაჩენად, ვინაიდან მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგის გააქტიურება ამ მიმართულებით. 1992 წლის 2 ნოემბერს გამთენიისას სადაზვერვო ჯგუფი გავიდა საბრძოლო დავალების შესასრულებლად. სოფელ შუბარაში ეს ჯგუფი შეხვდა პირისპირ მოწინააღმდეგის შეიარაღებულ რაზმს, რომელიც რიცხობრივად ბევრად აღემატებოდა აღნიშნულ ჯგუფს. ჯგუფი ჩაება უთანასწორო ბრძოლაში, რომელშიც სელიპანოვი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე გმირულად დაეცა. ამავე დღეს სელიპანოვის გვამი გამოტანილ იქნა.

ამჟამად ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სელიპანოვი დაკრძალულია ქ. თბილისის ერთ-ერთ სასაფლაოზე.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სელეპანოვი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი საბრძოლო მამაცობისა და ვაჟკაცობისთვის, აგრეთვე საბრძოლო საზრიანობისა და გამჭრიახობისათვის დაჯილდოვებულ იქნა ღირსების ორდენით სიკვდილის შემდეგ.



ზაურ სამუშია

ზაურ ტარიელის ძე სამუშია სოხუმის დამცველთა რიგებში აფხაზეთის ომის დროს პირველი დღიდანვე ჩადგა. მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში: აჩადარაში, შრომაში, ახალშენში, ზეგანზე, ცუგუროვკაში, კინდღში თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა შემსრულებელმა, დისციპლინირებულმა მეომარმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზაურ სამუშიას გმირული მოქმედება მარტის შემოტევის მოგერიების დროს.

1993 წლის 11 ივლისს შრომა-ახალშენის თავდაცვითი ოპერაციების დროს ზაურ სამუშია მტრის ჭურვით სასიკვდილოდ დაიჭრა თავის არეში. დაკრძალულია სოხუმში აბჟაყვას სასაფლაოზე.

ზაურ სამუშია თანამებრძოლებში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და მისი სახელის უკვდავსაყოფად მეომრებმა ერთ-ერთ გორაკს მისი სახელი დაარქვეს.

საქართველოს პრეზიდენტის 1994 წლის 4 დეკემბრის ბრძანების თანახმად დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით.

თენგიზ რაფავა



პოლიციის პოლკოვნიკი თენგიზ არტემის ძე რაფავა დაიბადა 1950 წლის 5 ოქტომბერს. 1978 წელს დაამთავრა ქ. მოგილიოვის მილიციის სპეციალური სკოლა, ხოლო 1984 წელს სსრკ-ის შსს აკადემია.

თენგიზ რაფავა შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობდა 1972 წლიდან. 1979 წლამდე სატრანსპორტო პოლიციაშია. 1980-1986 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს სისხლის სამართლის სამმეზროს ინსპექტორია. 1986-1987 წლებში ქ. გეგეჭკორის შს სამმართველოს უფროსი. 1987-1988 წლებში ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამმეზროს უფროსის მოადგილე, 1988-1992 წლებში კვლავ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დაზვერვის სამმართველოს უფროსი. 1992-1993 წლებში კი ქ. სოხუმის შს სამმართველოს უფროსი.

შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახური მხოლოდ განათლებით მიღებული სპეციალობა და პროფესია როდი იყო. პოლიციის მუშაკის საქმიანობა თენგიზ რაფავას ცხოვრების აზრს შეადგენდა. მისი ფიქრები დღენიადაგ სამსახურის საქმეებს დასტრიალებდა, ანალიზებდა, ფიქრობდა, გეგმავდა... ოჯახი ზოგჯერ სამსახურზე ექვიანობდა. მისი ოჯახის წევრები იხსენებენ ერთ-ერთი ოპერაციის წარმატებით დასრულების ფაქტს, რომელმაც თითქოს აზრი და ხალისი შემატა მათ ცხოვრებას.

1983 წელს თენგიზი სისხლის სამართლის სამმეზროს უფროსი ინსპექტორად მუშაობდა. სწორედ ამ პერიოდში ვ. შადურისა და გ. ლომინაძის ხელმძღვანელობით და თ. რაფავას უშუალო მონაწილეობით აყვანილი იქნა საკავშირო მასშტაბით ძებნილი დიმიტრი ხურცილავა.

თენგიზ რაფავას უშუალო მეთაურობით და მეშვიდე განყოფილების მუშაკთა ძალებით, აფხაზეთის ა.რ. შს ორგანოებთან მჭიდრო კავშირში დამუშავებული იქნა მეთვალყურეობის რამდენიმე ობიექტი, რომელთა მეშვეობით დადგენილი და დაკავებული იქნა სამიშ დამნაშავეთა შეიარაღებული ჯგუფი ოჩამჩირის რაიონში: ჯღარკავა, ჯღამაძე, ლაგვილავა და კარპენკო, რომლებმაც ჩაიდინეს ყაჩაღური თავდასხმა მოქალაქეებსა და სახელმწიფო ქონებაზე, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით.

1989 წელს ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ეროვნებათა შორის კონფლიქტის დარეგულირებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პოლკოვნიკი თენგიზ რაფავა, მის მიერ ორგანიზებულმა მეთვალყურეობამ აფხაზეთის შს სამინისტროს ხელმძღვანელობას საშუალება მისცა მუდმივად ჰქონოდა დროული ინფორმაცია შექმნილი სიტუაციის შესახებ და შესაბამისად მოეხდინა ძალთა მანევრირება.

ზემოთთქმულის გარდა თენგიზ რაფავა აქტიურად მონაწილეობდა მძევალთა განთავისუფლებისა და შეიარაღებული ყაჩაღების დაკავების ოპერაციებში. დიდი პატრიოტიზმით და მონდომებით ეკიდებოდა საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის საქმეს. დიდი წვლილი მიუძღვის იმ შეიარაღებულ დამნაშავეთა დაკავებაში, რომლებსაც სათავეში ედგა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი – პრუნჩაკი.

ამ ოპერაციებში მონაწილეობისათვის შსს მიერ პოლიციის პოლკოვნიკი თენგიზ რაფავა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წარდგენილი იქნა სამთავრობო ჯილდოზე.

1992 წლიდან თენგიზ რაფავა უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მიერ შექმნილ შეიარაღებულ ფორმირებებთან საბრძოლველად 1992 წლის აგვისტოში მან ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნა პირველი ბატალიონი, რომელსაც სათავეში თვითონ ჩაუდგა.

1992 წლის სექტემბერში დაინიშნა ქ. სოხუმის სამხედრო კომენდანტის მოადგილედ, სწორდ ამ დროს შს სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე წამოიჭრა რთული საკითხი, თუ ვინ ჩაუდგებოდა სათავეში საომარ მდგომარეობაში მყოფ ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის შს სამმართველოს, არჩევანი თენგიზ რაფავაზე შეჩერდა, ადამიანზე, რომლისთვისაც პროფესიისადმი ერთგულება მოწოდება იყო.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი შეუპოვრად ებრძოდა კრიმინალურ ელემენტებსა და უსამართლობას. მრავალი გარეწარი ცდილობდა მოეთხო ხელი ხალხის უბედურებაზე, კლავდნენ ჯარისკაცებს და მათზე გაპიროვნებულ იარაღს მამასისხლად ყიდდნენ კრიმინალური დაჯგუფების წევრებზე. თენგიზ რაფაევამ გახსნა ეს დანაშაული. ამხილა კრიმინალთა ჯგუფი და კანონმა საკადრისი მიუზღა დამნაშავეებს.

სეპარატიზმის შხამიანი ნესტარი ვერ შეეხო ჭეშმარიტი პატრიოტის გულს, იგი იცავდა არამართო ქართველ მოსახლეობას, არამედ თავგამოდებით ებრძოდა ყოველ უკეთურს, ეროვნების განურჩევლად.

1993 წელს, როცა აფხაზი სეპარატისტების მიერ დარღვეულ იქნა მშვიდობიანი შეთანხმება და განხორციელდა შეტევა განიარაღებულ ქალაქზე, გუმისთის მისადგომებთან გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა. თენგიზ რაფაევამ თავისი თანამშრომლებისა და მოხალისეებისაგან შექმნა ჯგუფი და მტერს დაუპირისპირდა. სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს თვითონ დაჭრილმა, არავის შეამჩნევინა იარა, ბრძოლის ველი არ დატოვა, დაჭრილი მეომარი სამშვიდობოს გამოიყვანა და თვითონ კვლავ ბრძოლის ველზე დაბრუნდა, რის შემდეგაც იგი აღარავის უნახავს...

ოჯახი და მეგობრები დღესაც ელიან მამას და მეუღლეს, შვილსა და მეგობარს. იმედით გაჰყურებენ შორეთს, რადგან იმედი უკანასკნელად კვდება. სანამ არ ჩამოუკრავს გლოვის ზარს, არ გამოჩენილა არავინ ავის მაუწყებელი, ვის შეუძლია წაართვას ოჯახს იმედის და მოლოდინის უფლება?!

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივნისის განკარგულებით, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გმირული თავგანწირვისათვის პოლიციის პოლკოვნიკი, სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი თენგიზ რაფაევა დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

ღმერთო აუხდინე ოჯახს იმედი, დაუბრუნე მონატრებული გმირი!



თამაზ კაკიაშვილი

კაკიაშვილი თამაზ შოთას ძე, დაბადებული 1964 წელს ქ. თბილისში.

თამაზ კაკიაშვილი „ავღანელთა კავშირის“ ბატალიონის შემადგენლობაში ჩაირიცხა 1992 წლის ოქტომბრიდან, მონაწილეობა მიიღო ყველა იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდა „ავღანელთა ბატალიონი“, კერძოდ სოფლებში შრომასთან, ცაგერთან, ლაბრასთან, ქ. სოხუმის დაცვისას წარმოებულ ბრძოლებში.

1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას წარმოებულ ბრძოლისას უგზო-უკვლოდ დაიკარგა.




ჩალისიმე პირველი

აფხაზეთში საომარი მოქმედების დაწყების პირველი დღიდან პირველი ჩალისიმე რაჟდენის ძე ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. იგი მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-8 ბატალიონის შემადგენლობაში რიგითად, 1992 წლის სექტემბრიდან.

პირველი ჩალისიმე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ასეულის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში გუმისთის მისადგომებთან. პირნათლად ასრულებდა მეთაურის მიერ მიცემულ საბრძოლო დავალებებს.

პირველი ჩალისიმე გმირულად დაიღუპა მდინარე გუმისთის მისადგომებთან, საბრძოლო მოქმედების დროს 1993 წლის 23 სექტემბერს.

ალმას პაკელიანი



პაკელიანი ალმასი ეგნატეს ძე იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-6 ცალკეული ბატალიონის პირველი ასეულის დამმზნებელი.

პაკელიანი ალმასი ეგნატეს ძე დაილუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში, 1993 წლის 26 სექტემბერს მდინარე კოდორთან. დაკრძალულია, გულრიფშის რაიონის სოფ. ფშაფში.

ტარიელ ონიანი



ტარიელ სოლომონის ძე ონიანი დაიბადა 1952 წელს ლენტეხის რ-ნი სოფ. ჟანხუნდერში.

1962 წელს დაამთავრა ჟანხუნდერის საშუალო სკოლა. მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. ჩაირიცხა ქ. სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედ. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1979 წელს. მუშაობდა ქ. სოხუმის კულინარიულ სასწავლებელში ლიტერატურის მასწავლებლად. აფხაზეთის ომის დროს აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. 1993 წლის 20 სექტემბერს მტრის ტყვიამ იმსხვერპლა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, დასაფლავებულია ქ. სოხუმში „კამტაკის“ სასაფლაოზე.

[blur]„უშენოდ ვხვდებით ახალ წელს, ჩვენო სახელოვანო და საამაყო ბიჭო. ამ დაწყევლილ ნახევარ წელიწადში მეორედ შევიმოსეთ ძაძებში, აფხაზეთის ომმა დაგვაქცია და მოგვთხარა. ჯერ იყო და ლაშას დაღუპვამ დაგვატეხა თავს მეხი. იმ დღიდან შენ ერთიანად შეიცვალე, შენთან თანშეზრდილი დისშვილის, ჩოლოყაშვილის ბატალიონის მებრძოლის ლაშა ჯანხოთელის გმირულად დაღუპვამ, სოფელ შრომასთან, ჯოჯოხეთი დაატრიალა ჩვენს ოჯახებში. შენ კი ამ თავზარდამცემმა ამბავმა რაღაც არნახული ძალა შეგმატა და ვალში არ რჩებოდი მტერს. წინ ლაშას ხატება მიგიძღოდა და მტრის შესამურსად მოგიწოდებდა.

თერთმეტი თვის განმავლობაში იბრძოდი გუმისთის ხაზზე. 23-ე მოტომექანიზებული ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადის ერთ-ერთ ქვედანაყოფს მეთაურობდი. გქონდათ წარმატებებიც და წარუმატებლობაც, მაგრამ გამარჯვების რწმენა არასდროს დაგიკარგავს. მოძალადესა და მომხდურს ლაშას სახელითაც უმასპინძლდებოდი.

ვაი, რომ ამო შეიქნა ამდენი მსხვერპლი, შენი და შენისთანების თავგანწირვა. 21 სექტემბერს მტრის ტყვია კელასურის მისადგომებთან წამოგეწია. შენმა გამწარებულმა დამ და სიძემ ლაშას გვერდით მიგიჩინეს სამუდამო ბინა, მტრის ხელში მოქცეული სოხუმის მიწაზე განისვენებ ჟახუნდრელო ვაჟკაცო, თუმცა რა, სოხუმიც მშობლიური იყო შენთვის, იქ ისწავლე, უმაღლესი განათლება მიიღე და საშუალო-სპეციალურ სასწავლებელში პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობდი. სოხუმის დაცვას შეეწირე, ჩვენო ნამუსიანო, წიგნიერო, ზნეკეთილო ბიჭო.

ჩვენო იმედო და სიამაყე, ომის დაწყების პირველი დღიდანვე იქ იდექი, სადაც შენისთანა ვაჟკაცების ადგილი იყო. გულს ნუ გაიტეხ, რას იზამ, სამშობლო მსხვერპლს მოითხოვს რჩეულთა ხარჯზე, და შენც პირველთა შორის პირველი შეხვედი...

ვაი ჩვენს მოსწრებას, ბიჭებო, თქვენს საფლავებთან მოსვლის საშუალება მაინც გვექონდეს, უსაშველოდ მონატრებულებმა ცივი სამარის მოფერებით რომ ვიჯეროთ გული. ტარიელ, შენ ხომ იანვარში ხარ დაბადებული, წინასწარ გილოცავთ დაბადების დღეს ჩვენო საფიცარო ბიჭო. ლაშა ყურადებიანია და ეს დღე არ გამორჩება. შენი დაბადების დღეს შენს გვერდით მარტო ის გეყოლება.

მიხედეთ ერთმანეთს, ბიძა-დისშვილო, ერთმანეთს გაუფრთხილდით, ერთმანეთს გაუგონეთ, არაფერი მოიწიოთ მტრის გარემოცვაში.

იძინეთ მშვიდად, მამულისათვის თავდადებულ ვაჟკაცებო.

უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები”.



გიორგი (გია) ოდიშარია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზირებული ბრიგადის საკომენდატო ასეულის მსროლელი ოდიშარია გიორგი ომის ძე, დაბადებული 1970 წელს, სოხუმის მკვიდრი ქართველი, უცოლშვილო, საშუალო განათლებით, მცხოვრები ქ. სოხუმში.

გიორგი ოდიშარია 1993 წლის მარტში თავდაცვითი ბრძოლების დროს მივიდა მოწინავეზე და მონაწილეობა მიიღო მტრის ძლიერი დესანტის განადგურებაში. ის – ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჯარისკაცი თავდადებულად იბძროდა, იჩენდა პირად ინიციატივას. თავისი ვაჟკაცობითა და აქტიურობით დაიმსახურა თანამებრძოლთა სიყვარული და პატივისცემა, რის შედეგადაც ჩაირიცხა სპეცდანიშნულების რაზმში, რომელსაც დაევალა მტრის ფეხოსანთა ჯავშანტექნიკის განადგურება. რაზმმა დავალება პირნათლად შეასრულა. გია შემდეგშიც იყო საიმედო და შემსრულებელი ჯარისკაცი.

გიორგი ომის ძე ოდიშარია 1993 წლის 8 მაისს ქ. სოხუმში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მტრის ტყვიამ იმსხვერპლა. დაკრძალულია სოხუმში ლეჩქოფის სასაფლაოზე. დარჩა მხოლოდ მშობლები.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წ. 16 ივნისის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).



მერაბ ნიქაბაძე

ნიქაბაძე მერაბ ჯანსუღის ძე დაიბადა 1959 წლის 7 სექტემბერს. ცხოვრობდა ქ. თბილისში.

მ. ნიქაბაძე იყო ავღანელთა კავშირის წევრი. იგი ბატალიონ „ავღანელში“ ირიცხებოდა 1992 წლის 3 სექტემბრიდან. როგორც ბატალიონ „ავღანელის“ მეთაური გურამ ჯანიაშვილი იგონებს, მ. ნიქაბაძე მონაწილეობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც ასრულებდა დანაყოფი.

[blur]სოხუმის დაცემის საბედისწერო დღეს – 1993 წლის 27 სექტემბერს მერაბ ნიქაბაძე იმყოფებოდა ქ. სოხუმში, მინისტრთა საბჭოს შენობაში. ბრძოლები მინისტრთა საბჭოს შენობისათვის მიმდინარეობდა 27/IX-ის დილიდან საღამოს 16 სთ-მდე, როცა მტერმა შეძლო შენობის აღება. თვითმხილველთა თქმით, საღამოსათვის შემოტევები გაძლიერდა იმდენად, რომ ბატალიონის ნარჩენებს უკვე აღარ შესწევდათ მტრის შეჩერების უნარი. აფხაზმა სეპარატისტებმა, დაქირავებულმა ბანდებმა, რუსი ოკუპანტების ხელშეწყობითა და მეთაურობით შეძლეს მინისტრთა საბჭოს შენობის აღება. ამ ბრძოლაში იკარგება მერაბ ნიქაბაძის კვალი. სავარაუდოდ, იგი ამ ბრძოლაში გამირულად მებრძოლი, დაიღუპა მტრის ხელით.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 ნოემბრის N877 განკარგულებით მერაბ ნიქაბაძე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

გარდაცვალების იურიდიული ფაქტის დადგენით გაიცა გარდაცვალების მოწმობა, რომლის საფუძველზეც მ. ნიქაბაძე ითვლება აფხაზეთში დაღუპულად.



პეტრე ნინუა

რიგითი ნინუა პეტრე ავთანდილის ძე მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 3-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-8 ბატალიონის I ასეულში მსროლელად 1992 წ. 25 ნოემბრიდან.

აფხაზეთში მიმდინარე სამხარი მოქმედებების დროს ნინუა პ. ა. თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ბატალიონის მიერ წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში შრომა-კამანის მიმართულებით.

პეტრე ნინუა დაიღუპა საბრძოლო ოპერაციის შესრულებისას 1993 წლის 24 სექტემბერს სოხუმის რ-ის სოფ. თავისუფლებაში. დასაფლავებულია სოფ. თავისუფლებაში.



ემზარ ნადარეიშვილი

ემზარ გრიგოლის ძე ნადარეიშვილი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-II საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის I მოტომსროლელი ბატალიონის რიგებში ირიცხებოდა 1992 წლის ნოემბრიდან (ბრძ. ბ N31. 7.11.92 წ.) მზვერავად.

აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დროს მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. მონაწილეობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში. იყო ინიციატივიანი და შემსრულებელი მებრძოლი. მეთაურის დავალებებს ასრულებდა დროულად და პირნათლად. მას მრავალი მაღლობა აქვს დამსახურებული ბატალიონის მეთაურისაგან. თანამებრძოლებში სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

ემზარ გრიგოლის ძე ნადარეიშვილი 1993 წლის 6 იანვარს, მტერთან შეტაკების დროს მდ. გუმისთასთან გმირულად დაიღუპა.

დაკრძალულია სოხუმის რ-ნი სოფ. ბესლეთში.

გმირულად იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული სული!

აქვსენტი (ტასო)



ნაჭყებია აქვსენტი (ტასო) ალექსანდრეს ძე დაიბადა ქ. სოხუმში 1963 წ. 17.02. ქართველი, განათლება – უმაღლესი, უცოლშვილო.

„აფხაზეთის ომის დაწყებისას ახლობლებთან სტუმრობს გალში, იმ სადამოსვე გადმოდის და რამდენიმე საათში ფეხით ჩამოდის სოხუმში (საგზაო-სარკინიგზო ტრანსპორტი მალევე პარალიზებული აღმოჩნდა). 18 აგვისტოს ტასო უკვე გენერალ გენო ადამიას შენაერთის ჯარისკაცია და იბრძვის ბოლომდე, მანამ სანამ სჯერა. სჯერა კი სოხუმის დაცემამდე სნაიპერის მიერ ზუსტად დამიზნებულ ტყვიამდე; მანამ, სანამ „მამულის კეთილდღეობისა“ და „ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისათვის“ ბრძოლა მართალ და ჯანსაღ თამაშს ჰგავს.

23-ე მექანიზებული ბრიგადის საზენიტო ბატალიონის ჰაერსაწინააღმდეგო დივიზიონის („შილკას“) ოცეულის მეთაურმა, 31 წლის სოხუმელმა ინჟინერმა აქვსენტი (ტასო) ნაჭყებამ ვერ მიატოვა ქალაქი და სხვებთან ერთად დარჩა „წაგებულ წრეში“.

...ომი ახალი დაწყებული იყო. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ბიჭებმა ტანკი შემოაგრიალეს. მუხლუხებიანი მანქანა გაზონზე გადავიდა და ნაძვი წააქცია. ტასოც იქვე იდგა. ისე გაბრაზებულა, თავი ვერ შეიკავა: „რას შვრებით, ბიჭებო... ომი ომია, მაგრამ ეს ქალაქი ხომ ჩვენია, ჩვენი გასაფრთხილებელი და ბოლომდე მოსავლელიო!“ სანამ ის ლამაზი ნაძვი ფეხზე არ წამოაყენა და არ გამართა, იქიდან არ წამოსულა.

...ომის დროს მტრის თითო-ოროლა თვითმფრინავი თუ გამოუყვანია მწყობრიდან ჩვენს ჰაერსაწინააღმდეგო შენაერთებს. ერთ-ერთი ტასოს „შილკა“ იყო, მიზანს რომ მოხვდა.

ომით დაფიქსირებული დიალოგი...

– გთხოვთ, გაიყვანეთ დედა და ბავშვები და დატოვეთ ქალაქი, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, ერთი ორი დღე და... ვილაცამ ხომ უნდა აიტანოს ეს ჯოჯოხეთი... დედამ უნდა გამიგოს... ჯერ ვერ წამოვალ, ისედაც ბევრი დავკარგეთ... – სადგურს მიმდებარე ტერიტორიაზე ერთმანეთს გადახვეული და-ძმა განშორებით შეწყვეტილ ერთად ყოფნის წამებს ითვლიდა. ტასოს მართლა არ ეშინოდა, მაგრამ მის წინ ვედრებისთვის დაჩოქილი მარინა ებრალებოდა. (სამ დას ეს ერთი საფიცარი ძმა ჰყავდა). ეს იყო თვალებით გამხელა იმისა, რომ დამარცხებული ხარ, რომ უკვე ყველაფერი ამაოა, მაგრამ სხვანაირად მოქცევის უფლება არა გაქვს...

ძიძარასა და გელოვანის ქუჩების მისადგომები ერთ-ერთი მძიმე უბანი აღმოჩნდა, სადაც 19 სექტემბერს საკუთარი აწყობილი ტანკით უკანასკნელ საბრძოლო დავალებას წარმატებით შეასრულებს ლეიტენანტი. სასაფლაოზე წასვენების არანაირი საშუალება არ იქნება და საკუთარ ეზოში ერთადერთი ბოთლი შამპანურის ბათქითა და ავტომატების კაკანა ჯერით ბიჭები, დედა და დები დაემშვიდობებიან ტასოს.

მუდამ მომღიმარს, იმედიანს, ვაჟკაცურს, მხნესა და ომახიანს დაიმახსოვრებენ ახლობლები და თანამებრძოლები ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერს ტასო ნაჭყებიას“.

ნანა ჭანტურიას მოგონებებიდან

„ცოცხლები არავის დავუთმობთ

მშობელი მიწის ღალასა

სიკვდილს აღვუთქვით სიცოცხლე

და პირი... სისხლით ბანასა,

გაზრდის-ღა კიდევ მშობელი

ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?“



კაპიტანი თავალანძე გიული რაფიელის ძე დაბადებული 1952 წლის 4 თებერვალს გალის რაიონ სოფ. ოტობაიაში. სოხუმის სკოლა- ინტერნატის დამთავრებისთანავე 1969 წელს ჩაირიცხა სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის სამშენებლო ფაკულტეტის სარამოს განყოფილებაზე. 1992 წლის ომის დაწყების პირველი დღიდან, ჩადგა ქალაქის დამცველთა რიგებში. დანიშნეს 23-ე ბრიგადის საინჟინრო მესანგრეთა სამსახურის უფროსად, იყო კაპიტანი.

კაპიტანი თავალანძე გიული რაფიელის ძე 23-ე ბრიგადის საინჟინრო მესანგრეთა ასეულის სამსახურშია 1992 წლის ოქტომბრიდან .

1993 წლის 13 მარტს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებიდან ქ.სოხუმის მიდამოებში ჩამოყრილი იქნა 500 კილოგრამიანი საავიაციო ბომბები, რომელთა უმრავლესობა არ აფეთქდა. მეორე დღეს გიული თავალანძემ მიიღო საბრძოლო დავალება სოფ. აჩადარის საბრძოლო პოზიციაზე 500კგ აუფეთქებელი ავია ბომბის განაღმვის შესახებ, მესანგრეების ჯგუფი გავიდა სოფ. აჩადარაში საბრძოლო დავალების შესასრულებლად, გასაუვნებელყოფად შემთხვევის ადგილზე გასულ მესანგრეთა ჯგუფს თან გაჰყვა ჟურნალისტებიც. განაღმვის მომენტში ბომბი აფეთქდა და მასთან ერთად იმსხვერპლა კიდევ 11 ადამიანის სიცოცხლე (გვარდიელები: რამაზ ბესელია, ავთანდილ კოპალიანი, რუსლან ცხადაია, ნოდარ ოსაძე, აკაკი მიმინოშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი ანდრო მაღლაკელიძე. ჟურნალისტები: საქართველოს პრესცენტრის თანამშრომლები - გიორგი პოპიაშვილი და ალექსანდრე კარაპეტციანი, დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეს“ თანამშრომლები ჯუმბერ ეზუგბაია და გულიკო გოდოლაძე) მესანგრეთა ჯგუფიდან გადარჩა მხოლოდ დიტო ტალახაძე რომელიც ვიცე პოლკოვნიკის ბრძანებით წასული იყო მეზობელ სახლში ფიცრის მოსატანად.

სამწუხაროდ მათი ცხედარი ისე იქცა ნაფლეთებად რომ ცალ-ცალკე მათი დაკრძალვა ვერ მოხერხდა. დასაფლავებულია კურჩენკოს პარკში ძმათა სასაფლაოზე. გიული თაკალანძე დაჯილდოვებულია მედალით მხედრული მამაცობისათვის. 14 მარტი მესანგრეების ხსენების დღეა.



ევგენ ნაჭყებია

რიგითი ნაჭყებია ევგენი აველის ძე გაწვეულ და ჩარიცხულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს სოხუმის ბატალიონის მებრძოლად (სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის ბრძანება N12, 21 იანვარი 1993 წელი).

ნაჭყებია ე. ა. გამოირჩეოდა როგორც მამაცი, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი. მეომრებს შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. 1993 წლის 12 ივლისს ევგენი იმყოფებოდა საბრძოლო პოზიციებზე, მტრის მიერ ერთ-ერთი საარტილერიო დაბომბვის დროს ჭურვით სასიკვდილოდ დაიჭრა. ბრძოლის ველიდან დაღუპული გამოასვენეს მისმა თანამებრძოლებმა: დარჯანია ოთარიმ და შამათავა მათემ.

დასაფლავებულია გულრიფშის სასაფლაოზე.



გიორგი (გია) ნაჭყებია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის მესამე ბატალიონის მეორე ასეულის მებრძოლი – გიორგი ჟორას ძე ნაჭყებია, მსროლელი 1992 წლის 22 ოქტომბერს გუმისთის მისადგომებთან ერთ-ერთი საომარი ოპერაციის დროს გმირულად დაიღუპა.

ღირსეული პიროვნება იყო გია, ზრდილი, თავმდაბალი, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული, მუდამ სხვისი ჭირის გამზიარებელი, ბოროტებასთან და უსამართლობასთან შეურიგებელი. გიას ხანმოკლე ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა იცხოვროს ჭეშმარიტმა ვაჟკაცმა და საჭიროების შემთხვევაში უიარაღოდაც კი არაფერი დაუთმოს კბილებამდე შეიარაღებულ მტერს და თავისი გმირული სიკვდილით დაამარცხოს და გააოგნოს იგი. 22 ოქტომბერს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გია გმირის სიკვდილით დაეცა აფხაზ ექსტრემისტებთან შეტაკებისას. კიდევ ერთი სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ვაჟკაცის სისხლი დაიღვარა წმინდა საკურთხეველზე, რომლის სულმაც გმირ წინაპართა უკვდავ გალერეაში დაიდო ბინა. იგი გულით დაიტირეს ფრონტის ხაზს იქით დარჩენილმა თანასოფლელებმაც, საიდანაც „მოყვარე მტრისაგან“ თავგზააბნეული ბავშვობის მეგობრები ესროდნენ.

ვინ იცის, იქნებ ამ ცრემლმაც თქვას თავისი სათქმელი სიტყვა, როცა კვლავ ერთად შეიყრებიან გაღმა-გამოღმა დაღუპულთა შვილები, მაგრამ არა ომისათვის – მშვიდობისათვის!

მიწას მიაბარა მისმა ნათესავმა და ახლობელმა ნაჭყებია აქვსენტიმ (ტასო).



კობა მირზაშვილი

კობა ნიკოლოზის ძე მირზაშვილი დაბადებული 1964 წლის 14 ივნისს ქ. სოხუმში.

27 სექტემბერი ჯვართამაღლების დღეა.

ამ დღეს ჩვენი სათაყვანებელი ქრისტე მაცხოვარი ჯვარზე ამაღლდა ცად და მამაღმერთის გვერდით დაიკავა ღირსეული ადგილი.

ამ დღიდან მამაღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა ერთარსება ჩვენს წმინდა სამეზას წარმოადგენს.

კობა სამშობლოსათვის იბრძოდა. სამშობლოს კეთილდღეობისათვის სიცოცხლე მიიტანა მის სამსხვერპლოზე. დაცვის ბიჭები: მამია ალასანია, ავთო დეკანოსიძე, ელგუჯა შარტავა, თენგიზ აბსანძე, ბადრი ბალათურია, მერაბ კვინიკაძე და სხვა ცოცხალ ჯგებირად ედგნენ ბატონ ჟიულის. კობამ სიყვარულიც იცოდა და თანადგომაც. ის ვაჟკაცურად იტანა იმ დღეებში ყველა გასაჭირს და მტერსაც ვაჟკაცურად დაუხვდა. კობა მირზაშვილი იმ დღიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

*გაუფრთხილდი საქართველო მათ სახელებს. მოეფერე,
საქართველო ამ ბიჭების ხსოვნას!*



გურგენ მატარაძე

გურგენ ავთანდილის ძე მატარაძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის I-ლი მოტომსროლელი ბატალიონის რიგებში ირიცხებოდა 1992 წლის 25 სექტემბრიდან ყუმბართმტყორცნელად.

აფხაზეთის ომის დაწყებიდან მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. მონაწილეობა მიიღო ბატალიონის მიერ განხორციელებულ რამოდენიმე ოპერაციაში, კერძოდ სოფ. აჩადარაში მიმდინარე ბრძოლაში. მეთაურის დავალებებს ასრულებდა პირნათლად, იბრძოდა თავდაუზოგავად. იყო ინიციატივიანი მებრძოლი. თანამებრძოლებში სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

1992 წლის 16 ოქტომბერს აფხაზი სეპარატისტების შემოტევის დროს იგი გმირულად დაიღუპა გუმისთის მისადგომებთან. დაღუპვის ადგილიდან იგი თანამებრძოლებმა გამოასვენეს. დაკრძალულია სოხუმის რაიონ სოფ. აკაფაში.

გურგენ ავთანდილის ძე მატარაძე დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ (N00973) სიკვდილის შემდეგ.



თამაზ (ზვიჩა) მიქაძე

თამაზ გივის ძე მიქაძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს II საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელთა ბატალიონის რიგებში ირიცხებოდა 1992 წლის 4 ოქტომბრიდან (ბრძანება N72) და დაინიშნა მესამე საცეცხლე ოცეულში 1 ნოემბრიდან.

აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს, მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ განხორციელებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში.

1993 წლის 16 მარტს სოფ. აჩადარასთან მიმდინარე ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა.

დაჯილდოვებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.
იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.



რომან მიქაძე

უფროსი ლეინტენანტი (სამხედრო ბილეთი N685/85) მიქაძე რომანი კარლოს ძე, დაბადებული 1932 წლის 29 ოქტომბერს, გულრიფშის რაიონში.

1992 წლის დეკემბრიდან მსახურობდა მეორე საარმიო კორპუსის ცალკეულ სატანკო ბატალიონში, მიღებული აქვს აქტიური მონაწილეობა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა სამხედრო ოპერაციაში. ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს ლაბრის მიდამოებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

1993 წლის ივლისში მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციაში, შრომა-კამანის გადასასვლელში, სადაც მტრის ძალებთან უშუალო შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა. სამშვიდობოს გადმოასვენეს თანამებრძოლებმა.

თავდი მელაშვილი



მელაშვილი თავდი ივანეს ძე იყო საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-II ბრიგადის 117-ე ბატალიონ „შაენაზადას“ სამხედრო მოსამსახურე. რიგითი 4.01.93 წლიდან. დაიღუპა აფხაზეთში 1993 წლის 26 სექტემბერს სოხუმში, ბრძოლების დროს.



ტარიელ მაკალათია

ტარიელ მიტუმას ძე მაკალათია დაიბადა 1972 წლის 14 თებერვალს ქ. სოხუმში.

1978 წელს შევიდა ქ. სოხუმის მე-16 საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1989 წელს.

ამავე წელს ჩაირიცხა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე, პარალელურად დადიოდა ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე.

თავისუფალ ჭიდაობაში ფლობდა სხვადასხვა ხარისხის მედლებს.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ჩაება მასში. იყო სოხუმის N1 ბატალიონის მონაწილე, რომელსაც მეთაურობდა დავით სოხაძე. დღე და ღამე იმყოფებოდა პოზიციებზე.

ცოტა ხანში, ერთ-ერთი საბრძოლო შეტაკების დროს, მუცლის არეში ხუთი ტყვიით დაჭრილმა ვაჟკაცმა კიდევ ერთხელ სცადა ქალაქში შემოჭრილი მტრისგან პატარა ბავშვის დაცვა, ამ დროს სნაიპერის მიერ გასროლილი, თავში დამიზნებული მეექვსე ტყვია საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

ზიგურდი მურუსიძე



ზემდეგი ზიგურდი მიხეილის ძე მურუსიძე სოხუმის სამხედრო გარნიზონის რკინიგზის კვანძის კომენდატურაში ირიცხებოდა 1992 წლის 18 დეკემბრიდან. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. მეთაურების ყველა დავალებას ასრულებდა პირნათლად. მონაწილეობას ღებულობდა ქ. სოხუმის თავდაცვით ოპერაციებში.

ზ. მურუსიძე 1993 წლის 27 სექტემბერს ტყვედ ჩაუვარდა აფხაზ სეპარატისტებს და დახვრეტილ იქნა.

აკაკი მიმინოშვილი



აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ლეიტენანტი მიმინოშვილი აკაკი ვასოს ძე ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის საინჟინრო ჯარების განყოფილების უფროსად 1993 წლის იანვრიდან. ის იყო მამაცი, დისციპლინირებული მეომარი, მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში.

1993 წლის 14 მარტს მტრის შემოტევის დროს გუმისთის მიდამოებში სოფ. აჩადარაში განაღმვითი ოპერაციის დროს დაიღუპა.



ფრიდონ მაისურაძე

ფრიდონ მაისურაძე დაიბადა 1962 წლის 29 იანვარს გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში.

პატარაობიდანვე უყვარდა მუსიკა და ცეკვა. მეტად თბილ და ტკბილ ოჯახში იზრდებოდა, რომელსაც, დავაჟაკების შემდეგ, მეუღლე და შვილი კახაბერი შემატა. და აი, მისი სამშობლოს მოწმენდილ ცაზე შავი ღრუბელი ჩამოწვა. ფრიდონი მამასთან და ძმასთან ერთად ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ს/ნ 15644-ის მეთაური ვიცე-პოლკოვნიკი ე. მუკბანიანი საბრძოლო მოკვლევაში წერს: „1993 წლის 17 მარტს მეორე ბატალიონის სარეზერვო ძალები ატარებდნენ დივერსიული ჯგუფის ლიკვიდაციას, მათ რიგებში იყო III ასეულის მეზობელი ფრიდონ ტარიელის ძე მაისურაძე. ის უშიშრად, ვაჟაკური სიმტკიცით ებრძოდა შემოჭრილ მტერს, გაანადგურა რამდენიმე „ბოევიკი“ და თვითონაც მხედრული ვალის მოხდით დაეცა ბრძოლის ველზე“.

თანამებრძოლები იგონებენ: „გუმისთაზე შეტევის დროს ოქრუა სასიკვდილოდ დაჭრეს, თემურამ და ფრიდონამ გადაწყვიტეს მისი ბრძოლის ველიდან გამოყვანა, მაგრამ ბედმა უმუხტლათ და ისინიც მტრის ტყვიის წერა გახდნენ. ერთად გაზრდილები ერთად დაიხოცნენ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში და ერთად ჰპოვეს სამუდამო სამარე სოხუმის რაიონის სოფ. ოდიშში“.

ფრიდონ მაისურაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

*გუდაუთიდან გადმოხვეწილებს
მოგვაცილებდნენ მერცხლის გუნდები,
უბრუნდებიან ბუდეს მერცხლები –*

ჩვენ ოჯახებში ვერ დავბრუნდებით,
თუმცა მცირე ხნით ჩავებით ომში,
მტერს ბევრი სისხლის წვიმა ვაწვიმეთ,
ბოლოს ჩვენც მოვკვდით ძმური სიკვდილით –
საფლავიც ერთად გავინაწილეთ.



მალხაზ მაისურაძე

რიგითი მაისურაძე მალხაზ დავითის ძე ჩაირიცხა მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 მოტომსროლელ ბატალიონში 1992 წლის 1 დეკემბრიდან (ბრძ. N71 4.12.92 წ.) მე-3 ასეულის I-ლი ოცეულის ყუმბარმტყორცნელად.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში მდ. გუმისთის მისადგომებთან.

1993 წლის 16 მარტს აფხაზი სეპარატისტების მიერ განხორციელებული საარტილერიო ცეცხლდაშენის დროს ერთ-ერთი ჭურვის აფეთქებისას, მისი ნამსხვრევებით სასიკვდილოდ დაიჭრა გულ-მკერდის არეში, და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

1993 წლის 15-16 მარტს ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისა და გმირობისათვის დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

დასაფლავებულია სოხუმის რ-ნი სოფ. ოდიშში.



თენგიზ და კახაბერ ლომიძეები

თენგიზი დაიბადა 1972 წლის 20 თებერვალს ქ. სოხუმში.

1989 წელს დაამთავრა ბესლეთის I საშუალო სკოლა. 1989 წლიდან აფხაზეთის ომის დაწყებამდე მუშაობდა სოხუმის მე-3 პურის ქარხანაში.

1992 წლის 14 აგვისტოდან მოხალისედ ჩაეწერა 23-ე ბრიგადის სოხუმის ბატალიონში. მონაწილეობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, – სოხუმში, ათარა-არმიანსკაიაში, ს. აჩადარაში, მდ. გუმისთაზე. 1992 წ. 6 ნოემბერს მძიმედ დაიჭრა და 8 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია ბესლეთის სასაფლაოზე.

კახაბერის საბრძოლო მოკვლევაში ვკითხულობთ: რიგითი კახაბერ გოგის ძე ლომიძე, დაბადებული 1969 წლის 9 აგვისტოს, ქართველი, განათლება საშუალო, უცოლშვილო, მცხოვრები სოხუმის რაიონის სოფ. ბესლეთში. 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელ ბატალიონში ირიცხებოდა 1992 წლის დეკემბრიდან. აფხაზეთში მიმდინარე ომის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისა და ბედნიერებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. მონაწილეობა მიიღო ბატალიონის მიერ ჩატარებულ ბევრ საბრძოლო ოპერაციაში. აქტიური მოქმედებისათვის იგი არაერთხელ იყო აღნიშნული ხელმძღვანელების მიერ.

1993 წლის 18 აგვისტოს რიგითი კ. გ. ლომიძე მტრის მიერ განახლებული შემოტევის დროს ერთ-ერთი პირველი ჩაება ბრძოლაში. იგი იბრძოდა სოფ. ლინდავაში, ოდიშთან. 18 სექტემბერს მცირერიცხოვანი ჯგუფით იგი წინ გადაედგო მტრის ძლიერ შემოტევას სოფ. გვარდასთან. მათ მტერს დიდი ზარალი

მიაყენეს. კონტრშეტევის დროს კახაბერი დაილუპა მტრის მიერ ნასროლი ჭურვის აფეთქების შედეგად.

* * *

სადა ხარ, შვილო კახა? რომ იცოდე, როგორ დავიდალე ლოდინით! გაუსაძლისად ტკივილიანია ეს მოლოდინი. ხანდახან ასე მგონია, ისევ გაიღება ხმაურით კარი, გრიგალივით შემოიჭრები, შემომეჭდობი ყელზე, ლოყებს დამიკოცნი... სიზმარში როდესაც გხედავ, თვალის გახელის მეშინია, ისევ არ გამიქრე, არ დამეკარგო.

ოთხი ვაჟკაცი გაგზარდეთ წვითა და დავით. საქორწინოდ გამზადდებით, ვხარობდით თქვენით მე და უბედური მამათქვენი. ვინ იფიქრებდა, აფხაზეთში ომი რომ დაიწყებოდა და ოთხივენი ერთად წახვიდოდით ერის წინაშე ვალის მოსახდელად, წინა ხაზზე დადგებოდით სამშობლოს დასაცავად; როგორ წარმოვიდგენდი, რომ ორ შვილს ერთბაშად დაგკარგავდით... პირველად 20 წლის თენგიზი გამოარჩია მტრის დაუნდობელმა ტყვიამ. ის საცოდავი დავითირეთ და დავასაფლავეთ მაინც ქრისტიანულად. შენი კი ვერაფერი გავიგეთ. ნუთუ ყვავ-ყორნებისა და ღორების სათრევ-საჯიჯგნად გაგაჩინე და გაგზარდე, შვილო, ჩემო ერთგულო, პირდაპირო და მართალო ბიჭო? რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ, როგორ გვენატრები ყველას! სვეგამწარებული დედაშენის ცხოვრება შენს ღიმილიან სურთაებთან იწყება და იქვე მთავრდება. განა შენი დედ-მამის ყოფას სიცოცხლე ჰქვია?! ჩვენ ვარსებობთ მხოლოდ შენი ძმების – კობასა და ზვიადისათვის, რომლებიც თავგამოდებით გეძებენ დღესაც, თან თავს იმით ვინუგეშებთ, რომ იქ, ზეციურ საუფლოში, შეგეყრებით შენ და თენგიზს, რომ მოვეფეროთ თქვენს გატანჯულ სულებს, დაგიამოთ ყველა ტკივილი.

9 აგვისტო შენი დაბადების დღეა. საკუთარი მიწა-წყლიდან გამოდევნილი, მუხლებზე დაჩოქილი ვეალერსები შენსავით ბედდამწვარი სრულიად უცნობი ვაჟკაცის საფლავს და ლოცვასავით ვჩურჩულებ: დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, ჩემო პირგახსნილო იარავ, ჩემო სევდავ და ტკივილო, შენს ოცდამეხუთე აგვისტოს გილოცავ, შვილო! ნუგეში და შენი კეთილდღეობის იმედი არ მოაკლოს უფალმა შენს უბედურ მშობლებს!

*თქვენ გარბოდით შავი ზღვისკენ
ძრწოლითა და გულის ხეთქვით,
თქვენ ისა ხართ, ვინც განგაშის
პირველ ხარზე წამოდექით;
თქვენ ისა ხართ, ვინც ამ დღისთვის*

ხორცი წვრთნა და სული გემა,
ვინც მწუხარე ქართველის დედა
სიკვდილითაც ანუგემა.



ვახტანგ ლოჩოშვილი

ვახტანგ მიხეილის ძე ლოჩოშვილი დაიბადა 1959 წლის 18 მაისს გულრიფში.

სკოლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

დამთავრა აფხაზეთის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით. მუშაობდა გულრიფშის რაიონის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მთავარ ეკონომისტად.

1992 წლის 14 აგვისტოს, როდესაც აფხაზეთის ომი დაიწყო, ჩაირიცხა მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის VI ცალკეულ სატანკო ბატალიონში, საფინანსო სამსახურის უფროსად.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1993 წლის 5-6 იანვრის შემოტევის დროს მდ. გუმისთის მიდამოებში მიმდინარე ბრძოლების დროს.

განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1993 წლის 16 მარტის შემოტევის დროს მდ. გუმისთასთან მიმდინარე ბრძოლის დროს, სადაც მძიმედ დაიჭრა და ადგილზე გარდაიცვალა. ცხედარი გამოსვენებული იქნა ამავე ბატალიონის მეზობლების მიერ.

ვახტანგ ლოჩოშვილი დასაფლავებულია გულრიფში.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით 1994 წლის 4 დეკემბერს. (ბრძანება N00125).



კოპალიანი ტარიელი დაიბადა **1949 წლის 17 იანვარს ქ.**

სოხუმში.

პოლიციის ზემდეგი ტარიელ კოპალიანი, აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებების დროს (1992-93 წ.წ.) ქ. სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს საბადრაგო ქვეგანაყოფში მსახურობდა. იგი პირნათლად ასრულებდა საბრძოლო დავალებებს გუმისთა-შრომა-თავისუფლების მიმართულებით. მან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1993 წლის სექტემბრის ბოლო შემოტევის დროს.

ზემდეგი ტარიელ კოპალიანი, ცუგუროვკის ასეულის მებრძოლებთან ერთად მამაცურად დახვდა მტრის ჭარბ ძალებს სოფელ თავისუფლების მისადგომებთან, მან თავისი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა არაერთი სოფლის მშვიდობიანი მაცხოვრებელი.

1993 წლის 16 სექტემბერს ტარიელ კოპალიანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. დასაფლავებულია დაბა გულირიფში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ნოდარ ლაკერბაია

ლაკერბაია ნოდარი გრიგოლის ძე მსახურობდა 1992 წლის ნოემბრის თვიდან საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის საკომენდანტო ასეულ „ცხუმის“ მეთაურის მოადგილედ.

1993 წლის მაისის თვეში გადაყვანილ იქნა ქ. სოხუმის სამხედრო კომენდანტის მოადგილედ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა საბრძოლო ოპერაციაში, თავი გამოიჩინა, როგორც უშიშარმა და მამაცმა მებრძოლმა.

ნ. გ. ლაკერბაია 1993 წლის 18 სექტემბერს გმირულად დაეცა გუმისთის მიდამოებში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციისას („ემერის“ საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობასთან). დაღუპული ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს: ლომიძე ვახტანგმა და შანიძე ვაჟამ. დასაფლავებულია ქ. სოხუმში შუქურას სასაფლაოზე.



ლაშა ლაშვია

ლაშა ლაშვია დაიბადა ქ. სოხუმში 1974 წლის 11 მარტს. ეროვნება – ქართველი, განათლება – უმაღლესი დაუმთავრებელი, უცოლშვილო. მცხოვრები: ქ. სოხუმში.

ლაშა ვახტანგის ძე ლაშვია ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით. ოთხი წლის ასაკში 100-ის ფარგლებში ასრულებდა ყველა სახის მათემატიკურ მოქმედებებს, იცოდა ლექსები, კითხულობდა ქართულ და რუსულ ენებზე.

1980 წელს შევიდა ქ. სოხუმის მე-16 საშუალო სკოლაში, სადაც 0 კლასის გავლის გარეშე დასვეს პირველ კლასში.

1986 წ. გაზეთში გამოქვეყნდა, რომ თბილისის 25-ე სკოლაში მე-7 კლასის მოსწავლეებისათვის ტარდებოდა გამოცდები მათემატიკაში, რომელსაც უნდა გამოეველინა განსაკუთრებული ნიჭის ბავშვები. აღსანიშნავია, რომ ლაშამ მიიღო მონაწილეობა ამ გამოცდებში, მან ბრწყინვალედ ჩააბარა და ჩაირიცხა, მიუხედავად ამისა სწავლა გააგრძელა ქ. სოხუმის მე-16 საშუალო სკოლაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრა 1990 წელს. იმავე წელს ლაშა ერთი გამოცდით (მათემატიკა) ჩაირიცხა სუბტროპიკული ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე.

1992 წლის 14 აგვისტოს, როცა ომი დაიწყო, ლაშა მეზობლებთან ერთად ქუჩის დასაცავად დადგა. შემდეგ გახდა 23-ე ბრიგადის საჰაერო თავდაცვის მეომარი. ლაშას 19 წელი ნაწილში შეუსრულდა, სამხედრო ფორმამ ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭი, დაავაჟკაცა. გახდა N801 შილკის ოპერატორი.

1993 წ. სექტემბერის შემოტევისთანავე ლაშა არა შილკაზე, არამედ სოფ. თავისუფლების საომარ ხაზზე გაიქცა, მას ავტომატიც არ ჰქონდა, მასთან იყო გოჩა კვანტალიანი და დავით ევაძე. ეს საომარი გზა ამ ბიჭებისთვის ჩვენდა სავალალოდ საბედისწერო აღმოჩნდა. ისინი უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან.

ლაშა – დედისერთაა. დედამისი დღემდე ეკლესიაში ლაშასთვის ორ სანთელს ანთებს – ჯანმრთელობაზე და მოსაგონარზე.

დედის წერილიდან: „მე არ ვიცი, რომელი დედაა უფრო დამშვიდებული, რომელმაც შვილის საფლავი იცის თუ ისეთი დედა, რომელიც იმედიტაა, რომ შვილი ცოცხალი დაუბრუნდება. ესეც უფლის ნებაა“.

ლაშაზე კიდევ ბევრი რამის დაწერა შეიძლება, მაგრამ საუბედუროდ ადამიანის ცხოვრება ორი თარიღით აღინიშნება, ჩვენს შემთხვევაში კი 1974 – და ნუთუ 1993 წელი?..

*სისხლში მობანავე საქართველოს
ჯავრი ხატისხატად მისვენია,
ვაიმე, დამეწვა გულისპირი,
ავაჰმე, ეს ზამთარი წითელია.
ბუნებაც გადაგვიდგა მტერთა ნებად,
მზის სხივი დაიბინდა ქარწვიმებით.
გაზაღბულზე ამოვლენ ყვავილებად –
თოვლუქვეშ დამარხული ყმაწვილები.*



ზურაბ კონჯარია

სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი ზურაბ ნესტორის ძე კონჯარია, დაბადებული 1944 წელს, ქართველი, უმაღლესი სამედიცინო განათლებით, მცხოვრები ქ. სოხუმში, ცოლშვილიანი. ზურაბ კონჯარია 23-ე ბრიგადის ცალკეულ ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონში მოვიდა სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტის ჩინით, როგორც სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული და ჩაირიცხა სამედიცინო სამსახურის ოფიცრის თანამდებობაზე, დივიზიონის სამედიცინო სამსახურის სტომატოლოგიური პუნქტის გამგედ.

ზ. ნ. კონჯარია იყო შესანიშნავი სპეციალისტი და ფლობდა სამედიცინო საქმის ფართო სპექტრს. თანამებრძოლთა შორის სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. ომის პერიოდში მწყობრში ჩააყენა არაერთი დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლი.

დაიღუპა 1993 წლის 28 სექტემბერს ქ. სოხუმში. ზურაბ კონჯარია დახვრიტეს ახვაზმა სეპარატისტებმა, დივიზიონის შტაბის ეზოში. დაკრძალულია იქვე.



მერაბ კვინიკაძე

კვინიკაძე მერაბი კარლოს ძე დაბადებული 1954 წლის 23 მაისი, ეროვნებით ქართველი, განათლება – უმაღლესი.

1992 წლის 30 დეკემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის N42 ბრძანებით შეიქმნა სპეციალური დანიშნულების რაზმი „იუპიტერი“. 1992 წლის 31 დეკემბერს სპეცრაზმი „იუპირეტი“-ს მეთაურის N1 ბრძანებით კვინიკაძე მერაბი კარლოს ძე დაინიშნა პირადი დაცვის განყოფილებაში განყოფილების უფროსის მოადგილედ, სამხედრო წოდებით – უფროსი ლეიტენანტი.

კვინიკაძე მერაბი კარლოს ძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში აფხაზეთის რეგიონში, კერძოდ ქ. სოხუმისათვის წარმოებულ ბრძოლებში და პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

1993 წლის 27 სექტემბერს მერაბ კვინიკაძემ დაცვის სხვა თანამშრომლებთან ერთად არ მიატოვა მინისტრთა საბჭოს შენობა. ბოლომდე იბრძოდა სოხუმის დაცვისათვის. მერაბ კვინიკაძე გმირულად დაიღუპა 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობის წინ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობისაგან.



გენო კვიციანი

გენო შოთას ძე კვიციანი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს II საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-4 „გაგრის“ ბატალიონში ჩაირიცხა რიგით მეზრდოლად 1993 წლის 20 იანვარს. მიღებული ჰქონდა მონაწილეობა ყველა საბრძოლო ოპერაციაში ბატალიონთან ერთად. იყო დისციპლინირებული და შემსრულებელი ჯარისკაცი. მეთაურის დავალებებს ასრულებდა დროულად და პირნათლად.

1993 წლის 16 სექტემბერს მოწინააღმდეგის შემოტევის დროს სოფელ აჩადარაში (კერძოდ მე-8 პოლკის მიდამოებში) გმირულად დაიღუპა. იარაღით ხელში სისხლის ბოლო წვეთამდე იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თანამებრძოლებს იქვე გუმისტაზე სასწრაფოდ მიწა მიუყრიათ.

2010 წელს მიწა დაწეულა და ცხედარის ნეშტი გამოჩნდა, რის შემდეგაც ექსპუმაცია მოახდინეს აფხაზებმა და 2010 წლიდან სოხუმის მორგში ესვენათ. აფხაზეურმა მხარემ მიმართა წითელ ჯვარს, საიდანაც დნმ-ის ანალიზით დადგინდა მისი ვინაობა.

არგენტინის სამედიცინო ექსპერტიზის ანტროპოლოგიათა გუნდის EAAF-ის მიერ სა კმე # ARA02-001B ამოცნობილი კვიციანი გენო შოთას ძე (8522ო) ნეშტის ექსპუმაცია მოხდა 2010 აპრილში მდინარე გუმისტის სანაპიროზე აფხაზი სამ.ექსპ. მიერ. 2013 წელს წითელმა ჯვარმა დნმ-ის ანალიზისთვის ნიმუშების შეგროვება დაიწყო. ნეშტი და მასთან არსებული ნივთმტკიცებები შენახულ და დალუქულ იქნა რესპუბლიკის მედიცინის ბიუროს ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. 2013 წელს ცხედარის ძვლის ნიმუშები და ოჯახის წევრების დნმ-ის ანალიზის ნიმუშები გაიგზავნა ხორვატიაში, ზაგრების უნივერსიტეტში გენეტიკური რეზულტატის

მიღებაზე. პასუხისმგებელ მხარეს წარმოადგენს წითელი ჯვარი. მომზადდა გენეტიკური დამთხვევის ანგარიშები გარდა ამისა ოჯახის წევრების მიერ ამოცნობილ იქნა დაღუპულის პირადი ნივთებიც.

რედაქტირებულია 08.08.2015

აფხაზეთის ომის დროს დაღუპული კიდევ 12 ადამიანის იდენტიფიცირება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოხდა. 11 მათგანი ბაბუშერის აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქებისას დაიღუპა. დღეს (2015 წლის 8 აგვისტო) 9 მათგანი დიღმის ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს. მათ შორის იყო გენო კვიციანი.



გურამ (კობა) კობახიძე

კობახიძე გურამი ამირანის ძე 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონის დაზვერვის ოცეულის ათმეთაური. დაბადებული 1954 წლის 15 ოქტომბერს, ქართველი, განათლება საშუალო. მცხოვრები ქ. სოხუმში.

ჩაირიცხა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მე-2 ბატალიონის სადაზვერვო ოცეულის მზვერავად 1992 წლის 23 სექტემბერს (ბრძ. N3 23.09.92 წ. – რ. გახოკიძე) ამავე წლის 1 (პირველ) ნოემბერს დაინიშნა 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონის დაზვერვის ოცეულის ათმეთაურად (ბრძ. N70. 3.12.92 წ. – გ. ადამია).

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მე-2 ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და თავდადებულმა მეომარმა 1993 წლის 15-16 მარტის თავდაცვითი ოპერაციების დროს, რისთვისაც დაჯილდოვებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

1993 წლის 29 მარტს მდ. გუმისთის მისადგომებთან აფხაზ სეპარატისტთა მიერ ნასროლი ჭურვის აფეთქების შედეგად მძიმედ დაიჭრა ჭურვის ნამსხვრევებით და ადგილზევე გარდაიცვალა მიღებული ჭრილობისაგან.

დასაფლავებულია ქ. სოხუმში.



შერმადინ კუპრავა

კუპრავა შერმადინ გრიგოლის ძე მე-8-ე ბატალიონის დაარსების დღიდან ირიცხებოდა I-ლი ასეულის 3-ე ოცეულის მსროლელად (ბრძ. N1680. 09.07.2001 წ.) რომელიც განლაგებული იყო სოხუმის რ-ნის სოფელ ცუგუროვკაში.

1992 წლის 9 ნოემბერს მტრის შემოტევის დროს მტრის მიერ ნასროლი ჭურვის აფეთქების დროს მიიღო ჭრილობა ქვედა კიდურის არეში და მკურნალობდა ქ. სოხუმის ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ჩადგა ბატალიონის რიგებში 1993 წ. 18 სექტემბერს მტრის მიერ ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა.



მიხეილ კოკია

ჟიული შარტავას თანაშემწე მიშა კოკია დღესაც ახსოვთ სოხუმელებს, როგორც კაიკაცობისა და დიდბუნებოვნების მაგალითი. პროფესიით მათემატიკოს-მექანიკოსი, იყო ერუდირებული, ყოველმხრივ განათლებული, მაღალი ინტელექტის მქონე პიროვნება. სწორედ ამ და სხვა თვისებებმა განსაზღვრეს მისი ადგილი სამშობლოს დამცველთა გვერდზე, ჟიული შარტავას გვერდზე – თანაშემწის რანგში.

1993 წლის 27 სექტემბრის ავადმოსაგონარ სოხუმის დაცემის დღეს ერთი წუთით არ მოშორებია აფხაზეთის მთავრობის მეთაურს. თანამებრძოლები იგონებენ, რომ მიშას ერთი ხმამაღალი სიტყვა არ დასცდენია. თავის გადამდები სიმშვიდითა და აუღელვებლობით მაგალითს აძლევდა სოხუმის მინისტრთა საბჭოს შენობის დამცველებს. მთავრობის წევრებთან და თანამებრძოლებთან ერთად დაიკარგა სოხუმის დაცემის დღეს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული!



ბესარიონ კვიცილაძე

ბესარიონ კვიცილაძე დაიბადა 1961 წლის 26 დეკემბერს, თბილისში.

132-ე საშუალო სკოლის წარჩინებით დასრულებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომლის ასევე წარჩინებით დამთავრების შემდეგ გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტი. 1989 წ. ბესომ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა. მას პედაგოგები ახასიათებდნენ, როგორც ნიჭიერ ფიზიკოს-თეორეტიკოსს, რომელიც აქტიურად მუშაობდა თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემაზე. იგი მიწვეული იყო თბილისისა და ჰელსინკის ტექნიკური უნივერსიტეტების ცნობილ ლაბორატორიებში ერთობლივი მოკვლევების ჩასატარებლად.

1989 წ. ბესო დაქორწინდა, შეეძინა ორი ქალიშვილი.

აფხაზეთის ომის დროს გულმა ფრონტის ხაზისაკენ გაუწია. მას უნივერსიტეტიდან მიღებული ჰქონდა ლეიტენანტის წოდება. არტილერიისტი იყო, მე-II ბრიგადაში ოცმეთაურად დაინიშნა. თანამებრძოლები ამბობდნენ: ქვემეხის ჭურვს ისე სვამს მიზანში, როგორც სანადირო თოფიდან ნასროლ ტყვიასო. ხანმოკლე შესვენებით იყო ჩამოსული, ჯანმრთელობის გაუარესების გამო ექიმმა სავლელ პირობებში ყოფნა აუკრძალა. იმ დღის შემდეგ მკურნალს აღარ უნახავს: „არ შემიძლია, უნდა წავიდე, ბიჭებს გაჭირვებაში ვერ მივატოვებ და ვერც დაღუპული თანამებრძოლების სისხლს შევარჩენ მტერს, მრცხვენია თბილისის ქუჩებში სიარული ასეთ დროს...“ ომმა მას ბევრი მწარე სინამდვილე აჩვენა, რის გამოც გაზეთ „რეზონანსში“ 1993 წლის 26 იანვარს გამოქვეყნა წერილი, რომელსაც გთავაზობთ:

„ქართული ჯარი დღეს ძირითადად მოხალისეებისაგან არის დაკომპლექტებული. მათი უმრავლესობა წესიერი და კეთილსინდისიერი ადამიანია, მაგრამ ამის მიუხედავად, ელემენტარული წესრიგის უქონლობის გამო მოხალისეებისაგან შემდგარი ჯარიც კი არ არის ბრძოლისუნარიანი.

დღეს საქართველოს უჭირს და ყველა ქართველი ვალდებულია სამშობლო დაიცვას. გასაგებია, რომ საკმარისი რაოდენობით არა გვაქვს იარაღი, ტანსაცმელი და სამხედრო ბაზები, სადაც ახალწვეული სამხედრო მომხადებას გაივლის. მაგრამ ომი არასოდეს ნიშნავდა მხოლოდ საბრძოლო ოპერაციების განხორციელებას. საომარი მოქმედებისა და დივერსიული აქტების გამო თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში დანგრეული და აფეთქებულია გზები და ხიდები, დამწვარი და დანგრეულია მანქანები. ყოველივე ამის აღდგენას იარაღი არ სჭირდება.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა საომრად ხალხის გაწვევა. ვინც სამშობლოს დასაცავად წასვლას არ ისურვებს, ისინი დეზერტირებად უნდა გამოვაცხადოთ და მათი ვინაობა საჯაროდ, ყველას გასაგონად ვამხილოთ.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გადაჭრას, ცხადია, ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობა სჭირდება, ურომლისოდაც ზედმეტია რაიმე დისციპლინისა და ორგანიზაციაზე ლაპარაკი.

საქართველოს აქვს დიდი პოტენციური უპირატესობა მოწინააღმდეგესთან შედარებით და იგი ჯერჯერობით ამას ვერ იყენებს. ასეთ ვითარებაში ჩვენი მხრიდან მსხვერპლი გაცილებით მეტია, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა, მთელი საქართველო რომ იყოს ომში ჩაბმული“.

ბესო კვიციანი იყო უაღრესად განათლებული. თავისუფლად ფლობდა რუსულ და ინგლისურ ენებს, რაც თავისი პროფესიის ამალგებაში ეხმარებოდა. მისთვის მიუღწეველი ლიტერატურა არ არსებობდა. სწავლასთან ერთად ეუფლებოდა სპორტის სხვადასხვა სახეობას.

სამშობლოს ღირსებას მისთვის არაფერი შეედრებოდა, აკი ანაცვალა კიდევ თავი. 1993 წლის 22 სექტემბერს კვლავ ფრონტის ხაზს მიაშურა და ცნობილ ავიაკატასტროფაში მოჰყვა. მისი ცხედარი ამოუცნობი დარჩა.

ბესარიონ კვიციანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

ბესო სამუდამოდ დატოვეს ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სიაში. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის შექმნასა და განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის, სიკვდილის შემდეგ მიენიჭა:

- 1) საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის საპატიო წევრის წოდება. ამავე ასოციაციასთან არსებული საპატიო პროფესორის წოდება.
- 2) მეცნიერებასა და ტექნიკაში აღმოჩენასა და გამოგონებისათვის დაწესდა ბესარიონ კვიციანიძის სახელობის ყოველწლიური პრემია.



ავთანდილ კობახიძე

კობახიძე ავთანდილ დავითის ძე 1992 წლის ოქტომბერში გამოცხადდა სოხუმის სამხედრო კომისარიატში და ჩარიცხულ იქნა თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის საინჟინრო სამსახურის რიგებში.

კობახიძე ავთანდილ დავითის ძე, თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა პირნათლად, არაერთხელ იყო გასული ფრონტის წინა ხაზზე აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

ერთ-ერთი, მორიგი დავალების შესრულებისას 1993 წლის 23 სექტემბერს რიგითი კობახიძე ავთანდილი დავითის ძე მოყვა მტრის ალყაში და თავის თანამებრძოლებთან ერთად იქვე დახვრიტეს.

დასაფლავებულია ქ. სოხუმში.



კახაბერ იოსელიანი

დაბადებული 1971 წლის 17 ოქტომბერს, ქართველი, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 1992 წლიდან.

უფროსი ლეიტენანტი იოსელიანი კახაბერ ამბროსის ძე – 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 მექანიზირებული ბატალიონის III ოცეულის მეთაური, ამოირიცხოს საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობიდან დალუპვის გამო.

დაიღუპა 1993 წლის 6 ივლისს მდინარე გუმისთასთან მიმდინარე ბრძოლებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

დაკრძალულია ქ. სოხუმში.



ვიქტორ იოსავა

რიგითი იოსავა ვიქტორ იონას ძე დაბ. 1948 წლის 15 ოქტომბერს, ქართველი, განათლება უმაღლესი, ცოლშილიანი, მცხ. გულრიფშის რ/ნ სოფ. დრანდა.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს რიგითი იოსავა ვიქტორი იონას ძე ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონში.

1992 წლის 10 დეკემბერს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს მტრის მიერ გასროლილი ტყვიით იქნა მოკლული და თანამებრძოლების მიერ იქნა გამოსვენებული, დაკრძალულია გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდაში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის.“ განკარგულება N891 2000 წლის 11 აგვისტო.



იგორი თოფურია

იგორ თოფურია დაიბადა 1938 წლის 21 სექტემბერს, გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარანში.

აფხაზეთის კონფლიქტის დროს ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის მე-6 საავტომობილო ოცეულის მძღოლად 1992 წლის 12 სექტემბრიდან.

პირნათლად ასრულებდა მეთაურის ყველა ბრძანებას. ფრონტის წინა ხაზზე მეომრებისთვის შეჰქონდა ტყვია-წამალი და სურსათი. ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულების დროს, 1993 წლის 3 ივლისს, გუმისთასთან მისი ავტომანქანა მტრის ტყვიამფრქვევმა დაცხრილა. იგორ თოფურიას ცხედარი თავისი ბატალიონის მეზობელებმა გადმოასვენეს.

დაკრძალულია სოფ. ბაღმარანში.



გელა თაყაძე

გელა აშოტის ძე თაყაძე დაიბადა ქ. თბილისში 1973 წლის 31 მაისს.

სწავლა დაიწყო ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლაში, სადაც იგი ითვლებოდა წარჩინებულ მოსწავლედ. იყო სპორტსმენი თამაშობდა ფეხბურთს, დადიოდა კარატეზე. მიღებული აქვს რამოდენიმე საპატიო სიგელი. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ჰუმანიტარულ ინსტიტუტში იურიდიულ ფაკულტეტზე. 1991 წელს გაიწვიეს გვარდიაში ჯერ ქუთაისში მსახურობდა, შემდეგ კი თბილისის კომენდატურაში.

სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ მუშაობა განაგრძო მეტროპოლიტენის სპეციალურ ჯგუფში, საიდანაც გადავიდა ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოში კრიმინალურ პოლიციაში.

გმირულად იბრძოდა აფხაზეთის ომში, სადაც დაასრულა კიდევ თავის ახალგაზრდა სიცოცხლე.

გელა თაყაძე დაიღუპა 26 სექტემბერს ქალაქ სოხუმში. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე. ასე გმირულად დაამთავრა თავისი სიცოცხლე 20 წლის ბიჭმა.

ალექსანდრე თათარიშვილი




მაიორი თათარიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადაში ჩაირიცხა 1992 წლის 18 ნოემბერს, (ბრძანება N306), ბრიგადის განსაკუთრებული ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულის თანამდებობაზე. საომარი მოქმედებების დროს გამოავლინა მობილიზებულობა და ორგანიზატორული თვისებები. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა როგორც შტაბის, ასევე ბატალიონების მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო-სადაზვერვო ოპერაციაში.

მაიორი თათარიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე გაფორმებული იყო ოპერრწმუნებულად, მაგრამ სინამდვილეში მუშაობდა გამომძიებლად. აწარმოებდა ტყვეების დაკითხვასა და სხვადასხვა საკითხების გამოძიებას. 1993 წლის 15-16 მარტის შემოტევის დროს დაიჭრა თავში. მკურნალობას გადიოდა თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდა თავისი მოვალეობების შესრულებას.

1993 წლის 16 სექტემბერს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ა. თათარიშვილი დაიღუპა. ცხედარი გამოასვენა ბრიგადის განსაკუთრებული ქვეგანყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ბოკუჩავამ.

დაკრძალულია გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერაში 1993 წლის 21 სექტემბერს.

ნოდარ თორდია



თორდია ნოდარ ილიას ძე დაიბადა 1957 წელს.

1993 წლის 5 იანვრიდან 1993 წლის 4 ივლისამდე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში.

1993 წლის 4 ივლისს დაიღუპა გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშარასთან საბრძოლო მოქმედებების დროს, 36 წლის ასაკში. სიკვდილის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასალის მეორე ხარისხის ორდენით.

სიკეთითა და სიყვარულით სავსე გულით, რაინდულად იცხოვრა, პირნათელი წავიდა ამ ქვეყნიდან. ალალი იყოს მშობლიური მიწა, რომელსაც შეეწირე! ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

*„გთხოვ, მაპატიო, ძვირფასო დედა
რომ შევეწირე
სამშობლოს მსხვერპლად,
მაგრამ გახსოვდეს,
ქართველი კაცის
მე მოვიხადე ვალი ამ ქვეყნად.“*




ტიტიკო თოდუა

თოდუა ტიტკო გრიგორის ძე აფხაზეთის ომის დროს 1992 წელს მოხალისედ ჩაირიცხა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2-ე საარმიო კორპუსის, 23-ე ბრიგადის, აეროპორტის დაცვის ბაზუშერის ასეულში, რომელიც 1993 წლის დასაწყისში შეუერთდა ბაზუშერის რაიონის N5 ბატალიონს.

ტ. თოდუა იყო საჰაერო ხომალდ ან-2-ის პილოტი და ასეულში მსახურობდა ოც-მეთაურის თანამდებობაზე.

საბრძოლო მოქმედების დროს ტ. თოდუა გმირულად დაიღუპა 1993 წლის 27 სექტემბერს გულრიფშის რ-ნი სოფელ ვარჩეში (კოდორის სანაპიროზე) და დასაფლავებულია ქვემო ფშაფის სასაფლაოზე.

ირაკლი თუთისანი



თუთისანი ირაკლი დომენტის ძე დაიბადა 1953 წლის 17 მაისს ცაგერის რაიონის სოფ. ჩქუმში. დაამთავრა ახალდაბის საშუალო სკოლა.

1971 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომელიც წარმატებით გაიარა გერმანიაში, საიდანაც ჩამოვიდა ლეიტენანტის წოდებით.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულმა სწავლა განაგრძო ქ. ქუთაისის მილიციის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგაც დაუბრუნდა მშობლიურ ცაგერის რაიონს, სადაც სხვადასხვა დროს იმუშავა სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო: სამხედრო კომისარიატის სპეციალისტი, მილიციის თანამშრომელი, საშუალო სკოლის სამხედრო მასწავლებელი.

1987 წელს ირაკლი თუთისანი ოჯახთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად ქ. სოხუმში, სადაც ბიზნესით დაკავდა.

1992 წელს აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე ჩაება საომარ მოქმედებებში. იყო 23 ბრიგადის მოტომსროლელი. 1993 წლის 5 იანვარს დაიღუპა მდ. გუმისთაზე წარმოებული ბრძოლების დროს.

დაკრძალულია მშობლიურ სოფელში. მსუბუქი იყოს მისთვის სამშობლოს მიწა!



ვახტანგ თედიაშვილი

ვახტანგ თედიაშვილი დაიბადა 1973 წლის 25 დეკემბერს, დაამთავრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა. თვითნასწავლი მხატვარი იყო. მრავალი საინტერესო ტილო შექმნა და დაგვიტოვა. იყო კარგი მშობლების შვილი: ლეგენდარული ლევან თედიაშვილისა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ნანული მჭედლიშვილის ვაჟი. მან ოჯახურ გარემოში მიიღო და შეისწავლა მამაკაცური თვისებები, გულისხმიერება, სიკეთე, იუმორი. კარგად ერკვეოდა იარაღებში. საქართველოს ტკივილი, თედიაშვილებს საკუთარი ოჯახის ტკივილად მიაჩნდათ. ამიტომაც, ვახტანგის გადაწყვეტილება – წასულიყო აფხაზეთის ომში საბრძოლველად, ოჯახს არ გაკვირვებია. თავდაცვის სამინისტროს ბატონმა ლევან თედიაშვილმა საკუთარი სახსრებით ნაყიდი შვეულმფრენი აჩუქა. სოხუმში მამა-შვილი თედიაშვილები ერთად ჩაფრინდნენ და ერთად ჩადგნენ ბატალიონ „ავაზას“ რიგებში.

ვახტანგ თედიაშვილი მამის თვალწინ დაიჭრა, სისხლდენის შეჩერება არ ხერხდებოდა. დაუმარცხებელმა ფალავანმა – ლ. თედიაშვილმა, მკლავებზე გადაიწვინა ვაჟი. ხელებში ჩაკვდა შვილი მამას.

1998 წლის 25 ნოემბერს ვახტანგ თედიაშვილი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ.

ვახტანგ თედიაშვილის, თავისი გვარის საამაყო შვილის, კარგი პიროვნების, კარგი ყმის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ქართველთა ხსოვნაში.

*ბრძოლის ველზე დაღუპული ჯარისკაცის მამას
ლევან თედიაშვილს*

ხანძარმა ცაში კვამლი აზიდა,
გული კვლავ ხიშტის წვეტმა დასერა...
მეომარ მამამ ცეცხლის ხაზიდან
მებრძოლი შვილი ჩამოასვენა
და დედას სახლში მიჰგვარა შვილი,
მისი გულითვე გზადალოცვილი...
კერას ცრემლ-სისხლი ეპკურა ნამად,
მთრთოლვარე ალით შეტოკდა ცვილი...
ვაი იმ მამას! – ვაი იმ მამას,
რომლის მკლავზედაც სულს დაღევს შვილი,
მის მხარდამხარვე ნაბრძოლი შვილი,
მის მხარდამხარვე დაჭრილი შვილი...
ვაი იმ მამას! ვაი იმ მამას!!
...და იმ დღეს სოხუმს უჭირდა ძლიერ,
მთელ საქართველოს უჭირდა, ლევან!..
წამოგვაჩოქეს? დავმარცხდით? გვძლიეს?
– არა, არ ძალუმს მტერს ჩვენი ძლევა!
ქართული გენი როდი შებერდა –
კვლავ ბორგავს სული აღმაშენებლის!
რა დაგვამარცხებს, ლევან, ლეგენდავ,
როცა მამულს ჰყავს შვილნი შენებრი.
ამაყი სისხლი მჩქეფარებს შენში,
შენ სიყვარულში ხარ ჩამარღვული.
წინაპრის მიწა ეძახის შენს შვილს,
ჩვენი გარეჯის მიწა ქართული.
იორს მოაწყდა გუმისთის ღვართა
ტალღა – იქ მოკლულ შვილს მიაბარებ
თვალთაის წმინდა გიორგის კართან,
თვალთხვევის პირზე გაჭრილ სამარეს.
შეუტოკდება იმედს სვეტები,
მზე წამიერად ღრუბლებში შევა
და სეტყვისწინა წვიმის წვეთების
სიმსხო ცრემლები დაგცვივა, ლევან...
მტრობა როდესაც წვეთავდეს შხამად,
ვით გვქონდეს დაშნა სულ ალესილი?..
ბრალი იმ მამას! ბრალი იმ მამას,
რომლის მკლავზედაც სულს დაღევს შვილი,
მის მხარდამხარვე მებრძოლი შვილი,

მის მხარდამხარვე დაჭრილი შვილი...
მშვიდობით, ვახტანგ! როდი დანებდი
მტერსა და სიკვდილს... არწივმიხატულ
ბეჭებით მიგაქვს წელი ცხრამეტი,
ოცი როდისლა გადაგიხადოთ?
მშვიდობით, შვილო, ასლო მამისა!..
სტრიქონი ლამის სუსხმა დამიზროს,
ცივგომბორის მთა ნისლმა დანისლა...
ერის ხვალის დღე ვერვინ დანისლოს –
არ ქრება ცეცხლი ამირანისა!
არ დავმარცხდებით, ლევან, ლეგენდავ,
როცა მამულს ჰყავს შვილნი შენებრი...
ქართული გენი როდი შებერდა,
ბობოქრობს სული აღმაშენებლის!

თეიმურაზ ჯანგულაშვილი



ზურაბ ზარანდია

ზარანდია ზურაბი მიხეილის ძე, ჩარიცხული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონის რიგებში სამხრძოლო მანქანის მსროლელად, 1993 წლის 10 იანვრიდან.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს მან თავი გამოჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისათვის და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბძოლო ოპერაციაში. იგი პატიოსნად ასრულებდა მეთაურის საბძოლო დავალებებს და ბრძანებებს. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი რეპუტაციით.

1993 წლის 16 მარტს გუმისთის მისადგომებთან შექმნილი საბძოლო ვითარების გამო 23-ე ბრიგადის ყველა შემადგენლობაში გამოცხადებული იყო განგაში. მე-6 სატანკო ბატალიონის ყველა საბძოლო მანქანის შემადგენლობა იმყოფებოდა ბრძოლის იმ მონაკვეთზე, რომელიც იმ დროს ეკავა მე-6 ბატალიონს.

საბძოლო დავალების შესრულების დროს საბძოლო მანქანა გამოყვანილი იქნა მწყობრიდან მტრის მიერ. რის გამოც მძლოლი და ჭურვის მიმწოდებელი გამოვიდნენ მანქანიდან, ამის შემდეგ შემადგენლობის ორი წევრი პიტავა მურთაზი და ზარანდია ზურაბი მაინც ასრულებდნენ საბძოლო მოქმედებებს მანამ, სანამ სული ედგათ. მათ აღარ დასტოვეს საბძოლო მანქანა და ბოლომდე იბრძოლეს.

1993 წლის 17 მარტს დაღუპულთა გაცვლაზე აღმოჩნდა, რომ ზარანდია ზურაბისა და პიტავა მურთაზის გვამები ჩამწვარი იყო საბძოლო მანქანაში.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით ზარანდია ზურაბი მიხელის ძე დაჯილდოვებულია „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით“ სიკვდილის შემდეგ. დაკრძალულია გულრიფშის რ-ნის დაბა გულრიფშის სასაფლაოზე.



ვიტალი ვარდანძე

დაიბადა 1971 წლის 14 აგვისტოს, ქ. თბილისში. წარჩინებით დაამთავრა ვლადიკავკაზის სამხედრო საერთო საჯარისო მეთაურთა სასწავლებელი. 1992 წ. დანიშნეს გორის პირველ სასწავლო ცენტრში, პირველი ბატალიონის მე-2 ასეულის მეთაურად.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს N1 სასწავლო ცენტრის უფროსის 1993 წლის 10 ივლისის N344 ბრძანებით ლეიტენანტი ვარდანძე ვიტალი ანზორის ძე მივლინებული იყო აფხაზეთის რეგიონში დამაბულ ვითარებასთან დაკავშირებით. 24 ივლისს სოფ. შრომაში დაჭრილების გამოყვანის დროს მტრის ულმოზელმა ტყვიამ მისი ახალგაზრდული სიცოცხლე ულმოზლად შეიწირა.

ვიტალი ვარდანძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტან გორგასლის I ხარისხის ორდენით. 1994 წელს მისი სახელი დაერქვა თბილისის N40 სკოლას.

ბეგული (დათო) ვაჩეიშვილი



„მე ქართველი ვარ, გესმით, ქართველი“...

საუკუნეების მანძილზე ქართველი ვაჟკაცები გმირულად ერკინებოდნენ მომხდურ მტერს და სასწაულებს ახდენდნენ. მშობლიური მიწის სიყვარული ოჯახის, წინაპართა ტრადიციების წმინდად შენახვის მოვალეობა, შეუძლებელს შეგაძლებინებს; ალბათ ამ შეუძლებელის ბეწვის ხიდზე უშიშრად სიარულმა გადაგვარჩინა, სხვაგვარად ამ სილამაზეს და ჩვენს მეობას ვერ შევინარჩუნებდით. ხშირად მტერი ორჯერ მეტი იყო, მაგრამ თუ ბრძოლა ვაჟკაცური ჩვეოდა, სიკვდილიც ვაჟკაცური ჩვეოდა ქართველს.

ამის ნათელ დასტურს წარმოადგენს ბეგული ვაჩეიშვილის ცხოვრება, რომელმაც გმირობის და ვაჟკაცობის უკვდავი მაგალითი დაუტოვა მომავალ თაობას.

ბეგული (დათო) მექის ძე ვაჩეიშვილი დაიბადა 1945 წლის 3 იანვარს აბაშის რაიონში, სოფელ მარანში. 1963 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მილიციის უმაღლეს სკოლაში. 1967-1969 წლამდე მუშაობდა ჯერ ხობის, ხოლო შემდგომ გალის რაიონის შს შრომა-გასწორების კოლონიებში ოპერატიულ მუშაკად. 1973-1976 წლებში კი ქალაქ ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქართველოს განყოფილების სისხლის სამართლის სამმებროს უფროს ინსპექტორად. 1976 წლიდან სამუშაოდ გადაიყვანეს ქ. სოხუმის მილიციის საქალაქო განყოფილებაში სისხლის სამართლის სამმებროს უფროს ინსპექტორად, მუშაობის პარალელურად დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი.

26 წელი იმსახურა შს ორგანოებში ბეგული ვაჩეიშვილმა და ამ ხნის მანძილზე თავი გამოიჩინა მინდობილი საქმის მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებით. გახდა

პოლიციის მაიორი, დამსახურები ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებსა და ხელმძღვანელობას შორის. დაჯილდოებული იყო შს ორგანოებში 10,15 და 20 წლის უმწიკვლო მუშაობისათვის მედლებით და ქების სიგელებით.

აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე ბეგული ვაჩეიშვილი უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლთა რიგებში, იბრძოდა გმირულად, ვაჟკაცურად. საბრძოლო მოკვლევაში აღნიშნულია: „ომის დაწყებისთანავე იბრძოდა სოხუმის რაიონის სხვადასხვა უბანზე. იგი პოლიციელთა 25-კაციან ჯგუფს ხელმძღვანელობდა. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში. მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობისათვის თავგანწირულმა მეზრძოლმა. 1993 წლის 28 სექტემბერს სოფ. ბაბუშერასთან მტრის შემოტევის დროს იგი გმირულად დაიღუპა მათთან ბრძოლაში“.

ბეგული ვაჩეიშვილის მეუღლე იგონებს: „ბეგული იყო საოცრად თბილი, მაგრამ ამავე დროს ძლიერი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი. უზომოდ იყო შეყვარებული ქალაქ სოხუმზე, თავის პროფესიაზე და საერთოდ საქართველოზე. 26 წელი იმსახურ შს სამინისტროს სისტემაში და ერთი დღეც კი არ დაუსვენია, მისთვის არ არსებობდა შვებულება და არც უქმე დღე, უამრავი ახლობელი, მეგობარი და ნათლულები ჰყავდა აფხაზეთში, ვერასოდეს ვერ წარმოედგინა, რომ მასზე რომელიმე აფხაზი იარაღს აღმართავდა, მაგრამ...

ვერასოდეს დავივიწყებ სოხუმში გატარებულ ბოლო დღეებს, როცა ქალაქი ტყვიების და ჭურვების ქარცეცხლში იწვოდა, სახლები დაცარიელდა, ხალხი გარბოდა... ჩემს მეუღლეს სოხუმის დატოვება ერთი წუთითაც არ უფიქრია. ბოლო დღემდე საბრძოლო პოზიციებზე იბრძოდა, ის ჯიუტად იმეორებდა, რომ აფხაზეთი არ ჩაბარდებოდა. შვილები ნათესავებთან ერთად სვანეთში გავუშვი, მე კი მეუღლესთან ერთად ცეცხლმოდებულ ქალაქში დავრჩი. 28 სექტემბერს დავრწმუნდით, რომ საშველი არსაიდან იყო, სოხუმი დაეცა. სოფელ ბაბუშერასთან ჩემი მეუღლე აფხაზეთმა შეიპყრეს, რა დამავიწყებს მის თვალებს და სახეს. იგი იმდენად იყო განრისხებული, რომ აფხაზეთის შეკითხვაზე, რომლებიც შეკითხვებს რუსულად უსვამდნენ, ჯიუტად პასუხობდა ქართულად, დაუნდობლად ურტყამდნენ ავტომატის კონდახს, მაგრამ ის მაინც „ქართველი ვარო!“ იმეორებდა. აფხაზი ბოევიკების მიერ ჩემი მეუღლე სადისტურად იქნა დახვრეტილი, მისი ცხედარი სოფელ ბაბუშერაში იქნა დაკრძალული ახლობლების და ნაცნობების მიერ“...

ბეგული ვაჩეიშვილს დარჩა ოჯახი, მეუღლე და ორი შვილი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამმეზროს ოთხმოც წლისთავთან

დაკავშირებით ბეგული ვაჩეიშვილი შს მინისტრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით.

ოცდამეერთე საუკუნეს ვერ მოესწრო სამშობლოზე და თავის ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟკაცი. მან მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა თავისი სიცოცხლე სამშობლოს წმინდა საკურთხეველზე. ჩვენ გვჯერა, მისი სახელის და სულის უკვდავების. ღმერთო, დაუმკვიდრე მის ლამაზ სულს ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ბესიკ ექიზაშვილი



ლეიტენანტი ბესიკ ვლადიმერის ძე ექიზაშვილი მსახურობდა ეროვნული გვარდიის მანგლისის სასწავლო ცენტრში ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე 1993 წლის 16 აპრილიდან. მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთის რეგიონში.

დაიკარგა უგზო-უკვლოდ 1993 წლის 16 ივლისს აფხაზეთში, სოფ. ცუგუროვკაში საომარი მოქმედებების დროს.



ავთანდილ დეკანოიძე

ავთო დეკანოიძე დაიბადა 1961 წლის 18 იანვარს ქ. ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ – მინსკის უშიშროების სკოლა. უყვარდა ზღვისპირეთი, ამიტომაც სოხუმში დამკვიდრდა საცხოვრებლად. იქვე დაოჯახდა. ფიზიკურად ძლიერი იყო, სპორტული აღნაგობის. წარმატებები ჰქონდა ხელბურთში, სამბოში.

ომი რომ დაიწყო, აეროპორტის კომენდანტი იყო. ომის დროს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის დაცვის უფროსად დაინიშნა. შემდეგ ჟიული შარტავას დაცვას უძღვებოდა.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო ამბობენ. სწორედ ამ უსპეტაკესი სულის ვაჟკაცმა არ უღალატა მოყვასს და სიცოცხლის ბოლო წუთამდე სამშობლოსა და თავისი თანამომხმეების ერთგული დარჩა. დაიღუპა 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს.

მისი ცხედარი ახლობლებმა ჩამოასვენეს. განისვენებს დიდმის ძმათა სასაფლაოზე. დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით.

სიკვდილი რჩეულზე ნადირობსო, ბრძენს უთქვამს, უფალმაც ასეთი ვაჟკაცები აირჩია თითქოს საგანგებოდ. ისევ მას ვთხოვოთ, ნათელში ამყოფოს მათი სულები!

* * *

აპრილმა მარტი შეცვალა,
წვიმები მზემ და დარმა,

გული, ფიქრი და გონება
დაგეძებს ენგურს გაღმა.
წადი ღიმილით სავსე,
არ მოგიხედავს უკან,
ქარი ენგურის გაღმა
ვაი რექვიემს უკრავს.
ომი მიგაჩნდა ლხინად,
ფაფარს გიშლიდა ქარი,
საქართველოსთვის შვილო
არ დაგიზოგავს თავი!
არ ივიწყებდი ძმობას
ერთურთს ედექით მხარში...
...რუსთაველს ვეღარ გაივლი
გამარჯვებულის მარშით!

.

დავალ, ტკივილით სავსე,
დარდი ბალიშად მიდევს,
იმ ქვეყნად რა მესაქმება,
არ დაბრუნდები ვიდრე!

ნაზი მარტიაშვილი



მურთაზ დარჯანია

დარჯანია მურთაზი მურმანის ძე იყო ჩარიცხული ყოფილი მე-2 საარმიო კორპუსის, 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 მოტომსროლელი ბატალიონის მე-3 ასეულის, I-ლი ოცეულის მსროლელად – 1992 წლის 27 ნოემბერს.

ხოლო 1993 წლის პირველ მარტს დაინიშნა, ამავე ბატალიონის მე-3 ასეულის მსროლელად.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მე-2 ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში მდ. გუმისთის მისადგომებთან, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1993 წლის 15-17 მარტის თავდაცვით ოპერაციებში, როგორც მამაცმა მებრძოლმა, რისთვისაც დაჯილდოვებული იყო მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

1993 წლის 26 სექტემბერს აფხაზი სეპარატისტების მიერ საარტილერიო-სანადმტყორცნო დაბომბვის დროს, მიიღო მძიმე ცეცხლნასროლი ჭრილობა, რის შედეგადაც გარდაიცვალა.



ზაზა დემეტრაშვილი

ზაზა დემეტრაშვილი დაიბადა 1966 წლის 14 ოქტომბერს. 1972 წელს შევიდა და 1982 წელს დაამთავრა თბილისის #43 საშუალო სკოლა. ამავე წელს შევიდა და 1987 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი. ახლობლების ხსოვნაში ზაზა დარჩა თავისუფალი, ლალი ბუნების, ინიციატივანი ახალგაზრდა.

აფხაზეთში საბრძოლველად წასვლის მისი სურვილი რომ შეიტყვეს – შეეწინააღმდეგნენ ახლობლები. საქართველოს მთლიანობას ძირს უთხრიან და მე შინ რა გამაჩერებსო – უთქვამს.


27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს სოხუმში დაიკარგა. მშობლებს საამაყოდ დარჩათ, რომ ვაჟიშვილმა სიცოცხლე მამულს შესწირა და სამშობლოსათვის აღესრულა.

ვლადიმერ დადუნაძე



რიგითი დადუნაძე ვლადიმერ იაკიმის ძე დაბადებული 1939 წლის 10 მარტი – მეორე საარმიო კორპუსის პირველი სატანკო ბატალიონის ტანკის მეთაურად ჩაირიცხა 1993 წლის 19 მარტიდან.

სოფელ შრომის შტაბის წინ მდებარე სიმაღლის დაცვის დროს 1993 წლის 11 ივლისს დილის 7 საათზე დესანტის თავდასხმის დროს დადუნაძე ვლადიმერ იაკიმის ძე დაიღუპა გმირულად. 20 ივლისს ვ. ი. დადუნაძე ჩამოასვენა სპეციალურად შექმნილმა ჯგუფმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბატალიონის მეთაური ნუგზარ მილორავა და მოადგილე მერაბ გაბუნია სხვა მებრძოლებთან ერთად.



ზურაბ დობორჯგინიძე

ზურა თბილისში დაიბადა, ინტელიგენტების ოჯახში. დაამთავრა 52-ე საშუალო სკოლა. ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ელექტროტექნიკით, ვისაც კი რაიმე ნივთი გაუფუჭდებოდა, ზურიკოს უხმობდნენ, ისიც მზად იყო დახმარებისათვის. იგი იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელტექნიკისა და ელექტრომექანიკის ფაკულტეტის სტუდენტი. 1992 წ. ზურამ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ემზადებოდა სტაჟირებისათვის მოსკოვში გასამგზავრებლად. ამასობაში ზურამ სამხედრო სავალდებულო სამსახურიც მოიხადა.

ზურაბი უგზო-უკვლოდ დაიკარგა აფხაზეთის ომში 1993 წლის 27 სექტემბერს. იგი ერთ-ერთი იმ 25 ვაჟკაცთაგანია, ვინც მინისტრთა საბჭოს შენობაში ბატონ ჟიული შარტავას დასაცავად შეიყვანეს. მას შემდეგ მისი კვალი იკარგება.

ზურაბს ათასი ოცნება და ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა, ოჯახს კი უსაზღვრო სიყვარული და მონატრება დაუტოვა.

ზურაბის მამა, ბატონი ვლადიმერ დობორჯგინიძე საზოგადოება „მოლოდინის“ დამაარსებელია. ის აქტიურად ეძებს, თავის თანამშრომლებთან ერთად, ყველა დაკარგულს. ღმერთმა ქნას, რომ უმრავლესობა ცოცხალი აღმოჩნდეს.

- მ – ოლოდინში გაიღია ღამე,
- ო – რღობებში მიბარბაცებს მთვარე,
- ლ – ანდებს ვუხდი გადაუხდელ ვალებს,
- ო – ბლობაში დაგროვებულ დარდებს.
- დ – ილის სუსხი მიაცილებს ავდრებს,
- ი – სევ რაღაც უხარიათ მკვლავდალეწილ ალვებს,
- ნ – ამეხარი მუხაც ირჩენს ნატკენს,
- ი – ქნებ, ღმერთო! მეც მიშვილო რამე!

ნაზი მარტიაშვილი

გია დოლიაშვილი



გია ტრისტანის ძე დოლიაშვილი მსახურობდა ავღანელთა ბატალიონში. აფხაზეთის ომის მთელი პერიოდის განმავლობაში, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საომარ მოქმედებებში კერძოდ ლაბრის, ოჩამჩირის, შრომის, ტამიშის და კინდლის ბრძოლებში.

გია დოლიაშვილმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1993წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას. ბოლო მონაცემებით იგი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ავთანდილ დაჩიბერიძე

ზემდეგი დაჩიბერიძე ავთანდილ ვალერიანეს ძე მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზირებული ბრიგადის 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მე-2 ბატარეის მე-2 ოცეულში.

ზემდეგ ა. ვ. დაჩიბერიძეს უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული 239-ე საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მიერ ჩატარებულ ძირითად საბრძოლო ოპერაციებში. საბრძოლო დავალებების შესრულების დროს გამოირჩეოდა მამაცობითა და პატრიოტიზმით.

1993 წლის 15 აგვისტოს ზემდეგ ა. ვ. დაჩიბერიძეს მიეცა მოკლევადიანი შვებულება შვილის შექმნასთან დაკავშირებით.

1993 წლის 16 სექტემბერს საბრძოლო ოპერაციების, აფხაზური მხარის მიერ, განახლების შემდეგ ა. ვ. დაჩიბერიძე რამოდენიმეჯერ ეცადა დაბრუნებულიყო ქ. სოხუმში თავის სამხედრო შენაერთში, მაგრამ სატრანსპორტო საშუალებათა გადატვირთვისა და სოხუმის მიმართულებით სარკინიგზო და საავტომობილო გზების გადაკეტვის გამო მან ეს ვერ მოახერხა.

როგორც შემდგომში გაირკვა, ა. ვ. დაჩიბერიძე 22 სექტემბერს ქ. თბილისის აეროპორტიდან აფრენილ „ტუ“-154 ტიპის თვითმფრინავში იჯდა, რომელიც ქ. სოხუმის აეროპორტის თავზე ჩამოაგდეს.

ზემდეგ ა. ვ. დაჩიბერიძის გვამი ამოცნობილ იქნა აფხაზეთის პროკურატურის მიერ და ის N84 ნომრით განისვენებს სოფელ ბაბუშერის სასაფლაოზე.

დედას...

ჩემი სიცელქე ზოგჯერ ცრემლებს დაგადენს დედა,
ლოცვას აღვავლენ იმედის თვალთ ღვთისმშობელს ვხედავ,
დაღონებული ჩემთვის ვფიქრობ, რომ შევძლო ნეტავ
ვიყო ჭკვიანი არ გაგაბრაზო მე დღეის მეტად.
თითქოს დავბრძენდი, თვალწინ მიდგას შენი თვალები,
მე დამავიწყდა თამაში და თეთრი გედები,
რა სასწაულად მომეველინა შენი ცრემლები,
თავს ჩავქინდრავ და დარცხვენილი შენს წინ ვჩერდები.
წიგნებს ჩაუჯექე, ჩემს სიხარულს წიგნებში ვხედავ,
ეხლა მიღიმი ჩემო კარგო, მშობელო დედა,
ლოცვას აღვავლენ, იმედის თვალთ ღვთისმშობელს ვხედავ,
კაცური კაცი გავიზრდები, ეს გწამდეს დედა.
დღეები მიდის, წლები მიდის, დრო კი ბერდება,
შენი ამაგი ჩემო დედავ უფრო მშვენდება,
შვილის წინაშე ვალმოხდილი შენც დაბერდები,
შენგან შექმნილი დიდი შვილი მოგეფერება.

ავთანდილ დაჩიბერიძე



იური დავითაია

დავითაია იური ვლადიმერის ძე დაიბადა 1941 წლის 15 სექტემბერს, აბაშის რაიონის სოფ. ონტოფოში. ამავე სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა კავშირის სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1967-72 წლებში სწავლობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სწავლული აგრონომის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქ. სოხუმის კულტურისა და დასვენების პარკში, ჯერ დირექტორის მოადგილედ, ხოლო შემდეგ დირექტორის თანამდებობაზე. სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. იყო დაოჯახებული.

1992 წელს აფხაზ სეპარატისტთა მიერ გაჩაღებულ უსამართლო ომში იური დავითაია დაინიშნა სოხუმის გარნიზონის სამხედრო კომენდატურაში ოცმეთაურად. მისი საომარი მოქმედებები გამოირჩეოდა ორგანიზებულობითა და მტრის მიმართ შეურიგებელი პოზიციით. 1993 წლის ივლისის შემოტევების დროს იყო დაჭრილი მსუბუქად. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ჩაება საბრძოლო მოქმედებებში და 1993 წლის სექტემბერში სოხუმის დაცემის დროს გმირულად დაიღუპა. დაასაფლავეს ქ. სოხუმში. ამჟამად, საფლავი დაკარგულია.

ვასო დგებუაძე



21 წლის ვასო დგებუაძე II საარმიო კორპუსის მატერიალური უზრუნველყოფის ბატალიონში მსახურობდა.

ვასო აფხაზმა სეპარატისტებმა, სოხუმის აღების შემდეგ განახლების გადასახვევთან, შინ მიმავალი ადგილზე დახვრიტეს.



ალექსანდრე გაგაკეთაშვილი

ალექსანდრე ლევანის ძე გაგაკეთაშვილი დაიბადა 1969 წლის 21 სექტემბერს ქ. თბილისში. სწავლობდა ქ. თბილისის მე-2 ექსპერიმენტალურ სკოლაში (დღეს 122 საჯარო სკოლა) 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა N18 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში.

სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა ავღანეთში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდანვე იბრძოდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

1993 წლის 21 სექტემბერს, სოხუმის რაიონის სოფ. იაშთხვაში დაზვერვაში მყოფი უკან აღარ დაბრუნებულა.



ოთარ გაგუა

ოთარ გაგუა დაიბადა 1954 წლის 13 ნოემბერს ქ. სოხუმში. დაამთავრა მე-11 საშუალო სკოლა. პროფესიით მშენებელ-ინჟინერი, მუშაობდა თბილისის ელექტროქურების გაშვება-გამართვისა და კაპიტალური შეკეთების სამმართველოში, უბნის უფროსად.

საქართველოში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ჩადგა ქვეყნის დამცველთა რიგებში. ის სამაჩაბლოსა და აფხაზეთში იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს ერთიანობას. ოთარი მსახურობდა „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ სახელობის ბატალიონში, მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად. 1993 წლის 21 სექტემბერს სოხუმში სოფ. ბირცხაზე შემოტევის დროს მოხვდა ალყაში. ტყვედ ჩავარდნას მან სიკვდილი არჩია და მოახლოებულ მტერს გახსნილი ყუმბარით დახვდა.

ოთარ გაგუა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ზურაბ გორდულავა

„გდია გზის პირას იმედი, ხავსმოდებული ლოდევით, წუთებს კენკავენ ჩიტები, დრომორეული დრო მიდის~ წერს ერთ-ერთ თავის ლექსში `სიყვარული არს ლოდინი~, ცნობილი ქართველი პოეტი, მორის ფოცხიშვილი და ეს ლამაზი სიტყვები თითქოს ზურაბ გორდულავაზე უთქვამს.

ზურაბ გორგის ძე გორდულავა დაიბადა 1963 წლის 4 თებერვალს ქალაქ სოხუმში. სოხუმის N6 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პირნათლად მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური და 1984 წლიდან მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში. გამოირჩეოდა დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებით, კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შორის. როცა სამშობლოს ზეცა საავდრო ღრუბლებით დაიფარა, ზურაბ გორდულავა აფხაზეთის სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის სამსახურის ათმეთაურის მოვალეობას ასრულებდა, იყო პოლიციის ზემდეგი, როგორც კი მშობლიურ ქალაქს საფრთხე დაემუქრა, ერთ-ერთი პირველთაგანი ჩადგა მის დამცველთა რიგებში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის სატრანსპორტო პოლიციის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემულ საბრძოლო მოკვლევაში აღნიშნულია: „პოლიციის ზემდეგი ზურაბ გორგის ძე გორდულავა შსს ორგანოს მუშაკი იყო 1992 წლიდან, იგი პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა ოპერატიულ ღონისძიებაში. იბრძოდა პირველი დღიდანვე სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთის რეგიონში, 1993 წლის 17 სექტემბერს ქ. სოხუმის დაცვითი ოპერაციის დროს სოფელ გუმისთასთან აფხაზ სეპარატისტებთან შეტაკების დროს იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა“...

ზურაბის მეუღლე, ქალბატონი ნატო იგონებს: ~...მას შემდეგ უსასრულოდ გაიჭიმა მოლოდინის წლები, არც მკვდარი დაგვიბრუნდა და არც ცოცხალი. საბრალო დედა 4 წელი იმედის თვალით გაჰყურებდა გზას, 4 წელიწადი ლოცულობდა შვილის დაბრუნებას, ცრემლი არ გაშრობია თვალზე. 1997 წელს კი გარდაიცვალა, თუკი ზური ზეცაშია, მაშინ ახლა ისინი ერთად იქნებიან, ხოლო თუ ცოცხალია, მაშინ მას სახლში მასზე ჯავრით თმაგათეთრებული და სინათლედაკარგული მამა ელოდება.

ზური შეუდარებელი ადამიანი იყო, ვაჟკაცობასა და ადამიანობაში ვერავინ გაეჯიბრებოდა, ჩვენ 1985 წლის 4 აგვისტოს დავოჯახდით, შვილის ჩუქებაც კი ვერ მოვასწარი და ამას ძალიან განიცდიდა. ციფრი ოთხი სიმბოლური აღმოჩნდა ჩვენს ურთიერთობაში. ოთხში დავქორწინდით, დაბადების დღეც ორივეს ოთხ თებერვალს გვაქვს, რომელსაც მისი დაკარგვის შემდეგ არასოდეს ავლნიშნავ, რადგან ტკივილისა და მოლოდინის გრძნობას მიმდაფრებს და სევდით მივსებს მისი არყოფნით დაცარიელებულ გულს.

ზური, ჩვენ ყველანი გელოდებით, შენიანები, შენი საყვარელი ადამიანები, შენი უსინათლო მამა, შენი ახლობლები და იმედს არ ვკარგავთ, რომ გათენდება დღე, როცა ისევ შემოაღებ წლების წინ დახურულ კარს...

ნისლები

დაბრუნდი თუ გული გეწევა,
მე შენზე წუხილით ვივსები,
მარტომყოფს ნისლები მეწევა,
ნისლები, ნისლები, ნისლები.
ქაოსში პატარა მოვჩანვარ,
ბუნება გამთქვიფავს თავისში,
ძვირფასო შენიდან შორსა ვარ,
ძვირფასო წუხილით ავივსე
მზე ციდან აღარ მიყურებს,
შენა ხარ ბუნების საყურე
ასეთი არ მემახსოვრები.
დაბრუნდი, დაბრუნდი, დაბრუნდი,
მე შენზე წუხილით ვივსები,
ჩემ გზიდან სხვაგან არ გაბრუნდე,
ნისლები, ნისლები, ნისლები.

მირზა გელოვანი.



ჭიჭიკო გიორგაძე

გიორგაძე ჭიჭიკო ჭიჭიკოს ძე ჩარიცხული იყო აფხაზეთის სამხედრო პოლიციაში 1993 წ. 10 იანვრიდან.

1993 წლის 24 სექტემბერს სოხუმში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს გიორგაძე ჭიჭიკო სასიკვდილოდ დაიჭრა.

დაკრძალულია სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვაში.



გიორგი გულაშის ძე გაბროშვილი, დაბადებული 1970 წლის 7 ნოემბერს, ქართველი, მცხოვრები ქ. თბილისი.

გიორგი გულაშის ძე გაბროშვილი 1993 წლის 6 ივლისიდან იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის, აფხაზეთის ომის მონაწილე, იბრძოდა სამხედრო ნაწილი 10143-ის პირად შემადგენლობასთან ერთად. მონაწილეობას ღებულობდა ლაბრა, ცაგერა, ტამიშის ბრძოლებში.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი გიორგი გულაშის ძე გაბროშვილი იყო მოხალისე, უკანასკნელ წუთებამდე იცავდა სოხუმს.

1993 წლის 27 სექტემბრიდან სოხუმიდან ქართული ჯარის გამოსვლის შემდეგ გიორგი გულაშის ძე გაბროშვილის ადგილ-სამყოფელი დღემდე უცნობია და ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ლევან გვარამია

ლევან შაქროს ძე გვარამია ჩარიცხული იყო ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის დაცვის ასეულის (შემდგომში 23-ე ბრიგადის სამთო-მსროლელი ასეული „სკორპიონი“) პირად შემადგენლობაში (ბრძ. N6, 1 ოქტომბერი 1992 წ.). ლ. გვარამია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც აწარმოებდა ასეული. მეთაურის ბრძანებებსა და მითითებებს ასრულებდა პირნათლად. თანამებრძოლებს შორის სარგებლობა კარგი ავტორიტეტით. ლევან შაქროს ძე გვარამია 1993 წლის 16 მარტს დაიღუპა ზეგანის მთაზე მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს. დასაფლავებულია ქ. სოხუმში ლეჩკოფის სასაფლაოზე. სიკვდილის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 31 მაისის ბრძანებულებით დაჯილდოვებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ (მედლის N00572).

ბესიკ გოგია



ბესიკ გოგია დაიბადა 1968 წლის 27 ოქტომბერს გულრიფშის რაიონში. აფხაზეთის ომის დროს ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მე-6 ცალკეულ სატანკო ბატალიონში, 1992 წლის 12 სექტემბრიდან. მტერთან ბრძოლაში მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 5-6 იანვრისა და 16-17 მარტის შემოტევების დროს. 1993 წლის 16 სექტემბრის საბრძოლო შეტაკებისას ჭეშმარიტი გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითი აჩვენა. ტყვიების წვიმაში გამოჰყავდა დაჭრილი თანამებრძოლები ფრონტის ხაზიდან, თანაც ტყვია-წამლით ამარაგებდა მათ.

1993 წლის 21 სექტემბრის შეტაკებისას კი მტრის უღმობელმა ტყვიამ ბრძოლის ველზე გამოასალმა სიცოცხლეს 25 წლის გმირი ვაჟკაცი. ბესიკის ცხედარი თანამებრძოლებმა – კახა გოგოხიამ და მურთაზ ქარდავამ გადმოასვენეს და დაკრძალეს გულრიფშის სამშო სასაფლაოზე.



გულნაზ გოდოლაძე

აფხაზეთის ომში, ბრძოლის წინა ხაზზე შემოქმედებითი ჯგუფი ჩაიყვანეს, რვა კაცის შემადგენლობით: მათ შორის რეჟისორი გულიკო გოდოლაძეც იყო. მებრძოლეს ესაუბრებოდნენ, იწერდნენ ფირზე. ახალგაზრდა ქალის მხნეობას, შრომისმოყვარეობას ყველა განცვიფრებაში მოყავდა. 1993 წლის 14 მარტს კინოსტუდია „მემატიანეს“ რეჟისორი გულიკო გოდოლაძე, 33 წლისა დაიუპა ნაღმის აფეთქებით გამოწვეული მრავლობითი ჭრილობების შედეგად. იგი ამ დროს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა – ფირზე იღებდა საბრძოლო მოქმედებას სოფელ გუმისთაში.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

„ჰევიანი ოქროსლილები,

ზედ ჩემი სისხლი ატყვია

იქვე გუმისთა მოღელავს,

გარს ლურჯი მთები არტყია“.

თინათინ მღვდლიაშვილი



ვახტანგ გეგელაშვილი

გეგელაშვილი ვახტანგი, სახელმწიფო მრჩეველი, ეს ფუტკარივით მუშა კაცი დღე და ღამე არ გამოდიოდა კაბინეტიდან. ორმხრივი კომისიის მთელმა ტექნიკურმა სამუშაოებმა მასზე გადაიარა. ვაჟკაცურად იტანდა იმ დღეებში ყველა გასაჭირს და მტერსაც უიარალოდ, ვაჟკაცურად დაუხვდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ვახტანგ გეგელაშვილი დაჯილდოვდა II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

დროა! შემოვკრათ დედო ზარებს განგაშის ნიშნად,
ვეძებოთ გმირი, – ღმერთს შევთხოვოთ მისი გაჩენა,
იქნებ აკვანში ის ნანატრი ჭაბუკი იწვა
და დავაჟკაცდა საქართველოს გადასარჩენად!?!...



ალექსანდრე (ალიკა) გეორგიანი

აფხაზეთში მიმდინარე ომმა კიდევ ერთი ულამაზესი ღიმილის ბიჭის სიცოცხლე შეიწირა – ალექსანდრე (ალიკ) ავთანდილის ძე გეორგიანი გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე 5 იანვარს, გამთენიისას, აფხაზთა და მათ მიერ დაქირავებულთა მორიგი შემოტევის დროს. – უღვთო იყო შენი სიკვდილი! – გულმოკლულნი და ცრემლმორეულნი ვამბობთ, ჩვენო ძვირფასო ალიკ, შენი მეგობრები და ამხანაგები. ოცდახუთი წლის იყავი მხოლოდ; ეს ხომ ჭაბუკობის ხანაა – წინ მთელი სიცოცხლე გქონდა გასავლელი. შენ საქართველოს, მისი განუყოფელი კუთხის – აფხაზეთის გულმხურვალე სიყვარულით იწვოდი და ომის დაწყების დღიდანვე უყოყმანოდ ჩადექი მშობლიური მიწის დამცველთა რიგებში.

– მაღალ ზნეობის უკეთილშობილესი ვაჟკაცი, გულითადი მეგობარი და ამხანაგი, გაჭირვების ტალღების – ჭირსა და ლხინში ყველას თანამდგომი, მზარდი სპეციალისტი – ტექნოლოგი – ასეთად დარჩები, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, შენი მშობლიური ქ. სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის თანასკლასელთა და პედაგოგთა ხსოვნაში, ასეთად მოგიგონებენ, ძვირფასო ალიკ, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის შენი თანაკურსელები და პროფესორ-მასწავლებლები, სოხუმის ლუდისა და ხილეულის წყლების ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, სადაც დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე შენი ალალი შრომით, შენი ახლობლები და მეზობლები. გვიმძიმს, ძალიან გვიმძიმს, სამძიმრის სიტყვები ვუთხრათ ერთადერთი ვაჟის მყოფ შენს ძვირფას მშობლებს – ქალბატონ მაცვალას და ბატონ ავთანდილს. შენ ხომ მათი ნუგეში და იმედი, სიცოცხლის აზრი იყავი ალიკ, როგორ უნდა ვანუგეშოთ შენი საფიცარი დაიკო – ეკა?! სოხუმის პირველი ბატალიონის მებრძოლები, მტერზე უეჭველად იძიებენ შურს შენი ჭაბუკური გულისათვის.

ყველას – შენს დიდებულ ქართულ ოჯახს, შენს ნათესავებს, მეგობრებსა და თანამებრძოლებს ნუგეშად ისდა გვრჩება, რომ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლა, რომელსაც შენი ლამაზი სიცოცხლე შეეწირა, გამარჯვებით დაგვირგვინდება. შენი სახელი უკვდავია აწ და მარადის. ნათელში გამოყოფოს ზეციურმა, ჩვენო ძმამ და მეგობარო, ალიკ.

შენი მეგობრები.



ბესიკ გეთია

გეთია ბესიკი გივის ძე აფხაზეთში საბრძოლო მოქმედების დაწყების პირველი დღეებიდან ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელ ბატალიონში სადაზვერვო ოცეულში მზვერავად. მონაწილეობდა ბატალიონის ყველა ოპერაციაში, მან თავი გამოიჩინა 1993 წლის 5 იანვრის აფხაზ სეპარატისტთა შემოტევის დროს. 15 მარტის დღის მეორე ნახევარში, ბესო გეთიამ, როგორც კი გაიგო, აფხაზმა ბოევიკებმა ჩვენი პოზიციები გაარღვიესოსო, მაშინვე პოზიციისკენ გასწია. გუმისთის მისადგომებთან ჩაერთო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. 16 მარტის დილის საათებში, როდესაც ჩვენმა მეომრებმა შესძლეს აფხაზი ბოევიკების შემოტევის მოგერიება, გადავიდნენ კონტრ-შეტევაზე, და დაიწყეს დარჩენილი ჯგუფების გაწმენდა გუმისთის მისადგომებთან. სომხის სახლში აფხაზ ბოევიკებს ტყვედ ჰყავდათ აყვანილი ქართველი მებრძოლი. ბესო გეთიამ და მისმა თანამებრძოლმა შეუტიეს ალყაშემორტყმულ სახლს, რათა დაეხსნათ ქართველი მებრძოლი. გაიმართა უთანასწორო ბრძოლა, ბესომ და მისმა თანამებრძოლმა შესძლეს სახლში შეღწევა ბრძოლით და ქართველი მეომრის გადარჩენა, მაგრამ თვითონ შეიწირა მტრის ტყვიამ.

1993 წლის 25 მარტს ბესო გეთია დაასაფლავეს სოხუმში. გეთია ბესიკი დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.



გურამ გაბისკირია

გაბისკირია გურამი დაბადების თარიღი - 2 მარტი, 1947 წ. ქ. სოხუმი.
გარდაცვალების - 27 სექტემბერი, 1993 წ. ქ. სოხუმი.
უმალესი განათლება, სოხუმის „ცხუმის“ დამაარსებელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ქ. სოხუმის მერი - 1992 წლიდან. აფხაზეთის ა. რ. თავდაცვის საბჭოს წევრი, სამხედრო წოდება პოლკოვნიკი.
დაილუპა ქ. სოხუმის აღების დღეს. მტერმა შეიპყრო მინისტრთა საბჭოს შენობაში. სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენი.

გურამ გაბისკირია აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს ლეზულობდა აქტიურ მონაწილეობას საბრძოლო ოპერაციების განხორციელებაში, როგორც ქ. სოხუმის მერი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრი. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის 1993 წლის 15 მაისის ბრძანება N18 საფუძველზე `აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრებისა და რაიონების გამგეობის თავმჯდომარეებისათვის სამხედრო წოდება `პოლკოვნიკი~ს მინიჭების შესახებ,~ გურამ ნიკოლოზის ძე გაბისკირიას მინიჭებული ჰქონდა სამხედრო წოდება `პოლკოვნიკი~. აფხაზეთის ა.რ. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის - ჟ. შარტავასთან ერთად გაბისკირია გ. ნ. ტყვედ იქნა აყვანილი აფხაზი სეპარატისტების მიერ. მისი თავდადება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებისას, აფხაზეთის რეგიონში და გმირული მოქმედება ტყვეობაში აყვანის დროს სახალხოდ ცნობილია.

- დაიჩოქე და შეაგინე ქართველებს! - მიმართა გადამთიელმა ჟიული შარტავასთან ერთად დატყვევებულ მის თანამებრძოლს, სოხუმის მერს - გურამ გაბისკირიას.
- არასოდეს ცხოვრებაში! - იყო მერის პასუხი. მას მერე, იგი არავის უნახავს.

სოხუმის მერმა მარადისობაში გმირისა და ვაჟკაცის სახელით შეაბიჯა.

აღარასოდეს!... აღარასოდეს...

მე სიამაყით ვიხსენებ შენს ხმებს,
შენც დაიხსომე, გულო აბედო,
თუ სიკვდილია დე, მოკვდი ერთხელ,
ორჯერ სიკვდილი აღარ გაბედო!..
იქნებ მოხდეს და ფასობდეს ოქროდ,
თვით უკვდავებად იქნებ ფასობდეს, –
აღარ მოხდეს და არ დაიჩოქო,
არ დაიჩოქო აღარასოდეს!..
იქნებ პირისპირ სიკვდილსაც შეხვდე,
თვით სიკვდილშიაც კარგად გახსოვდეს,
თუ დაიჩოქე შენ თუნდაც ერთხელ,
სჯობს, არ წამოდგე აღარასოდეს!..
და რომც წამოდგე, ვის უნდა, აბა,
წამონაჩოქის სიტყვა და მტკიცე,
რომელსაც აზის მონობის დამლა
და სირცხვილისგან თვით მიწა იწვის?!
იქნებ სიკვდილსაც ვეღარ გადურჩე,
უკანასკნელად ჭვრეტდე ამ სოფელს,
აღარ წახვიდე, აღარ გაფუჭდე,
არ დაიჩოქო აღარასოდეს!..
როგორც ავაზა, ფიცხი, მოქნილი,
ეს საქართველოც ხომ გვახსოვს ოდეს?!..
დე, საქართველო წამოჩოქილი
აღარ გვენახოს აღარასოდეს!..
ვით გაფრთხილებას, ვიხსენებ შენს ხმებს,
შენც დაიხსომე, გულო ბებერო,
თუ სიკვდილია, დე, მოკვდი ერთხელ,
ორჯერ სიკვდილი არ გაგიბედონ.

ჯანო ჯანელიძე



გენო გაბუნია

გენადი (გენო) გაბუნია გულრიფშის რაიონის სოფელ ესტონკაში დაიბადა. შემდეგ ოჯახი სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად. დაამთავრა სოხუმის მე-6 საშუალო სკოლა, შემდეგ – სავაჭრო ტექნიკუმი. მურმანსკში წყალქვეშა გემზე 3 წელი იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს. იქიდან დაბრუნებულს აფხაზეთის კონფლიქტი დახვდა. დედისერთა იყო, შეეძლო არ ეომა, მაგრამ დედას ამაყად უთხრა: „საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან ჩემი მიწის დასაცავად და მე სახლში ვიჯდე?.. ზურგში მოხვედრილ ტყვიას გულში მოხვედრილი მირჩვენიაო“.

სამი ვაჟკაცი – გენოს საყვარელი ბიძაშვილი, ისიც გენადი გაბუნია, დედის ძმა იური ჩაკვეტაძე – წავიდა საბრძოლველად ერთი ოჯახიდან. გენადი და იური, საბედნიეროდ, დღეს ცოცხლები არიან და მკერდით დაატარებენ 24 წლის ვაჟკაცის გენო გაბუნიას სურათს. მამამისი ავიზორ გაბუნია, ფიზიკური ნაკლის გამო, ვერ წავიდა ფრონტზე, დღეისათვის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მარტო დარჩა ლტოლვილი და ნათესავების კერას შეფარებული დედა სულიკო გაბუნია, რომელიც ცრემლიანი თვალებით ყვება შვილის ამბავს: „ჩემი გენო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მაიორ იური ომანიძის სახელობის ბატალიონის ასეულის მსროლელი იყო: ბავშვობიდანვე სათნო, თბილი, მოსიყვარულე განსაკუთრებით მოხუცებისადმი იჩენდა მზრუნველობას, აკი დაუფასდა კიდევ – მისი საყვარელი ბებია ეთერი შვილიშვილის საფლავს ტირილში დააკვდა დაკრძალვიდან რამოდენიმე დღის შემდეგ“. 1993 წლის 24 აპრილს სოხუმის რაიონის სოფ. აჩადარაში ერთ-ერთი ობიექტის დაცვის დროს, გენო და მისი სამი თანამებრძოლი ჭურვის ნამსხვრევებმა ნაფლეთებად აქცია.

დასაფლავებულია მშობლიურ სოფელში.

* * *

„ჩვენ განა გაქცევა გვჩვევია,
გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ,
კაპიტან, სამშობლო ჩვენია,
ჩვენია სიცოცხლე, კაპიტან!“
ალ. საჯაია

* * *

დავჭირდე და მიხმოს!
წვიმა ფრთხილად უკაკუნებს რაფას,
წვიმას უნდა გამიქარვოს დარდი,
გრძელი ღამე ისე გაილია,
არც მე, არც მას მოგვიხუჭავს თვალი.
სარკმელს ვაღებ, მივეფერო მინდა,
მომენდო და შემაფარა თავი,
ნუ ცახცახებ ჩემო პაწაწინა,
ვერას გავნებს ფეთიანი ქარი.
მაგრამ დიდხანს აღარ გამიჩერდა,
ვერ გაუძლო ჩემს დარდსა და წუხილს,
ისკუპა და გადაევლო რაფას,
შეუერთდა ელვასა და ქუხილს.
კვლავ მარტო ვარ, ვმარჩიელობ ბედთან,
მარტო ვარ და მოლოდინში ვფხიზლობ,
ღმერთო! მალე გამითენე ის დღე,
შვილს დავჭირდე, დავჭირდე და მიხმოს!

ნაზი მარტიაშვილი



გიორგი ბიჭინაშვილი

ბიჭინაშვილი გიორგი სერგოს ძე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრია 1989 წლიდან. 1992 წლის 28 აგვისტოს ქ. სოხუმში მოხალისედ ჩაირიცხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში. ბოლკის პირად შემადგენლობასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში. 1992 წლის 31 აგვისტოს საბრძოლო ოპერაციის დროს, კერძოდ, ეშერის სკოლის შენობის განთავისუფლებისას იგი დაიღუპა გმირულად. დაღუპვის დროს მასთან ერთად იბრძოდნენ პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ტ.პ. ჩქარეული, რიგითი ვ.ლ.ბოლქვაძე, მათი მეშვეობით მისი ნეშტი გადმოსვენებული იქნა ქ. თბილისში. დაკრძალულია ძმთა სასაფლაოზე.



ელგუჯა ბერიძე

ბერიძე ელგუჯა ოთარის ძე, ირიცხებოდა აფხაზეთის ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოს შემადგენლობაში ბატალიონის მეთაურად 1992 წ. 10 ოქტომბრიდან 1993 წლის 16 მარტამდე. ის მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც ატარებდა ასეული. თანამებრძოლთა შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. 1993 წლის 16 მარტს მტრის შემოტევის დროს გმირულად დაიღუპა.

დიდება მის მარადიულ ხსოვნას!

დედის სევდა

თვალში ცრემლი დაშრა,
გული ოხრავს, კვნესის,
საფიცარო დედის,
დაბრუნდები, როდის?
თეთრი თოვლი თმაში,
თეთრ სიწმრებს ათოვს,
რად დამტოვე შვილო,
ზამთრის სუსხთან მარტო.
იცრიცება ღამე,
ფერმკრთალდება ზეცა,
შენსკენ სავალ ბილიკს,
უხმაუროდ ვკეცავ.
ნაზი მარტიაშვილი



დავით ბენდელიანი

დავით აპალონის ძე ბენდელიანი დაიბადა 1962 წლის 9 აგვისტოს სოხუმის რაიონის სოფელ ზემო კელასურში. დედის ალერსი მას არასოდეს ღირსებია – მის დაბადებას შეეწირა. 3 დღის ბავშვის აღზრდა ბებია და ახლობლებმა იკისრეს. ბებია პატარა დავითს უნერგავდა სამშობლოსადმი ერთგულებასა და სიყვარულს, მოყვასის პატივისცემას, მტრისადმი მტრულად დახვედრას. 1969 წელს მამამ ახალსოფლის საშუალო სკოლაში შეიყვანა, რომელიც 1980 წელს დაამთარვა. იმავე წელს შემოდგომაზე მოხალისედ წავიდა სამხედრო ვალდებულების მოსახდელად, ხოლო იქიდან დაბრუნების შემდეგ მიიღო საშუალო სპეციალური განათლება. 1992 წელს, აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე, ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის პირველ მოტომსროლელ ბატალიონში. იყო ათმეთაური. მან თავი გამოიჩინა, როგორც საქართველოს ერთიანობის და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. მონაწილეობა მიიღო ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში. არაერთხელ ჰქონდა გამოცხადებული მთავრობის მადლობა. 1993 წლის 11 ივნისს, პოზიციაზე გადაადგილების დროს, სნაიპერის ვერაგულად ნასროლმა ტყვიამ სიცოცხლით სავსე ვაჟკაცს გულისცემა შეუჩერა.

სიკვდილის წინ ორად ორი სიტყვა უთხრა მეგობრებს: ორი პატარა მრჩევა ობლად, არ მომიშოითო.



დავით ბენდელიანი

დავით მიხეილის ძე ბენდელიანი 1992 წლის სექტემბრის თვიდან ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის მე-3 ბატალიონის რიგებში, ასეულის მეთაურად. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა ოპერაციაში, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1993 წლის 5-6 იანვრის და 14-15 მარტის შემოტევისას მდ. გუმისთაზე მიმდინარე ბრძოლების დროს. 1993 წლის 27 აპრილს დავით ბენდელიანი საბრძოლო დავალების შესრულებისას, მტრის მიერ ნასროლი ნადმის ნამსხვრევებით მძიმედ დაიჭრა თავის არეში, სოხუმის რაიონის სოფ. გუმისთაში დაჭრილი, გადაყვანილ იქნა ქ. სოხუმის მე-2 საავადმყოფოში, სადაც იმ ღამესვე გარდაიცვალა. ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს ამავე ბატალიონის მებრძოლებმა: თენგიზ ჩიჩუამ და ნუგზარ გერგედავამ. დასაფლავებულია ქ. სოხუმში.



ვახტანგ ბერულავა

ვახტანგ ალექსის ძე ბერულავა აფხაზეთის რეგიონში საომარი მოქმედების დროს ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის კავშირგაბმულობის ბატალიონში, სარელეო საკაბელო ასეულის I ოცეულის ელექტრიკოსის თანამდებობაზე, 1993 წლის 2 იანვრიდან. 1993 წლის 25 ივნისიდან მე-8 ბატალიონის II ასეულის I ოცეულის მეთაურად ინიშნება. 1993 წლის 16 სექტემბერს მოწინააღმდეგის მიერ შემოტევის დროს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

წარდგენილი იყო მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“.



ემზარ ბენიძე

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ბენიძე ემზარი მიხეილის ძე ჩარიცხული იყო მეორე საარმიო კორპუსის სანაპირო დაცვის კატარღის მსროლელად 1993 წლის 20 მაისს (ბრძ. N122). ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კორპუსის მიერ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში. იყო მამაცი და დისციპლინირებული მეომარი.

1993 წლის 20 სექტემბერს სოხუმზე ბოლო შეტევის დროს ჭურვის აფეთქების შედეგად ბენიძე ემზარი მიხეილის ძე სასიკვდილოდ დაიჭრა. თანამებრძოლებმა დაკრძალეს ქართული სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე.



გია ბაქრაშვილი

მოხალისე-რეზერვისტი გია ნოდარის ძე ბაქრაშვილი მცხ. ქ. თბილისში, ჩაირიცხა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში 1992 წლის 12 აგვისტოს. გ. ნ. ბაქრაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთის რეგიონში: ქ. სოხუმში, სოფ. ტამიშთან, ეშერასთან, კელასურთან. იგი იყო სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, უღალატო, მეგობრის გამტანი, ამიტომ იყო რომ გია უშიშრად მიდიოდა ყველა საბრძოლო ოპერაციაზე. პოლკის ყველა მეომარი პატივს სცემდა მამაცობისათვის. 1992 წლის 19 ნოემბერს იგი გმირულად დაიღუპა ქ. სოხუმთან, ერთ-ერთი შეტევის დროს.

ვიტალი ბერულავა



ვიტალი ვაჟას ძე ბერულავა დაიბადა 1966 წლის 18 სექტემბერს, ქალაქ სოხუმში. 1983 წელს დაამთავრა ქალაქ სოხუმის მეცამეტე საშუალო სკოლა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც თავი გამოიჩინა მინდობილი საქმის პირნათლად, მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებით, რის გამოც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებსა და სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის. გახლდათ ოჯახის მზრუნველი მამა და მეუღლე, თავისი პატარა ვაჟიშვილის გიორგის დაფრთხილებაზე ოცნებობდა, მაგრამ აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ მრავალთა მსგავსად მისი ოცნებაც დაამსხვრია. ვიტალი თავის თანამშრომლებთან ერთად უყოყმანოდ დადგა სამშობლოს ერთიანობის დამცველთა გვერდით. იბრძოდა მამაცურად, თავგანწირვით.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გეცემულ დოკუმენტში აღნიშნულია: ვიტალი ვაჟას ძე ბერულავა აფხაზეთის ომის პირველი დღეებიდანვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში, იბრძოდა უშიშრად: კამანში, ზეგანზე, თავისუფლებაში, შრომაში, გუმისთის ხაზზე. როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს ომის წინ მიენიჭა ლეიტენანტის, შემდეგ კი, ომის პერიოდში, განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებებისათვის, ვადაზე ადრე მიენიჭა პოლიციის უფროსი ლეიტენანტის წოდება. 1993 წლის 13 ივნისს, ერთ-ერთი მორიგი საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს ვიტალი ბერულავა სასიკდვილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა მეორე დღეს, თოთხმეტ ივნისს. ვიტალი ბერულავა გამორჩეული იყო მეგობრებში და მეზობლებში პატრიოტიზმით, თავისი კუთხის და სამშობლოს სიყვარულით.

ვიტალი ბერულავას დარჩა ოჯახი, მეუღლე და ვაჟიშვილი. დაე, შენი საყვარელი ადამიანების დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული

სასუფველი ვალმოხდილო მამულიშვილო! ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი
ვაჟკაცი სული!



მამუკა ბუცხრიკიძე

ზემდეგი მამუკა გურამის ძე ბუცხრიკიძე, დაბადებული 1970 წელს, ქართველი, მცხოვრები გულირიფშის რაიონის სოფ. მაჭარკაში. 1987 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ სახალხო და სამეჯლისო ცეკვების ქორეოგრაფიული სტუდია. სამხედრო სამსახური გაიარა გერმანიაში. სწავლა განაგრძო ივანოვის ოლქის ქ. შულაში, ფურმანოვის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტზე. ზემდეგი მამუკა გურამის ძე ბუცხრიკიძე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონის რიგებში ირიცხებოდა 1992 წლის 12 სექტემბრიდან შეიარაღების სამსახურის საწყობის უფროსად. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს მან თავი გამოიჩინა, როგორც თავდადებულმა მებრძოლმა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში. პირნათლად ასრულებდა საბრძოლო დავალებებსა და მეთაურების ბრძანებებს. აქტიური მოქმედებისათვის იგი არაერთხელ იყო აღიარებული და წახალისებული. გამოცხადებული ჰქონდა სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მადლობა. აი, ამონარიდი სახელმწიფო მეთაურის წერილიდან:

ბატონ მამუკა ბუცხრიკიძეს „დიდ მადლობას მოგახსენებთ საქართველოს ისტორიის ამ უმძიმეს და ურთულეს ეტაპზე სამშობლოსა და ერის წინაშე თავდადებისათვის, უმწიკვლო მხედრული სამსახურისა და მამულიშვილური დვაწლისათვის. დღეს, როდესაც ერს და მამულს, როგორც არასდროს, სჭირდება თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და სახელმწიფო საზღვრების, მამა-პაპის კურთხეული მიწა-წყლის დაცვა, თქვენ ვაჟკაცურად და მამაცურად დგახართ სამშობლოს სადარაჯოზე, თავგანწირვით ემსახურებით მისი სამხედრო ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცებას. დიდი პატივია იყო საქართველოს ისტორიული, გმირული სამხედრო ტრადიციების ჭეშმარიტი მემკვიდრე და თავდადებული გამგრძელებელი, ახალი, ერთიანი, ეროვნული, დემოკრატიული არმიის საიმედო ჯარისკაცი, სამშობლოს დამცველი

ერთგული რაინდი. თქვენ ეს საპატიო მისია დაგაკისრათ სამშობლომ, თქვენ კი საქმით დაამტკიცეთ, რომ ღირსი ხართ ამ დიდი პატივისა და მისიისა. სულ მაღლა გეჭიროთ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული თავისუფლების დროშა, როგორც ჩენს სახელოვან წინაპრებს ვახტანგ გორგასალისა და დავით აღმაშენებლის დროშა და მახვილი ეჭირათ. დარწმუნებული ვარ, ის ერი და არმია არასოდეს არ დამარცხდება, რომელსაც თქვენისთანა ერთგული, თავდადებული და მამაცი მეომრები ჰყავს”.

გამწარებულმა ოჯახმა მამუკას მიუძღვნა ლექსი:

იწვის სანთელი და იცრემლება,
რაღა ატირებს ნეტავ?
იქვე მახლობლად სანთელთან ერთად
დგას ცრემლიანი დედა.
ვერაგმა მტერმა კვლავ გაიღვიძა,
ისმის ქართველთა კვნესა,
კვლავ დაიღვარა ქართული სისხლი,
რაში დასჭირდათ ნეტავ?!
„ერთი შვილი და ისიც სამშობლოს!“
მაინც იძახის დედა.
ღმერთო ძლიერო, შეუხედე ცოდვა
მტერს და მოყვარეს ერთად.
დედავ, ძვირფასო, სულზე უტკბესო!
უცებ ჩაესმის დედას,
რატომ ხარ ასე აცრემლებული,
ან რად შეგიპყრო სევდამ?
„ერთი შვილი და ისიც სამშობლოს!“
შენ ხომ მასწავლე დედა.
მამ მაპატიე, ჩემო კეთილო,
ჩემო ჭაღარა დედავ,
გულს არ გაიტეხს ქართველი დედა,
მომავლის ნათელს ხედავს.
იწვის სანთელი, სანთელთან ერთად
ცრემლად იღვრება დედა.



ამირანი (ტატო) ბობოხიძე

ამირან შოთას ძე ბობოხიძე დაიბადა 1971 წლის 12 მაისს ქ. სოხუმში. მე-12 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. მე-5 კურსის სტუდენტი იყო, როცა აფხაზეთის ომი დაიწყო. მოხალისედ ჩაირიცხა 23-ე ბრიგადაში რიგითად. მთელი ბრძოლების მანძილზე სამჯერ იყო დაჭრილი, მაგრამ ფრონტის ხაზი არ მიუტოვებია. მისი ხელმძღვანელობით მოხერხდა 5-სართულიანი სახლის შენობის გათავისუფლება აფხაზი სეპარატისტებისაგან. ეშერის მისადგომებთან, 1993 წლის 18 სექტემბერს, აფხაზები გადმოვიდნენ შეტევაზე ტანკებით. ამირანს სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს მიღებული ჰქონია ნაღმმტყორცნის სპეციალობა, რომლის მეშვეობითაც შეძლო მოწინააღმდეგის ტანკის აფეთქება, შემდეგ მეორე ტანკი გამოჩნდა, ისიც ააფეთქეს მან და მისმა თანამებრძოლმა, აფეთქებული ტანკიდან მოასწრეს ნაღმის გამოსროლა, რის შედეგადაც მისი ორი მეგობარი ადგილზევე დაიღუპა, თავად დაჭრილმა ამირანმა მხოლოდ ორი სიტყვის თმა მოასწრო: „გამათავეთ, ბიჭებო, ძალიან მტკივა“... და ათ წუთში გათავდა.



ბადრი ბაღათურია

«ამბობენ, დრო ტკივილს ანელებსო, წლები გადის, შვილო მაგრამ, ტკივილი არ ნელდება. გელით დღე და გელით ღამე, სულ გელით. მძიმეა მოლოდინი, მაგრამ არა გაუსაძლისი. უფლის იმედი ანუგეშებს შენს ოჯახს. იმ საბედისწერო დღეს – 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღეს, მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობიდან ისმოდა მამაც ქართველთა ომახიანი ყოფნა, ეს უკვე საბოლოოდ განწირული, მაგრამ მტერთან და ბედთან შეურიგებელ ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი იყო. შენ ჩვენთან ხარ. შენი სული აქ ტრიალებს. შენ სიცოცხლე გასწირე სამშობლოსათვის. სამშობლო გიყვარდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებს, უგზო-უკვლოდ დაკარგულებს სახელი არ უნდა დაეკარგოთ!

ოჯახი

„სინათლესავით მოვეფინოთ სოფლებს ქალაქებს! – ჩვენ დავბრუნდებით თუ კაცმა და ღმერთმა ინება, შესაწირავი კვლავ შევწიროთ წმინდა ზვარაკი და ჰგავდეს მაისს კოლხურ მხარის აღორძინება“.

ამირან მიქაუტაძე



თენგიზ აბსანძე

თენგიზ აბსანძე დაიბადა 1960 წლის 13 აპრილს ქ. სოხუმში. დაამთავრა ქ. სოხუმის N11 საშუალო სკოლა. სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა უნგრეთში. დაამთავრა ქ. როსტოვის საინჟინრო ინსტიტუტის საექსპლუატაციო ფაკულტეტი.

ომის დაწყებისთანავე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირადი დაცვის შემადგენლობაში.

განსაკუთრებით თავი გამოიჩინა შრომა-თავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლებში.

1993 წლის 27 სექტემბერს იბრძოდა მინისტრთა საბჭოს შენობაში. თანამებრძოლები იგონებენ, როგორ ვაჟკაცურად იბრძოდა თენგიზი, მინისტრთა საბჭოს III სართულიდან მან ცეცხლი გაუხსნა მტერს. ამ ბრძოლის დროს თენგიზ აბსანძე გმირულად დაიღუპა.

თენგიზ აბსანძეს ახასიათებენ როგორც ერთგულ, უღალატო, უშიშარ, შრომისმოყვარე, განათლებულ, მებრძოლი სულისკვეთების მქონე ადამიანს. ასეთი ადამიანების მარადისობაში გადასვლა უბრალოდ არ ხდება. მისი ნამუსიანი სიცოცხლე და აღსასრული დასტურია იმისა, რომ საქართველო უნდა გამთლიანდეს და გაბრწყინდეს. ამის სჯერათ თენგიზ აბსანძის ახლობლებს, მეგობრებს და ერთადერთ დას – მარინა აბსანძეს.

აგერ ჩემი მიწის რუკა,
სისხლით როა დახაზული,
როგორ უნდა მოაცილო
მიწა და ზღვა აფხაზური.
იქ დარჩენილ ძმათა ჩვენთა,
აშვებული ფარად სული

მაიმედებს, გაგვამთელებს
სატკივარი აფხაზური.

ირმა მეზურიშვილი



ზურაბ იარაჯული

– Эй, грузин, сдавайся, в плен возьмем, не убьем, не бойся- ჩეჩნური აქცენტით დაიძახა ვიღაცამ, რომელსაც პასუხად პისტოლეტის ტყვიების წივილი მოჰყვა...

დაახლოებით ერთი წლით ადრე, ვიდრე გუმისთის პირას, ტყეში, ეს ტრაგედია დატრიალდებოდა, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბში ახალგაზრდა სამხედრო პილოტი მივიდა და განაცხადა, ქართული ცის დაცვა მსურსო.

ეს პილოტი ზურა იარაჯული გახლდათ. ზურამ თიანეთის სოფელ იარაჯულების სკოლის დამთავრების შემდეგ რუსეთში, კაჩას უმაღლეს სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებელში გააგრძელა სწავლა.

აქ ჩეხოსლოვაკიური წარმოების სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავები – L-29 "დელფინი" და L-39 "ალბატროსი" შეისწავლა. 1992 წელს ახალგაზრდა ლეიტენანტს მფრინავ-ინჟინრის სპეციალობა მიანიჭეს და მისცეს თავისუფალი დიპლომი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზურა, ისევე როგორც ათობით მისნაირი ახალგამომცხვარი პილოტი, რამდენიმე თვის წინ დაშლილ საბჭოთა კავშირის სამხედრო ავიაციას აღარ სჭირდებოდა.

საქართველოში ომი იწყებოდა და ზურამ და რამდენიმე ქართველმა პილოტმა სამშობლოს მოაშურეს...

– Грузин, не стреляй, плен поменяем, живой останешься!..- ყოველ შეთავაზებას პისტოლეტის ხმა მოსდევს...

1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ზურა იარაჯულმა, რამდენიმე პილოტთან ერთად, თბილისის საავიაციო ქარხნის აეროდრომზე მოიერიშე Су-25-ზე

გადამზადების დაჩქარებული პროგრამა გაიარა და უკვე ნოემბერში კოპიტნარის აეროდრომიდან საბრძოლო გაფრენები დაიწყო აფხაზეთის ომში.

1993 წლის 13 ივლისი. ორშაბათი. მფრინავები ცრუმორწმუნე ხალხია, ამიტომაც ორშაბათი და თანაც 13 რიცხვი თარსად მიაჩნიათ, მაგრამ ვერაფერს გააწყობენ...

აფხაზეთში გააფთრებული ბრძოლებია. 2 ივლისს მოწინააღმდეგემ ტამიშთან საზღვაო დესანტი გადმოსხა. 9 ივლისს, დიდი ბრძოლების შემდეგ, ოჩამჩირე-სოხუმის შემაერთებელი გზა გაიხსნა. თუმცა მტერმა, საზღვაო-სადესანტო ოპერაციის გარდა, სოხუმს სოფელ შრომის მხრიდანაც შეუტია. ეს კი ძალიან სახიფათოა, რადგან შრომიდან სოხუმისკენ გზა იხსნება და აფხაზეთის დედაქალაქი შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

კოპიტნარის აეროდრომზე ბრძანება მოდის – შრომის მიმართულებით სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს საავიაციო დარტყმა. აეროდრომიდან ოთხი Cy-25 მოიერიშე აიჭრა ცაში, ერთ-ერთს ზურა იარაჯული მართავს...

ამ მომენტამდე კაპიტან ზურა იარაჯულის ანგარიშზე უკვე 50-მდე საბრძოლო გაფრენა იყო. შრომის თავზე მისმა მოიერიშემ ორი 250 კგ-იანი ფუგასური საავიაციო ბომბით მოწინააღმდეგის ტანკი და ბლინდაჟი ააფეთქა, მანამდე კი საავიაციო ქვემეხიდან გაშვებული ჭურვებით მტრის საზენიტო დანადგარი დააზიანა სოფელ კინდლთან. დაბომბა სანგრები ტყვარჩელთან და ეშერის ლაბორატორიასთან, ხოლო ახალ ათონთან, "სიდედრის ენად" წოდებულ დაკლავნილ გზაზე, ზურამ და მისმა მეწყვილემ აფხაზების ოთხი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა "გრადიც" გაანადგურეს...

იმ საბედისწერო 13 ივლისს, დილის 10 საათზე, კოპიტნარიდან აფრენილმა ქართულმა მოიერიშეებმა რამდენიმე წუთში გუმისთას მიაღწიეს. ამზარა-შრომის გზის მონაკვეთზე პილოტებმა შენიშნეს ქართულ სოფელზე დაწყებული შეტევის გასაძლიერებლად მიმავალი მოწინააღმდეგის კოლონა.

შრომისკენ ერთი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП და ოთხი სატვირთო ГАЗ-66 მიემართება. ერთ-ერთი "გაზიკის" ძარაზე საზენიტო დანადგარი მოჩანს, ავტომატიანი ხალხი მანქანებს გვერდით მიჰყვება...

მოიერიშეების წყვილი 1800 მ-იდან პიკეში გადადის. პირველ თვითმფრინავს ორი 500 კგ-იანი ერთჯერადი ბომბური კასეტა სწყდება, ჰაერში იშლება და მტრის

კოლონის სათავეს ეცემა. მეორე Cy-25, რომელსაც ზურა იარაჯული მართავს, ამთავრებს მეგობრის დაწყებულ საქმეს და კოლონის ბოლოს ზუსტად ახვედრებს ორ-ნახევარტონიან მსხვრევად-ფუგასურ ავიაბომბს.

შეტევიდან გამოსულმა ქართველმა პილოტებმა დაინახეს, როგორ გაეხვია მოწინააღმდეგის კოლონა ცეცხლსა და კვამლში.

მტერს შეიძლება საზენიტო რაკეტებიც ჰქონდეს, ამიტომაც მოიერიშეები სწრაფად ადიან მალა და კოპიტნარისკენ მიეშურებიან.

საბრძოლო დავალება წარმატებით შესრულდა, ახლა ცოტა ხნით დასვენებაზეც შეიძლება ფიქრი – სამხედრო პილოტების ყოველ გაფრენას ხომ უდიდესი ფიზიკური და ემოციური დატვირთვა ახლავს.

ჩამუხვლას ვერ ასწრებ... მოდის მორიგი ბრძანება და ორი ქართული მოიერიშე კვლავ ჰაერშია. ჩვენმა დაზვერვამ აღმოაჩინა, რომ განადგურებული კოლონის სანაცვლოდ აფხაზები ახალ ძალებს გზავნიან შრომის ასაღებად. ქართველმა პილოტებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ შრომისა და, შესაბამისად, სოხუმის გადასარჩენად.

ორივე მოიერიშე კვლავ ზუსტად აყრის მტრის მორიგ კოლონას ბომბებს და მალა, ცაში იჭრება. დაახლოებით 3 კმ-ის სიმაღლეზე წამყვანი მოიერიშის პილოტი ამჩნევს, რომ მის მიმყოფ Cy-25-ს, რომელსაც კაპიტანი ზურა იარაჯული მართავს, ცეცხლი უკიდია. წამიც და თვითმფრინავს შავი წერტილი სცილდება, მალევე იხსნება თეთრი პარაშუტი. შველაზე ლაპარაკი ზედმეტია. წამყვანი მოიერიშე ანტისაზენიტო მანევრს აკეთებს რაკეტის ასარიდებლად და გეზს კოპიტნარისკენ იღებს.

კოპიტნარში განგაშია. ჰაერში ადის კაპიტან იარაჯულის მეგობრების შვეულმფრენი. ისინი გუმისთასთან ეძებენ კატაპულტირებულ პილოტს, მაგრამ უშედეგოდ.

წინა ხაზზე მეტბრძოლებმა სანგრძიდან დაინახეს, თუ როგორ მოხვდა საზენიტო რაკეტა ქართულ მოიერიშეს, თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა, იქიდან გადმომხტარ პილოტს, მართალია, გაეხსნა პარაშუტი, მაგრამ ქარმა იგი ჩრდილო-დასავლეთისკენ, მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გააქანა...

გადის დღეები. კაპიტან ზურა იარაჯულზე არაფერი ისმის. ყველა კატაპულტირებულ სამხედრო პილოტს თან აქვს "კომარის" ტიპის საავარიო რადიოგადამცემი, რომლის რადიოსიგნალებს ორბიტული კოსმოსური სისტემა აფიქსირებს. მაგრამ იმის გამო,

რომ აფხაზეთის ომში რეალურად რუსეთი გვებრძოდა, "კომარის" რადიოსიგნალებს ისევ რუსი სამხედროები აფიქსირებდნენ და აფხაზებს გადასცემდნენ ჩამოგდებული ქართველი პილოტის აღმოსაჩენად...

ეს ჩვენი ვერსიაა, შეიძლება ზურა იარაჯულმა საერთოდ გამორთო "კომარი". იგი თავად ცდილობდა მდ. გუმისთაზე ფრონტის ხაზის გადმოლახვას.

...თუმცა ეს ყველაფერი ერთი თვის შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც 27 ივლისის ხელშეკრულებით ცეცხლი დროებით შეწყდა.

მოწინააღმდეგე კონტაქტზე გამოდის და ამხელს, თუ სად არის დასაფლავებული 13 ივლისის ჩამოგდებული ქართველი პილოტი. გუმისთის მეორე მხარეს მხოლოდ ზურას მამა, ბესო გადაჰყავთ. 2 აფხაზთან და 4 ჩეჩენთან ერთად 3 კმ ფეხით იარეს და ტყეში საფლავს მიადგნენ... ცელოფანსა და შინელში გახვეული შვილის ცხედარი ერთი თვალის შევლებითაც იცნო ბესო იარაჯულმა...

– Он настоящим героем был, – უყვება ბესოს შვილის სიცოცხლის ბოლო წუთებზე ერთ-ერთი ჩეჩენი, – ჩვენი საპატრულო ჯგუფი კატაპულტირებულ პილოტს სამი დღე ეძებდა. 16 ივლისს მას ამ ადგილას მოულოდნელად წავაწყდით. რამდენჯერმე შევთავაზეთ დანებება, სიცოცხლესაც შევპირდით და ჩვენს ტყვეებზე გაცვლაც გვინდოდა, მაგრამ ყველა შეთავაზებაზე სროლას გვიტეხდა. მერე მოულოდნელად გადმოგვიხტა, ორი თანამებრძოლი მოგვიკლა, მესამე კი დაგვიჭრა. სწორედ იმ დაჭრილმა წაქცევის მომენტში ავტომატის ჯერი დააყარა თქვენს შვილს... ნამდვილი გმირი იყო, ტყვედ ჩაბარებას სიკვდილი არჩია. ამ აფხაზებს მაგის ნეშტის შეურაცხყოფა სურდათ, მაგრამ ჩეჩენებმა არ დავანებეთ. ვაჟკაცი ყოველთვის ვაჟკაცია, გინდ მტერი იყოს, – დაასრულა შეიარაღებულმა ჩეჩენმა.

ზურა იარაჯული თიანეთში, მშობლიურ სოფელში დაასაფლავეს.

უბედურებას უბედურება დაემატა. ზურას დედამ, ქალბატონმა გულომ, შვილის დალუპვა ვერ აიტანა და თავადაც გამოესალმა წუთისოფელს. დედა-შვილი ერთად დაკრძალეს...

სამიოდ წელში ზურა იარაჯულის მამაც გარდაიცვალა, მოგვიანებით ზურას ძმა, ვანოც დაიღუპა, რომელიც ასევე აფხაზეთის ომის მონაწილე იყო...

- მე მტერს ცოცხალი არ ჩავბარდები! - ეს სიტყვები თავისი მეგობრებისთვის არაერთხელ უთქვამს კაპიტან ზურა იარაჯულს.

ზურა იარაჯული ნამდვილი გმირი იყო, რომლის ვაჟკაცობა მტერმაც კი აღიარა!



ბერულავა ალექსანდრე (საშა)

დაიბადა ქალაქ სოხუმში 1945 წლის 11 ნოემბერს. სოხუმის XIV საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1964 წელს, ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯურნალისტიკის განყოფილებაზე. უნივერსიტეტი წითელი დიპლომით დაასრულა. დიპლომამდელი პრაქტიკა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ გაიარა, ხოლო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გაზეთის რედაქტორმა – გ.სემონოვმა აიყვანა სამუშაოდ ოფიციალური დოკუმენტების მიღების გარეშე, რადგანაც შიშობდა, რომ საშა მიიღებდა ცენტრალური გაზეთების შემოთავაზებას და საქმიანობას თბილისში გააგრძელებდა. მაგრამ, საშას ვერ წარმოედგინა სოხუმის გარდა სხვა ქალაქში ცხოვრება – შემდგომი წლების განმავლობაში იგი ებრძოდა კორუფციას, მექრთამეობას, სეპარატიზმს, იცავდა ადამიანის უფლებებს. ამავდროულად იგი ადიდებდა აფხაზეთსა და მის მაცხოვრებლებს, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა. მოსახლეობას იგი უყვარდა და „აფხაზეთის ოქროს კალამსაც“ უწოდებდნენ.

1989 წლიდან აფხაზეთში მდგომარეობა გართულდა, გამწვავდა წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემები. საშა აფრთხილებდა, რომ ყოველივე ეს შეიძლება გადაზრდილიყო სეპარატიზმში, მაგრამ მას არ მოუსმინეს.

საქართველოს მტრების მრავალწლიან იდეოლოგიურ შრომას ტყუილად არ ჩაუვლია. აფხაზეთის უნივერსიტეტში წარმოშობილი გაურკვეველობა ქართველებსა და აფხაზებს შორის შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა. დაიღვრა სისხლი... სასწრაფო დახმარების მძღოლებმა უარი განაცხადეს დაჭრილთა და დაშავებულთა გადაყვანაზე საავადმყოფოში – მაშინ ეს მართლაც სახიფათო იყო. მაშინ მანქანის საჭეს საშა მიუჯდა და მთელი ღამის განმავლობაში გადაჰყავდა როგორც ქართველები, ასევე აფხაზები და აფხაზეთის სხვა ეროვნების მაცხოვრებლებიც.

1991 წელს, როდესაც შსს-ს იზოლატორში ბუნტი მოხდა, აჯანყებულებთან ვინმეს მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა. საშას გარდა პატიმრებმა არავინ შეუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში იგი კრიმინალებს ებრძოდა, საშას იმდენად პატივს სცემდნენ, რომ მოლაპარაკებები მას მიანდეს. აჯანყების დასრულების შემდეგ საშამ ამ მოვლენების ამსახველი სტატია დაწერა, რომელიც გახდა ციხიდან პირველი რეპორტაჟი მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

საშა კარგად ერკვეოდა თეოლოგიაში. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი ყოველთვის ეპატიჟებოდა მას უცხოური ეკლესიების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე. სხვათაშორის, სწორედ საშამ აიღო ერთ-ერთი პირველი ინტერვიუ სასულიერო პირთან ათეისტურ საბჭოთა კავშირში, რომელსაც საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა.

საშა იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც ხელი შეუშალა თავდასხმას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე, უწმინდესსა და უნეტერესზე ილია II-ზე, აფხაზეთში მისი ვიზიტის დროს. იმჟამად, საშას ავტორიტეტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ომის დაწყებისას, 1992 წლის 14 აგვისტოს, საშა მიემგზავრებოდა ტელეაპარატურის გასაკეთებლად, რადგანაც იგი იყო აფხაზეთში ქართული ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებელი. ქალაქის ცენტრში იგი ახალგაზრდა აფხაზმა ბოევიკებმა დაატყვევეს. მანქანაში იარაღი ელაგა, მაგრამ საშა ეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ეს გაუგებრობა მალე აღმოიფხვრებოდა. მაგრამ ყველაფერი გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა და მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევით მოხერხდა ტყვეობიდან მისი გამოყვანა. სახლში იგი სოხუმის ბატალიონის მეომრებმა მოიყვანეს. საშას სხვისი პერანგი ეცვა, როგორც აღმოჩნდა, მისი პერანგი სისხლში იყო ამოსვრილი და ერთ-ერთმა აფხაზმა მას საკუთარი პერანგი გადასცა. როგორც ამბობენ, ეს აფხაზი ამისთვის შემდეგ დახვრიტეს.

ომის განმავლობაში საშა სოხუმს არ ტოვებდა. მან უარი თქვა მრავალ მიმზიდველ შემოთავაზებაზე და სამუშაოდ არც მოსკოვსა და არც თბილისში არ გადავიდა. იგი იყო ტელევიზიის ხელმძღვანელი, ყველა სამხედრო პრეს-ცენტრისა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი. იმ ყველაფრის ჩამოთვლა, რასაც იგი აკეთებდა, ძალზედ რთულია. მაშინ, როდესაც სადმე სიტუაცია რთულდებოდა, მას ავიწყდებოდა დასვენება, პირადი ცხოვრება, ყველაფერი, და აკეთებდა იმას, რაც საჭირო იყო კონკრეტულ სიტუაციაში.

1993 წლის 27 სექტემბერს იგი იყო იქ, სადაც მის ყოფნას სამოქალაქო და პროფესიული ვალდებულება მოითხოვდა – აფხაზეთის მინსტრთა საბჭოს შენობაში, ჟიული შარტავასა და სხვა პატრიოტების გვერდით. ამბობენ, რომ საშა მოუწოდებდა თანამებრძოლებს არ ჩაბარებულიყვნენ ტყვედ და თან ყოველთვის ყუმბარას ატარებდა.

ამ საბედისწერო დღის შემდეგ, საშა ბერულავას ბედი უცნობია...

რამაზ ბესელია



1993 წლის 14 მარტს მესანგრეთა ნაწილში საგანგაშო ცნობა მიიღეს – წინა ღამით, რუსეთის ავიაციის მიერ სოფელ გუმისთაში ჩამოგდებულ ბომბთაგან ერთ-ერთი არ აფეთქებულა, მორიგი უბედურების თავიდან ასაცილებლად და ბომბის გასაუვნებელყოფად შემთხვევის ადგილზე გაემართა მესანგრეთა დიდი ჯგუფი. მათთან ერთად გამგზავრების სურვილი გამოთქვენს ჟურნალისტებმაც. ადგილზე ნანახმა საოცრებამ და სანახაობამ ყველანი გააოგნა. ძნელი იყო სიტყვებით გადმოცემა იმ ნგრევისა და უბედურებისა, რაც იმ ღამს თავს დასტყოდომოდა სოფელს.

მომხდარის საილუსტრაციოდ ფირზე უნდა აღებეჭდათ ყოველივე.

თითქოს თავის მორიგ მსხვერპლს ელოდა ურჩხული, როგორც კი 12 ადამიანი – რვა გვარდიელი და 4 კორესპონდენტი თავს წაადგა ორმოს, სადაც ბომბი ჯერ კიდევ უვნებლად იდო... კიდევ ერთხელ შეძრა მიდამო გამაყრუებელმა აფეთქებამ და მას მოყოლილმა უბედურებამ – 12 სიცოცხლე თვალისდახამხამებაში გაიფანტა ჰაერში.

საქართველომ დაკარგა კიდევ რამდენიმე მამულზე შეყვარებული შვილი –

საქართველოს რეიარაღებული ძალების გვარდიელები: გიული თაკალანძე, რამაზ ბესელია, ავთანდილ კოპალიანი, რუსლან ცხაკაია, ნოდარ ოსაძე, აკაკი მიმინოშვილი, ციცეპოლკოვნიკი ანდრო მალაკელიძე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომლები გიორგი პოპიაშვილი და ალექსანდრე კარაპეტინი, დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეს“ თანამშრომლები ჯუმბერ ეზუგბაია და გულიკო გოდოლაძე.

24 მარტს საქართველოს მიწამ მიიბარა 12-ვე დაღუპული. ამ დღეს სოხუმის მოსწავლეთა პარკში თავი მოიყარა ქალაქის საზოგადოებამ, დაღუპულთა მშობლებმა, ახლობლებმა, თანამებრძოლებმა. დღის სამ საათზე მესანგრეთა ნაწილიდან გადმოასვენეს ურნა, შეკრებილებმა მუხლი მოიყანეს მის წინაშე. ცხუმ-აფხაზეთის საპატრიარქოს წარმომადგენლებმა გადაიხადეს პანაშვიდი.

ურნა ფრთხილად ემევა სამმო საფლავში. ქართულ მიწას და ყვავილებს აყრიან მარადიოსობაში მიმავალთ, გვარდიელებმა კი სამხედრო პატივის ნიშნად

ერთდროული ავტომატების ჯერით დაადასტურეს მათი უკვდავყოფა. სანთლების კოცონი დიდხანს ანათებდა ამ წმინდა ადგილს.

– ნათელი იყოს თქვენი გზა მარადისობაში! – ამბობენ შავმანდილიანი დედები და ჩვენც ხმას ვუერთებთ: – ნათელი იყოს თქვენი მარადისობაში ყოფნა!



ჯუმბერ

ბეთაშვილი

აფხაზეთის ა. რ. მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, ომის დროს სახელმწიფო მდივანი, ჯუმბერ სერგოს ძე ბეთაშვილი დაბადებული 1939 წლის 26 ივნისს ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. სოხუმში, 1993 წლის 27 სექტემბერს იმყოფებოდა მინისტრთა საბჭოს შენობაში ჟიული შარტავასთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად. მოწინააღმდეგის, მინისტრთა საბჭოს შენობაზე მასირებული შემოტევის დროს, იგი აქტიურად მონაწილეობდა შენობის დამცველებთან ერთად, მტრის მოგერიებაში. რა დროსაც დაიღუპა.

1999 წლის 13 მარტის განკარგულებით ჯუმბერ ბეთაშვილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა, მამაცობისა და თავდადებისათვის დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

„არ გაქცეულა ის, არსად, არა,
ის მარტოდმარტო ქალაქში დარჩა,
პოეტი, დენდი და ლამაზჩელი,
ხომ არ მოგიკრავს, უფალო, თვალი?..
გენო კალანდია

მამუკა ბეინაშვილი



ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკი, 1992 წლის 31 აგვისტოს გადავიდა საბრძოლო მოქმედებით მდ. გუმისტაზე ეშერის მიმართულებით. 1992 წლის 1 სექტემბერს საბრძოლო დავალების შესრულებისას გმირულად დაიღუპა რიგითი გვარდიელი ბეინაშვილი მამუკა ვაჟას ძე.



ბესიკ ბერია

უფროსი ლეიტენანტი ბერია ბესო აკაკის ძე აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ჩარიცხული იყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების II საარმიო კორპუსის 23-ე მექ. ბრიგადის III ბატალიონის პირად შემადგენლობაში სადაზვერვო ოცეულის მეთაურად 1992 წლის 23 სექტემბრიდან. მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში. 1993 წლის 16 მარტს ქ. სოხუმის მასიური შტურმის დროს მტრის ცალკეულმა ჯგუფებმა სოფ. აჩადარაში შესძლეს ზოგიერთი ქართული პოზიციის გარღვევა. ერთ-ერთი ასეთი 12-კაციანი ჯგუფი, ბესო ბერიამ თავისი ოცეულით, ალყაში მოამწყვდია: ორი მათგანი ტყვედ ჩაბარდა, დანარჩენი – ლიკვიდირებულ იქნა. ბ. ბერია ამ ოპერაციის შესრულებისას სასიკვდილოდ დაიჭრა. ორი ტყვია მოხვდა თავსა და გულმკერდის არეში. ის ადგილზე გარდაიცვალა. ბრძოლის ველიდან გამოყვანილი იქნა თანამებრძოლების: რეზო ქარდავასა და ავთო ქოიავას მიერ. გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის უფ. ლეიტენანტი ბერია ბესო აკაკის ძე დაჯილდებულია (სიკვდილის შემდეგ) ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.



დავით

ბებია

დავით ბებია დაიბადა 1970 წლის 15 სექტემბერს გულრიფში. დაამთავრა სოფ. ფშაფის რვაწლელი, ჩაირიცხა ლესელიძის სახელობის სკოლაში. აფხაზეთში ომის დაწყების დროს დათო მოხალისედ ჩაეწერა 23-ე ბრიგადის I მოტომსროლელ ბატალიონში რიგითად.

1992 წლის 3 დეკემბერს გუმისთის მისადგომებში გამართულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. სასწრაფოდ გადააფრინეს მოსკოვში. გამოჯანმრთელებისთანავე ისევ დაუბრუნდა თავის თანამებრძოლებს.

1993 წლის 23 ივლისს სოფ. შრომას აფხაზმა სეპარატისტებმა ჯავშანტექნიკით შეუტყეს, დათო და მისი ბიჭები ალყაში მოაქციეს. ალყის გარღვევის დროს მტრის ვერაგულმა ტყვიამ 23 წლის ვაჟკაცი გამოასალმა სიცოცხლეს. დავით ბებია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.



ელგუჯა


ბალათურია

ელგუჯა შოთას ძე ბალათურია დაბადებული 1962 წლის 31 მაისს. აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ჩარიცხული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მექ. ბრიგადის მესამე ბატალიონის პირად შემადგენლობაში ასეულის ზემდეგად 1992 წლის ოქტომბრიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში.



ელგუჯა ბალათურია 1993 წლის 19 სექტემბერს სოფ. თავისუფლებასთან გამართულ ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა ნაღმსატყორცი ჭურვის აფეთქების შედეგად კისრის არეში. დაჭრილი ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს თანამებრძოლებმა თენგო ნაჭყებია და მიშა საბახტარაშვილმა ჰოსპიტალიზირებული იყო სოხუმის მეორე საავადმყოფოში სადაც მიყვანისთანავე 19 სექტემბერს გარდაიცვალა. დასაფლავებულია გულრიფშის რაიონის სოფ. კაშტაკში.

ელგუჯა ბალათურია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



შოთა ბაღათურია

შოთა ბაღათურია, დაიბადა 1929 წლის 30 იანვარს. აფხაზეთში ცხოვრობდნენ. დიდი ოჯახი ჰქონდათ. როცა კონფლიქტი დაიწყო და მშობლიურ მიწა-წყალს საფრთხე დაემუქრა, 64 წლის შოთა და მისი 31 წლის ვაჟკაცი ელგუჯა მოხალისეებად ჩაეწერნენ 23-ე ბრიგადის მე-3 ბატალიონში რიგითებად. თავდაუზოგავად იბრძოდა მამა-შვილი.

1993 წლის 19 სექტემბერს სოფ. თავისუფლებასთან გამართულ ბრძოლაში ელგუჯა მძიმედ დაიჭრა ნაღმსატყორცი ჭურვის აფეთქების შედეგად და ჰოსპიტალში მიყვანისთანავე დალია სული. დასაფლავებულია სოფ. კაშტაკში. გამწარებული მამა კი ბოლომდე, სოხუმის დაცემამდე იბრძოდა ვაჟკაცურად. 27 სექტემბერს სოხუმში, მთავრობის სახლთან მიმდინარე ბრძოლების დროს დაიღუპა. დაკრძალულია იქვე, მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.



ბესარიონ ბალიძე

დაიბადა 1965 წლის 31 ივლისს.

რიგითი ბალიძეილი ბესარიონ ჭიჭიკოს ძე ჩარიცხულ იყო მეორე საარმიო კორპუსის ცალკეული კავშირგაბმულობის ბატალიონის (ს/ნ 51445-ის) რიგებში 1993 წლის 25 მარტიდან, როგორც ბატალიონის პირველი რადიოასეულის რადიოტელეგრაფისტი. იმ მცირე დროის განმავლობაში, რაც მან დაჰყო ბატალიონში, თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა სპეციალისტმა, მეგობარმა და თავისი სამშობლოს მოყვარულმა მეომარმა.

ის პირნათლად ასრულებდა ბატალიონის ხელმძღვანელობის დავალებებს, დროულად ამყარებდა კავშირს კორპუსისა და ბრიგადის ქვეგანაყოფებთან.

1993 წლის 16 მაისს დაიღუპა 1 ბატალიონთან არსებული საარტილერიო სათვალთვალო საგუმაგოზე საბრძოლო დავალების შესრულებისას.

გიორგი ბალიშვილი



ლეიტენენტი ბალიშვილი გიორგი ავთანდილის ძე ჩარიცხული იყო მე-2 საარმიო კორპუსის შტაბის დაცვის ასეულში ოცეულის მეთაურად 1993 წლის 10 ივნისიდან, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ასეულის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო მოქმედებაში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს სოფ. გუმისთასთან სასიკვდილოდ დაიჭრა 1993 წლის 7 ივლისს.

ლერი ასლანიკაშვილი



ასლანიკაშვილი ლერი ვახტანგის ძე დაიბადა 1969 წ-ს 29 მაისს. საშუალო განათლებით, უცოლშვილო. მცხ. ოჩამჩირის რ-ნი სოფ. არადუ. აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, ასლანიკაშვილი ლერი ვახტანგის ძე ჩარიცხული იყო 23-ე ბრ. სამთო-მსროლელი ასეულის „სკორპიონის“ პირველ ოცეულში 1993 წლის 1 თებერვლიდან (ბრძ. N171 6.04.93 წ.). ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საბრძოლო ოპერაციებში, მეთაურთა ბრძანებებს ასრულებდა პირნათლად. თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. 1993 წლის 16 მარტს გუმისთაზე შემოტევის დროს, ასლანიკაშვილი ლერი სასიკვდილოდ დაიჭრა. დაკრძალულია ოჩამჩირის რ-ნ სოფ. არადუში.



ემზარ ახსიაშვილი

პოლიციის ლეიტენანტი ემზარ ვაჟას ძე ახსიაშვილი დაიბადა 1968 წლის 31 აგვისტოს ქ. თბილისში.

თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პოლიტექნიკურ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. 1987 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, ავღანეთის ქარცეცხლში გამოიწვრთნა ვაჟკაცი, ოჯახს უვნებელი დაუბრუნდა. თვალცრემლიანი, ხანაც ღიმილით გვესაუბრება უფროსი ძმა თამაზი: „ოჯახის წევრებიდან მხოლოდ მე ვიცოდი, ავღანეთში რომ იბრძოდა, მომწერა და შემეხვეწა, მშობლებისათვის არ გამემხილა. სხვათაშორის, ემზარს, პატარაობიდანვე განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა, ალაღმართალი, უაღრესად კეთილი, დინჯი იყო, უსამართლოდ არც თავს დაიჩაგრავდა და სხვასაც არ დაჩაგრავდა. სიმართლე და პატიოსნება მისი ხანმოკლე, მაგრამ კაცური ცხოვრების მეგზური იყო. ავღანეთიდან საპატიო სიგელებითა და მედლებით „მებრძოლი ინტერნაციონალისტი“ დაბრუნდა. იმ პერიოდში საქართველოში სამაჩაბლოს კონფლიქტი უკვე მიმდინარეობდა. ემზარმა სიამაყით დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში პოლიციელად. მალე თანამშრომლების დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა და საბურთალოს რაიონის უბნის ინსპექტორად დანიშნეს. შემდეგ მიავლინეს კრიმინალური პოლიციის განყოფილებაში, სპეციალურ ჯგუფში, ჯერ უმცროს ინსპექტორად, შემდეგ კი ინსპექტორის თანამდებობაზე. პარალელურად მონაწილეობდა სამაჩაბლოს კონფლიქტში. შემდეგ აფხაზეთის კონფლიქტი დაიწყო და აქაც წარბეუხრელად წავიდა. სხვის ომში ვიბრძოდი და საკუთარი მიწის დასაცავად როგორ არ წავალ, თბილისში რა გამაჩერებს, იარაღი კარგად ვიცი და რასაც შევძლებ, იმას გავაკეთებო, - თქვა და კაცურად აღასრულა მამულიშვილური ვალი. თანამებრძოლები იგონებენ: ძალიან გულადი მებრძოლი იყო, არაფრის ეშინოდა, სოხუმის ერთ უბანში სნაიპერები მთელი საღამო ისროდნენ, გამთენიის ხანს ემზარმა ამ ქუჩით ჩამოიარა, ყველას შეეშინდა, მან კი მშვიდად, ღიმილით ჩაილაპარაკა: „ჩამოხსნილია“.

1993 წლის 25 სექტემბერს საომარი მოქმედებების დროს ემზარ ახსიაშვილი ნაღმტყორცნის ჭურვის აფეთქების შედეგად მძიმედ დაიჭრა და რამოდენიმე საათში გარდაიცვალა. ამ დროს მისი უფროსი ძმა თამაზ ახსიაშვილი, ყოფილი „ომეგელი“,

სოხუმში სხვა ფრონტის ხაზზე ებრძოდა უღმობელ მტერს, იძულებით, 27
სექტემბერს, მხრებჩამოყრილი, „გოლგოთის გზით“ დაბრუნდა შინ და გაიგო
თავსდატეხილი უბედურება. ემზარი უკვე საგვარეულო სასაფლაოზე, თეთრი წყაროს
რაიონის სოფ. საფრაშენში განისვენებდა.
მსუბუქი ყოფილიყოს ქართული მიწა, 25 წლის გმირო ვაჟკაცო!

კონერი ადეიშვილი



ზემდეგი ადეიშვილი კონერი ნიკოლოზის ძე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-II ბრიგადის ბატალიონ „ავაზა“-ში 1992 წლის 20 აგვისტოდან ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე.

იგი გამოირჩეოდა თავისი თანამებრძოლებისგან ხასიათის სიმტკიცით, უფროსების მიერ მიღებული დავალების დროული შესრულებით.

მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საბრძოლო ოპერაციაში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გუმისთის მისადგომებთან და ტამიშთან მიმდინარე საბრძოლო ოპერაციის დროს.

1993 წლის 25 სექტემბერს სოხუმის დაცვის დროს ზ/ზემდეგი ადეიშვილი კონერი ნიკოლოზის ძე მტრის მიერ ნასროლი ჭურვის აფეთქების შედეგად დაიღუპა.

დასაფლავებულია ქ. სოხუმში



კახა აბულიძე

კახა ვახტანგის ძე აბულიძე 1991 წლის 6 აგვისტოდან ირიცხებოდა ჯერ ახალციხის 22-ე ბრიგადაში, ხოლო 1992 წლის ოქტომბრიდან 1993 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით ზემსახურად ირიცხებოდა ეროვნული გვარდიის I ბრიგადის „სადესანტო-სამტურმო“ ბატალიონის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთის რეგიონში. კერძოდ: აჩადარის, ეშერის, ტამიშის, გაგრის, აფხაზური ათარის, კინდლის, ახალდაბისა და სოხუმისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

1993 წლის 22 სექტემბერს კახა ვახტანგის ძე აბულაძე დაიღუპა ე. სოხუმის აეროპორტში ჩამოგდებულ თვითმფრინავში.

კახას ძალიან უყვარდა ხატობაში სიარული. აგვისტოში იწყება თუშეთში ხატის დღეობები. 4000 მეტრის სიმაღლეზე სოფელ დოჭუში ინახებოდა სახეოს წმინდა გიორგის ხატი. ხატობის დღეს ეს წმინდა დროშა უთენია უნდა აეტანათ თუშეთის ზვიადი მთის მაღლობზე. ეს დროშა კახას მიჰქტონდა დოჭუში სირბილით, შეუსვენებლად, მთის ბილიკებით.

კახამ არა მარტო ხეობის დროშა, არამედ სამშობლოს დროშა ზეაღმართული ატარა და თავისი ახალგაზრდა სიცოცხლეც უყოყმანოდ შესწირა სათაყვანო მამულს!



ზაზა ახალაია

ახალაია ზაზა აკაკის ძე დაბ. 1972 წლის 16 ოქტომბერს, განათლება – სტუდენტი. მცხოვრები სოხუმის რაიონის სოფ. აჩადარაში.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ახალაია ზაზა აკაკის ძე ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის საკომენდანტო ასეულში რიგით მებრძოლად (ბრძ. N83, 16 დეკემბერი 1992 წ. ბრძ. N98. 13 დეკემბერი 1992 წ. ბრძ. N418 04.03.02 წ.).

ახალაია ზაზა აკაკის ძე გამოირჩეოდა როგორც დისციპლინირებული, უშიშარი მებრძოლი. მონაწილეობას ღებულობდა ასეულის მიერ წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში.

1992 წლის 3 დეკემბერს, სოფ. ათარა სომხურთან მტრის ერთ-ერთი შემოტევისას ახალაია ზაზა გმირულად დაიღუპა (გარდაცვალების ცნობა III- N426517).

დაღუპვის შემდეგ ახალაია ზაზა აკაკის ძე დაჯილდოებულ იქნა მედლით "მხედრული მამაცობისათვის."



ბადრი ანჯაფარიძე

ბადრი ანჯაფარიძე დაიბადა 1961 წლის 30 ოქტომბერს სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში.

ბადრი სწავლობდა ჯერ შრომის, ხოლო შემდეგ ქ. სოხუმის მე-11 საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში.

სავალდებულო სამხედრო სამსახური ამურის ოლქში მოიხადა, ტანკისტი იყო.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩაირიცხა სოხუმის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1987 წელს მუშაობა დაიწყო ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიაში, პირველი საშუალო სკოლის მასწავლებლად.

1990 წელს ბადრი ანჯაფარიძე მცირე საწარმოს ხელმძღვანელობდა.

ბადრის ნაღვლიანი, განაწამები დღეები დაუდგა. ერთადერთი ულამაზესი და – მანანა სამუდამოდ მიაბარა მიწას. მის სათაყვანო აფხაზეთს ქარცეცხლიანი დღეები გაუთენდა.

ბადრი ანჯაფარიძე მოხალისედ წავიდა საბრძოლველად. 1992 წელს იბრძოდა „შრომის მოხალისეთა ჯგუფში“.

ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდა. 1993 წელს გადმოვიდა ქ. სოხუმის კომენდატურაში.

1993 წლის ივლისი საბედისწერო გამოდგა ბადრისთვის. 4 ივლისს მტრის გააფთრებული შემოტევის დროს 9-კაციანი ჯგუფი გმირულად დაეცა.

დასაფლავებულია გულრიფშის რაიონის სოფ. დრანდაში.

მსუბუქი იყოს მიწა, სადაც შენ განისვენებ, ბადრი!



პატა აბშილავა

ჩაირიცხა ბატალიონში 1992 წლის 18 დეკემბერს. 1993 წლის 22 იანვარს აფხაზმა სეპარატისტებმა განახორციელეს საარტილერიო ცეცხლდაშენა ბატალიონის საბრძოლო პოზიციებზე, მდინარე გუმისთის მისადგომებთან. დაჭრილთა საავადმყოფოში გადასაყვანად საველე შტაბში გაიგზავნა რიგითი პატა აბშილავა შტაბის შენობასთან მისვლის მომენტში მანქანის წინ დაეცა ჭურვი, რომლის აფეთქების შედეგად ის სასიკვდილოდ დაიჭრა და ქალაქის N1 საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.



ლევან აბაშიძე

ლევან გიორგის ძე აბაშიძე დაიბადა 1963 წლის 22 მაისს, თბილისში, მეცნიერ მუშაკთა ოჯახში. იგი იზრდებოდა ისეთ გარემოში, სადაც ზოგად-ადამიანურ კულტურულ ფასეულობებს არასოდეს დაჰკარგვიათ თავიანთი მნიშვნელობა და მათი გულისათვის თავგანწირვაც კი ჩვეულებრივ ზნეობრივ ნორმად ითვლებოდა. ლევანმა 1980 წელს, თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე, გამოჩენილი ქართველი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში. იგი ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც მიანდეს თბილისის კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ლევანის მიერ განსახიერებული მთავარი გმირის როლი ტ. უაილდერის პიესაში „ჩვენი პატარა ქალაქი“.

ლევან აბაშიძის კინოდებიუტი შედგა ლ. ლოლობერიძის ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, სადაც 14 წლის ლევანმა მთავარი გმირის ვაჟიშვილის როლი ითამაშა. სკოლაში სწავლის პერიოდში მან მონაწილეობა მიიღო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის, ე. შენგელაიას სტუდენტების საკუთროსო ფილმებში (ტ. კოტეტიშვილის „გმირი“, დ. ჯანელიძის „1+1“). პირველი მთავარი როლი ეკრანზე ლევან აბაშიძემ განახორციელა 1984 წელს გ. შენგელაიას ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, რომელმაც ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ერთ-ერთი მთავარი პრიზი „ვერცხლის დათვი“ დაიმსახურა. მას შემდეგ ლევან აბაშიძემ ოცამდე კინოფილმში მიიღო მონაწილეობა და არაერთი უაღრესად საინტერესო და შთამბეჭდავი მხატვრული სახე შექმნა, მათ შორის აღსანიშნავია მის მიერ განსახიერებული როლები ა. რეხვიაშვილის ფილმში „საფეხური“ (1975 წ.), ტ. კოტეტიშვილის ფილმებში: „ანემია“ (1988 წ. კიევის საერთაშორისო კინოფესტივალზე ლევან აბაშიძე საუკეთესო აქტიორული ნამუშევრისათვის დაჯილდოვდა მთავარი პრიზით), „ქალაქის ცხოვრება“ (1990 წ., ჰოლანდია) და „იასამანი“ (1990 წ., ჰოლანდია), ლ. ლოლობერიძის ფილმში „ორომტრიალი“ (1986 წ.), გ. მგელაძის ფილმში „ფესვები“ (1987 წ.), ტ.

კალატოზივილის ფილმში „სკაპენის ოინები“ (1985 წ.), კაიდანოვსკის ფილმში „სტუმარი“ (ლენფილმი, 1987 წ.), გ. ჩირაძის ფილმში „ზვარაკი“ (1991 წ.), გ. ლევანოვ-თუმანიშვილის ფილმში „ჰედიანი“ (1992 წ., ინგლის-საქართველოს ერთობლივი ფილმი, რომელშიც უკვე გარდაცვალების შემდეგ დაიმსახურა პირველი პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, საქართველოს კინოაკადემიის ფესტივალზე „ნატო“, 1977 წ.)

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ლევან აბაშიძე უაღრესად ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა. 1992 წლის დამდეგიდან მას ერთდროულად სამ მხატვრულ ფილმში იღებდნენ მთავარ როლებში. დღითიდღე კიდევ უფრო მეტად იხვეწებოდა მისი ქეშმარიტი ხელოვნება. უდროოდ შეწყვეტილი კადრები, დაუმთავრებელი კინომასალა ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. დაუმთავრებელი დარჩა გიო მგელაძის ცნობილი ფილმი „არა მეგობარო“, რომელიც რეჟისორმა მისი გარდაცვალების შემდეგ სუბიექტური კამერის საშუალებით დაამთავრა. ამ ფილმში ლევანს 1993 წელს კიევის საერთაშორისო ახალგაზრდულ კინოფესტივალზე, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პირველი პრემია მიენიჭა, ხოლო ობერ ჰაუზენის საერთაშორისო კინოფესტივალზე მან ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. ლევან აბაშიძე თავისი ნიჭით, ტემპერამენტით, სიყვარულის უნართა და კაცური სინდისით ნათელი ცხოვრების განსახიერებას წარმოადგენდა. როდესაც აფხაზეთის ავზედითი ტრაგედია დატრიალდა, იგი მისთვის დამახასიათებელი დაუოკებლობით მოხალისედ გაიჭრა ბრძოლის ველზე საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლების დასაცავად.

ლევან აბაშიძე თავის მეგობარ თანამებრძოლებთან ერთად 5 სექტემბერს ღამით აფხაზეთში გაემგზავრა, 6-ში დილით სოხუმში ჩავიდა, ხოლო 7 სექტემბერს ეშერის მისადგომებთან დაიღუპა.

ქართულმა საზოგადოებრიობამ დიდი გულისტკივილით გამოიგლოვა თავისი საყვარელი მსახიობი, რომელსაც ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე ჰქონდა მოხვეჭილი საყოველთაო პოპულარობა თავისი მაღალი პროფესიონალიზმის, დახვეწილი ოსტატობისა და, ამასთანავე, უაღრესად ვაჟკაცური ბუნებისა და გარეგნობის წყალობით.

ლევან აბაშიძე დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

გარდაცვალების შემდეგ მას საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა (1993 წ.), 2011 წელს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის კულტურული ინიციატივების ფონდმა „ნატომ“ და ინტერნეტჟურნალმა „კინო IUMIERE“ დააწესა ბრიზი „ვერცხლის კადრი“ ლევან აბაშიძის გამოსახულებით და პრიზის მიკუთვნების დამადასტურებელი დიპლომი.

მამია ალასანია



1943 წლის 6 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, გიორგობის დღეს დაიბადა მამია ალასანია. იმავე წელს ალასანიების ოჯახი ზუგდიდში გადასახლდა. მამია ალასანიამ 1961 წელს ზუგდიდის N1 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა.

მან სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ისევ ზუგდიდში დაბრუნდა. იგი ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა ზუგდიდის ენგურქალაქდკომბინატში ინჟინრად, ვიდრე არ გაემგზავრა მოსკოვში 1967 წელს, რათა მოსკოვის უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლის სტუდენტი გამხდარიყო. 1970 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, მამია ალასანია მუშაობას შეუდგა ბათუმში აჭარის უშიშროების კომიტეტის სისტემაში. ბათუმში მუშაობის პერიოდში მამია ალასანია დაოჯახდა.

მამია ალასანია 1974 წლიდან სამუშაოდ თბილისში უშიშროების კომიტეტის ცენტრალურ აპარატში გადავიდა და სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა, მოგვიანებით კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უშიშროების კომიტეტის უფროსი გახდა.

1980-81 წლებში ორჯერ, 6 და 9 თვით, ოპერატიული დავალებით მივლინებულ იქნა ავღანეთში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ხდება ეროვნული უშიშროების სამსახურის ჩამოყალიბება საინფორმაციო სადაზღვევრო ბიუროდ, რომლის შექმნისთანავე მამია ალასანია ბიუროს უფროსის მოადგილედ დაინიშნა.

1992-93 წლებში იგი სპეციალური დავალებით, კონკრეტულად კი სამოქალაქო დაპირისპირების აღმოფხვრის მიზნით, გაგზავნეს სამეგრელოს რეგიონში.

შემდეგ იყო ომი აფხაზეთში. მამია ალასანია ამ ომში გმირულად იბრძოდა და გმირულად შესწირა საკუთარი სიცოცხლე ქვეყნის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. 1993 წლის 27 სექტემბერს, ქალაქ სოხუმში სეპარატისტებმა საქართველოს უშიშროების პოლკოვნიკი ორმოცდაათი წლის მამია ალასანია მოკლეს.

საქართველოს გმირის მამია ალასანიას საფლავი დღემდე უცნობია. მაგრამ, ცნობილია ერთი რამ – საქართველოს ჰყავდა ერთგული შვილი, რომელიც ქვეყნისთვის უმძიმეს წუთებში იმყოფებოდა იქ, სადაც უნდა ყოფილიყო მამია ალასანიასდარი პიროვნება.

ზაალ დიმიტრის ძე ფირცხალაიშვილი



დაიბადა 1955 წლის 7 ნოემბერს სოფ. ჭყონაგორაში.

იბრძოდა გაგრის ბატალიონში , დაიჭრა სოფ.შრომაში 1993 წლის 9 ივლისს
შევარდნაძის დაცვის დროს. მიღებული ჭრილობიდან გარდაიცვალა 11 ივლისს.
დაკრძალულია სოფ. ჭყონაგორაში. მიღებული აქვს მე-3 ხარისხის ვახტანგ გორგასლის
სახელობის ორდენი.

იყო დაოჯახებული (მეუღლე გარდაიცვალა), ჰყავს დაოჯახებული ქალ-ვაჟი.



გიორგი ნადირაშვილი და ლევან აბაშიძე მეგობრები იყვნენ წავიდნენ სამშობლოს დასაცავად აფხაზეთში. დაიღუპნენ გმირის სიკვდილით 1992 7 სექტემბერს ეშერის ბრძოლაში. ნათელში იყვნენ მათი უკვდავი სულები.



ქვანია ბადრი ნოდარის ძე. დაბადებული 1963 25 სექტემბერს გულრიფში.
ცოლშვილიანი. ავღანეთის ბატალიონი. თავდადებით იბრძოდა საქართველოს
ტერიტორიული მთლიანობისათვის. დაიღუპა 1992 3 ნოემბერს შრომასთან
მოწინააღმდეგის შემოტევის დროს გმირის სიკვდილით. გადმოსვენებული არ არის.
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.



ჯაფარიძე ნუგზარი ვერგენის ძე. დაბადებული 1965 29 მარტს მესტიაში. მოხალისე. ცოლშვილიანი. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაიღუპა გმირის სიკვდილით 1993 27 სექტემბერს სოხუმში სოფ. ბირცხასთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგალის პირველი ხარისხის ორდენით. დაკრძალულია მესტიაში.



ტყემელაშვილი ლაშა მეთოდეს ძე. დაბადებული 1968 20 ოქტომბერს თბილისში. უცოლშვილო. სტუდენტი. საქართველოს მხედრიონის მოხალისე. დაიღუპა პირველივე ბრძოლაში ნუგზარ ჯაფარიძესთან ერთად სოხუმის დაცვისას 1993 22 სექტემბერს სოფელ ბირცხაში დაზვერვაზე წასულ რაზმთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. დაკრძალულია ვაკის სამოქალაქო სასაფლაოზე.



მიშველაძე არჩილ

მიშველაძე არჩილ რევაზის ძე. დაბადებული 1973 26 აგვისტოს თბილისში. სტუდენტი. ცოლშვილიანი. მონაწილეობდა საქარელოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მოხალისე. დაიღუპა სოხუმში უკრაინელი მეომრის გამოყვანის დროს 1993 27 სექტემბერს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს სამმო სასაფლაოზე.



გერასიმენკო სერგეი პეტრეს ძე. დაბადებული 1958 27 სექტემბერს. საქართველოს მხედრიონის წევრი. ცოლშვილიანი. იბრძოდა თავდადებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. 1993 26 სექტემბერს გმირის სიკვდილით დაიღუპა სოხუმის დაცვის დროს. უკვე დაჭრილმა გადაიხვია თავი და როდესაც გაისმა ბრძანება სიმაღლის აღების შესახებ სადაც მტერი შევიდა ანძასთან მაინც გადაეშვა ბრძოლაში. დაკრძალულია თბილისში პეტრე ჰავლეს სასაფლაოზე. დაჯილდოებული იყო სიცოცხლეშივე ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.



წარმოშობით უკრაინელი ნიკოლაი გერაშჩენკო რუსტოვიდან ძმის სისხლის ასაღებად ჩამოვიდა აფხაზეთში, მისი ძმა სოხუმელი იყო და ომის დაწყების დღიდან ქართველებთან ერთად იბრძოდა. ორივე ძმის დაღუპვის შემდეგ მათი ადგილი ქართულ ჯარში მათმა დამ დაიკავა. ეს მისი უკანასკნელი ფოტოა დაღუპვამდე რამოდენიმე წუთით ადრე. დაიღუპა



ჟიული

შარტავა

საქართველოს ეროვნული გმირი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა სენაკში 1944 წლის 7 მარტს. ოქროს მედალზე დაამთავრა სენაკის მეორე საჯარო სკოლა, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა ინჟინრად; შემდეგ იყო კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე თბილისსა და რუსთავში. 1980-იან წლებში იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წევრი. 1992 წ. არჩეული იყო დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარ დეპუტატად.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 18 ივლისს, რუსულ და აფხაზურ პოლიტიკურ წრეებში ფართო კავშირების მქონე ჟიული შარტავა ინიშნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. აფხაზეთის ომის დროს არ დატოვა სოხუმი, ბოლომდე იცავდა მას სეპარატისტებისაგან.

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ჟიული შარტავა დახვრიტეს..

ნახეთ ვიდეომასალა

რამდენიმე დღით ადრე სატელეფონო საუბარში თავისი განცდები მეგობარს გაუზიარა: „ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი.“ მოლაპარაკების შემდეგ მისი ცხედარი ქართულ მხარეს გადაეცა. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე. მინიჭებული აქვს „დიდგორისა“ და „ვახტანგ გორგასლის“ პირველი ხარისხის ორდენები, 2004 წელს კი ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.



16 სექტემბერს, გამთენიისას, რუსეთი მორიგ ღალატს პირველი ტყვიებით ამცნობს სოხუმს. რუსული საინფორმაციო წყაროებით ვრცელდება ცნობა, რომ ქალაქს

უსწრაფესად აიღებენ. ქრება "მითი", თითქოს სოხუმი ისეა გამაგრებული, რომ ჩიტიც ვერ შეფრინდება.

ქალაქში პანიკა მატულობს. მოსახლეობა პასუხს ითხოვს კითხვაზე, დატოვონ თუ არა ქალაქი! 27 სექტემბრამდე ამ კითხვის პასუხი არ არსებობს.

1993 წლის 27 სექტემბრის შტურმზე მისი უშუალო მონაწილე, მაშინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მწერალი აკაკი გასვიანი გვესაუბრება.

კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს, თუ როგორ იცავდნენ ჩასაბარებლად განწირულ ქალაქს მისი უკანასკნელი მეციხოვნენი, არა მარტო სოხუმელი, არამედ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული მეომრები, უშიშარი "ავღანელები", დაცვის ბიჭები. გუმისთის მისადგომებთან კი 12 დღის განმავლობაში (ყოველგვარი შეცვლის გარეშე) ფაქტობრივად შიშველი ხელებით აჩერებდნენ მომხდურს, რათა ზურგს უკან მდგომ ოჯახებს ქალაქიდან გახიზვნის საშუალება ჰქონოდა.

ჩვენ თვალწინ წამოიმართება ჟიული შარტავას პიროვნული სიდიადე, რომელიც უიმედო დაპირებებისა და ღალატის დროსაც ინარჩუნებს გარეგნულ სიმშვიდეს და XX საუკუნის მიწურულს გმირობის მაგალითს კიდევ ერთხელ ჩაწერს საქართველოს ისტორიაში.

მზაკვრული ზავი

აკაკი გასვიანი: "ქართულმა მხარემ კარგად იცოდა, რომ რუსეთის მზაკვრული ზავის ნდობა არ შეიძლებოდა (3 სექტემბრის პრეცედენტი ხომ გვქონდა). ჟიული შარტავას ხელმძღვანელობით, თადარიგი ადრიდანვე დავიჭირეთ. ჯერ კიდევ 9 სექტემბერს, მან, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ, ძალოვანი სტრუქტურების თათბირზე გამომიძახა და მიბრძანა: – დღეიდან, ძალოვანი სტრუქტურების კურირებას თქვენ გასწევთ. სოხუმის დასაცავად მზად უნდა ვიყოთო. მისი ინიციატივით, კონსპირაციულად დავიწყეთ ქალაქის მე-2 და მე-3 თავდაცვითი რგოლების გამაგრება. სახელდახელოდ შევაგროვეთ ავტომატები. 16 სექტემბერს ბატონი ჟიული თბილისში გახლდათ. სასწრაფოდ ვაცნობე ქალაქში შექმნილი ვითარების შესახებ. სადამოსვე სოხუმში ჩამოფრინდა. დაიწყო სადღეღამისო მორიგეობა. მდგომარეობა დაძაბა ინფორმაციამ დივერსიის შესახებ, რის შედეგადაც გუმისთიდან თვითნებურად მოიხსნა ბატალიონები... ვისი ბრძანებით? – დღესაც უცნობია(!). შეიარაღებული ჯგუფები რკინიგზის სადგურთანაც გამოჩნდნენ, გარეუბნებში ქუჩის ბრძოლებიც დაიწყო.

მდგომარეობა გართულდა. ზედიზედ იკარგებოდა სოხუმის კვარტალები. მტერი თანდათან შემოდიოდა ქალაქში. 17 სექტემბერს, დილის 9 საათზე, მინისტრთა საბჭოში ედუარდ შევარდნაძე მოვიდა. მესაუბრა. წასვლისას მითხრა: "მინისტრთა საბჭომ უნდა იმუშაოს, დაცვას გავაძლიერებთ დამატებითი ძალებით". ათიოდე წუთში გურამ ჯანიაშვილის მეთაურობით, 32 "ავღანელი" მოვიდა დასახმარებლად და სართულებზე განაწილდნენ. ათის ნახევარზე ჟიული შარტავაც მოვიდა და 11 საათზე მინისტრთა საბჭოს სხდომა გვაქვს დანიშნული, გვითხრა. მალე შემოგვიერთდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლორიკ მარშანია, სამდივნოს თანამშრომლები: არიკ შენგელია, ვახტანგ გეგელაშვილი, მიშა კოკაია, მრეწველობის მინისტრი რაულ ეშბა, სოხუმის მერი გურამ გაბისკირია, პრესსამსახურის უფროსი საშა ბერულავა.

დაბომბვა კვლავ განახლდა. გუმისთაზე ფრონტის ხაზი გაირღვა და მოწინააღმდეგემ თავისუფლად შემოაბიჯა ქალაქში. გზად ცეცხლს უკიდებდნენ ქართველთა სახლებს, ხვრეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ქალაქში მხოლოდ მინისტრთა საბჭო და კომენდატურა ფუნქციონირებდა... ტელეფონის ზარზე, დაეტოვებინა თუ არა ქალაქი მშვიდობიან მოსახლეობას, უკვე კატეგორიულად ვპასუხობდით – სასწრაფოდ გადით ქალაქიდან! ქართველი მეომრები თავგანწირულად იბრძოდნენ, მაგრამ ურიცხვ მტერთან გამკლავება გაჭირდა. სამხედრო ოპერაციას პროფესიონალის ხელი ეტყობოდა, კარგად იყვნენ გაწვრთნილი ქუჩის ბრძოლებისთვის (ომის დამთავრების შემდეგ გახდება ცნობილი, რომ სოხუმის შტურმით აღებას რუსი პოლკოვნიკი ანატოლი სიდორენკო ხელმძღვანელობდა)".

იერიში... მთავრობის სახლზე

"დღის 12 საათია. ინტენსიური დაბომბვებისგან ყველაფერი ირყევა. ისვრიან სხვადასხვა ტიპის ნაღმსატყორცნიდან: დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან, ფუნიკულორიდან, "აიდგილარას" შენობიდან... ბრძოლა ორმოც წუთს გრძელდება.

დღის 1-ელ საათზე, როდესაც საბრძოლო მარაგი გვეწურებოდა, კიდევ ერთხელ ვითხოვეთ, რომ ჩვენთვის "ცოცხალი კორიდორის" შესაქმნელად ორი ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი მაინც გამოგზავნონ. ვრეკავდით მთავარსარდალთან, თავდაცვისა და უშიშროების მინისტრებთან, ქალაქის კომენდანტთან, №23 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მეთაურთან... გვპირდებოდნენ: "აი, ახლა გამოვაგზავნით, აი, ახლა... ბრძანება გაცემულია... უკვე წამოვიდნენ"... მაგრამ მამველი ძალა არ ჩანდა(?!). შტურმი ძლიერდება, მინისტრთა საბჭოს შენობის რამდენიმე სართულს ცეცხლი უჩნდება... აშკარა ხდება, რომ მტერს ვეღარ მოვერევით, ახლა უსწრაფესი მოქმედებაა საჭირო, რომ ტყვედ არ ჩავბარდეთ".

“გავდივართ!”

...სანაპირო ქუჩიდან მიმავალ ადამიანთა ნაკადს ჟიული შარტავა თავისი კაბინეტის ფანჯრებიდან ადევნებს თვალყურს. სოხუმის დასავლეთ ნაწილში – შუქურაში, ზღვისპირა ზოლსა და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ათასობით ადამიანი აღმოდებული ქალაქიდან გასვლას შეძლებს (შემდეგ კი სვანეთის უღელტეხილს გაუყვება).

როცა ადამიანთა ნაკადი შეწყდება, აფხაზეთის მინისტრთა საბჭო თავის ფუნქციას ამოწურულად მიიჩნევს. მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს ბრძანებას ჟიული შარტავა: “გავდივართ!”

აკაკი გასვიანი: “ჟიული შარტავასა და გურამ ჯანიაშვილის ბრძანებით გადაწყდა მცირე, 2-3-კაციან ჯგუფებად გავსულიყავით და ბოლომდე წინააღმდეგობა გაგვეწია მტრისთვის. კიბეზე დავეშვით. ჟიული შარტავა, რაულ ეშბა, გურამ გაბისკირია, ჯუმბერ ბეთიშვილი, იური გავა და სხვები ქუჩისკენ ჩამავალ კიბესთან შეჩერდნენ. ჟიული შარტავას თან ახლდნენ დაცვის ბიჭები: ავთანდილ დეკანოიძე, მამია ალასანია, ბადრი ბაღათურია, თენგიზ აბსანძე, ელგუჯა შარტავა და მერაბ კვირიკაძე.

ჩემი მანქანისკენ ვიხედები, იქნებ შევძლო იქამდე მისვლა... და ჟიული შარტავას გაყვანა. სანამ გამოსავალს ვეძებ, ტყვიის ზუზუნნი მომესმა. ცხადლივ ვხედავ ტყვიის ირგვლივ წაგრძელებულ ტალღებს, უფლის ნებით, თავის გაწევას ვასწრებ... ეტყობა, სნაიპერმა ჩემს სვანურ ქუდს დაუმიზნა... ერთხელ თაღს ამოვეფარე, მაგრამ მეორე გასროლაზე მეომრების ჯგუფი მომაწვა და უკვე ღია სამიზნედ ვიქეცი. იქ დარჩენა არ შეიძლებოდა. ჩემს მცველს, ზურაბ სუბელიანს დავუწყე ძებნა, რამდენიმე ტყვია ისევ ამცდა. ამ დროს გურამ კვარაცხელიამ ჩამავლო ხელი, – ხომ ხედავ, შენ გესვრიან, კედლისკენ გავიდეთო. სკვერში გადავინაცვლეთ, იქ უარეს საფრთხეში აღმოვჩნდით. ფრუნზეს ქუჩიდან ტყვიამფრქვევები დაგვიშინეს. გურამი მიწაზე გაწვა, მე ხეებს ამოვეფარე და ნახტომ-ნახტომით მივალწიე ჭავჭავაძის ქუჩის ტროტუარამდე. ეგონათ, დაგვხოცეს და სროლა შეწყვიტეს. ქუჩის მესამედი გვექონდა გადასალახი და სროლა ისევ განახლდა. ჯვარედინ ცეცხლში მოვექეცი. ცოცხლად ჩემს აყვანას ვერ შეძლებენ, ხელყუმბარა და ბოლო ტყვია მქონდა გადანახული. ფრუნზეს ქუჩაზე, სამხატვრო სკოლასთან შემომიერთდნენ “ავღანელები”. იქ ათი წუთი დავყოვნდით. ავღანელთა ბატალიონის უფროსმა გურამ ჯანიაშვილმა დამამშვიდა, ჟიული შარტავა თავისი ჯგუფით ბოტანიკური ბაღის წინ გამავალ ქუჩას გაუყვაო. ვიფიქრე, როგორც დათქმული გვექონდა, კომენდატურას (წერეთლის ქუჩაზე, უნივერსიტეტის შენობაში) მიაშურეს-მეთქი. თუმცა, კომენდატურაში 2-3 კაციღა დამხვდა, შარტავა მათ შორის არ ყოფილა. წითელი ხიდისკენ წავედი, იქ ბრძოლები არ ყოფილა, გორაკებზე

შემდგარი მაღლივი შენობებიდან მტერი გამვლელებს უშენდა ცეცხლს. იქ შევხვდი ქალაქის კომენდანტს მერაბ გამზარდიას, მის მოადგილეს – ნუგზარ ქოიავას და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს კოტე ზაქარაიას. მტერს შეუმჩნეველი არ დავრჩენილვართ, სროლა ატეხეს. ჭურვების თანხლებით პატარა ბაზრამდე მივალწიეთ და რუსეთის საჰაერო თავდაცვის ობიექტის ჭიშკართან აღმოვჩნდით: "არ გაბედოთ შემოსვლა, თორემ გესვრით!" – ასეთი აგრესიული იყვნენ რუსი სამხედროები ჩვენ მიმართ. თავიანთ მშობლიურ ენაზე შევუკურთხე და იქაურობას გავეცალეთ. გენერალ ვალერი ქვარაიას მძიმე ტექნიკა ტურბაზასთან იდგა. ავუხსენი მდგომარეობა – თუნდაც ერთი ტანკი მოგვაშველეთ "ცოცხალი კორიდორის" შესაქმნელად-მეთქი. არც ამას დავჯერდი. თბილისის გზატკეცილით ავუპერაში, სამხედრო შტაბში ჩავედი. ავუხსენი, მთავრობის სახლს უჭირს, იგი ფაქტობრივად ალყაშია და იქიდან გამოსასვლელად მძიმე ტექნიკაა საჭირო-მეთქი. რამეს ვილონებთო – აღმითქვეს.

მიუხედავად შეპირებებისა, ჟიული შარტავას გამოსახსნელად მინისტრთა საბჭოს შენობამდე მაშველი ძალა არ მისულა(?!).

ბოლო "ინსტანცია" ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. იგი გულრიფში იყო. ვითარების გაცნობა არ გამჭირვებია, ყველაფერი იცოდა. საუბრის ბოლოს მითხრა: "ამჯერადაც გვიღალატეს რუსმა სამხედროებმა. ჩვენი დსთ-ში შესვლა არ აღმოჩნდა საკმარისი... ველაპარაკე ბორის პასტუხოვს, შემპირდა, ჟიული შარტავას და სხვებს ალყიდან საერთაშორისო წითელი ჯვრის მანქანებით გამოგაყვანინებთო"... გული მაინც ცუდს მიგრძნობდა.

საბედისწერო შემახილი

როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, გურამ ჯანიაშვილის მეომრებმა "ცოცხალი კორიდორი" გააკეთეს.

ძლიერი აფეთქების ხმამ იქაურობა რომ შეაზანზარა, შემახილი გაისმა – ჩახოცეს ბიჭებიო. შემახილი საბედისწერო გამოდგა. ორი "ავღანელი" სასიკვდილოდ დაიჭრა... ეგონათ, "ცოცხალი კორიდორი" აღარ არსებობდა და ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა: მოულოდნელად ჟიული შარტავამ გეზი ისევ მინისტრთა საბჭოს შენობისკენ აიღო. გადაწყდა, ებრძოლათ ბოლომდე, ვიდრე ტყვიები ეყოფოდათ. "ავღანელებს" ელგუჯა გორდაძე მეთაურობდა. დაცვის ბიჭებთან ერთად, ხელიდან ავტომატი არ გაუგდია ქალაქის მერს – გურამ გაბისკირიას. შეურიგებელი ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა. მტერი პირდაპირ შარტავას კაბინეტს ესროდა, პირველად ხანძარი მის ოთახს მოედო... წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა...

ჟიული შარტავა კრიტიკულ სიტუაციაშიც ამშვიდებდა მეომრებს, აფხაზებთან მოლაპარაკებას გავმართავო...

უცნობმა ყაზარდოელმა ოპერატორმა ვიდეოფირზე ის კადრი აღბეჭდა, როდესაც ჯალათების წინ ჟიული შარტავა დგას, გურამ გაბისკირიასთან, რაულ ეშბასთან, "ავღანელებთან" ერთად. – არასოდეს, სანამ ცოცხალი ვარ! – პასუხობს გურამ გაბისკირია მოძალადეს (ოღონდ რა კითხვაზე – ჩვენთვის უცნობია). კადრიდან ჩანს ერთ მუშტად შეკრული "შარტავას რაზმის" შეუპოვრობა. ისინი უშიშრად მიაბიჯებენ... ემაფოტისკენ!

"შევარდნამემ აფხაზეთი დათმო..."

"უცნაურ ომს" უწოდებდა ბატონი ჟიული შარტავა აფხაზეთის ომს, რომელმაც უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა.

აფხაზეთის ომს ჰქონდა 3 სექტემბრის მზაკვრული "სამშვიდობო" ხელშეკრულება, რომელიც აფხაზთა მხრიდან დაირღვა და ცეცხლი განახლდა, რის შედეგად დაიკარგა გაგრა!

აფხაზეთის ომს... არ უნდა ჰქონოდა 27 ივლისის ზავი, რომელმაც ქართული მხარის მძიმე ტექნიკის – ასეული კილომეტრით, აფხაზურის კი – რამდენიმე კილომეტრით დაშორება დააკანონა. ამავე ზავით, დანაშაული იყო აგრეთვე გუმისთაზე ბატალიონების მოხსნა. როდესაც სროლები განახლდა, სოხუმში დარჩენილი ის მეომრები, რომელთაც იარაღი გადამალეს, ორმაგი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ: მათ საკუთარი ოჯახებიც უნდა დაეცვათ და მომხდურიც შეეჩერებინათ გუმისთასთან, რამაც ჯარისკაცებში დაბნეულობა გამოიწვია, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები საბოლოოდ სოხუმის "თვითმკვლელობის" წინა პირობად იქცა!.. დაიკარგა არა მარტო სოხუმი და გაგრა, არამედ მთლიანად აფხაზეთი.

ისმის კითხვა – ჰქონდა თუ არა ქვეყნის მეთაურს ედუარდ შევარდნამეს ინფორმაცია აფხაზური მხრიდან მოსალოდნელი ცეცხლის განახლების შესახებ?

საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მაშინდელმა უფროსმა ირაკლი ბათიაშვილმა ამ კითხვაზე ასე უპასუხა: "საქართველოს უშიშროებას ჰქონდა ყველა საჭირო ინფორმაცია მთელი ომის განმავლობაში აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ეს მასალები აუცილებლად დაიდებოდა მეთაურის მაგიდაზე. მთავარსარდალი ვერ აკონტროლებდა აფხაზეთში შექმნილ ქაოსურ სიტუაციას, მოწოდებულ ინფორმაციაზე

ადეკვატურად არ რეაგირებდა. ასეთი სვლებით მთავარსარდალმა აფხაზეთი დათმო, უშიშროების მასალებს კი მისივე სამუშაო მაგიდაზე დაედო საიდუმლო გრიფი. მეთაურისგან ლიმიტირებული მასალები პროკურატურაში დღესაც საიდუმლოდ ინახება”.

პასუხგაუცემელ კითხვებს შორისაა, ყველაზე მთავარი, – რატომ ვერ მიაშველა განწირულ ქალაქს მთავარსარდლობამ კოდორზე შეჩერებული საარმიო კორპუსები, რომელსაც სარდლობდნენ პაატა დათუაშვილი, თენგიზ კიტოვანი და დავით თევზაძე... რასთან გვაქვს საქმე, არაპროფესიონალიზმთან თუ შეგნებულ ღალატთან.

შეიძლება სოხუმის გადარჩენა?

აკაკი გასვიანი: “შეიძლება! ჩვენი მეომრები, მართალია, არ იყვნენ გაწვრთნილი სრული სამხედრო სტანდარტებით, მაგრამ მათ გამოავლინეს ჭეშმარიტად ქართული მეომრული სული, რამაც არაერთი ბრძოლა მოაგებინა (15-16 მარტს – ეშერის მისადგომებთან, ბრძოლა ტამიშთან, კამანთან).

12 დღის განმავლობაში ქართველმა მეომრებმა თავგანწირული ბრძოლებით არაქათი გამოაცალეს აფხაზი სეპარატისტების მიერ დაქირავებულ “ბოვეიკებს”. კიდევ ორი საათი რომ გაგრძელებულიყო ბრძოლა, მტერი უკუიქცეოდა (რუსმა სამხედროებმა ომის შემდეგ ეს თავად აღიარეს).

26 სექტემბერს, სამხედრო შტაბის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება რომ შესრულებულიყო და ქალაქის ცენტრი შესაბამისად ორი ბატალიონით გაემაგრებინათ, სოხუმი გადარჩებოდა”.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე

ქალბატონი ლია ჯალაღონია-შარტავა წლების შემდეგ იმ დღეს გაიხსენებს, როდესაც მეუღლეს უკანასკნელად დაემშვიდობა: “დილის 5 საათი იყო. ყურმილი ავიღე. სოხუმიდან რეკავდნენ. ტელეფონთან ჟიულის სთხოვდნენ. ყურმილი გადავეცი, თან ჟიულის შევცქეროდი... ის თანდათან გაფითრდა, სუნთქვა გაუხშირდა და მიუხედავად ამისა, მაინც საოცარი სიმშვიდით იძლეოდა პასუხებს, განკარგულებებს. შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა, – ლია, მგონი ისევ დაიწყო ომი აფხაზეთშიო. სასწრაფოდ ჩაიცვა და წავიდა სახელმწიფო მეთაურთან შესახვედრად, დღის სამის ნახევარზე დაბრუნდა. 3 საათზე სოხუმში უნდა გაფრენილიყო. მის სამუშაო ოთახში შევედი, უცებ მომიბრუნდა და მითხრა: “ლია, ცხოვრებაში ჩვენ ბევრი გაჭირვება გამოვცადეთ

და ახლა ესეც უნდა ვნახოთ". უკვე ვიცოდი, რომ სოხუმი იბომბებოდა. ოთახიდან გავედით. კართან ერთმანეთს დავემშვიდობეთ. გასვლის წინ მითხრა: "ჩემი საბუთები და სურათები დიპლომატშია, თუ რაიმე მოხდა, ღირსეულად მიტირეთ". ჟიული შარტავა მოახლოებულ აღსასრულს არა მარტო გრძნობდა, არამედ როგორც მწერალი ჯემალ აჯიაშვილი (ბატონი ჟიულის თანაკლასელი) იტყვის: "ამ ნაბიჯისთვის იგი მთელი თავისი ცხოვრება ემზადებოდა. არ შეიძლება ცხოვრების წესი, ჩვეულებები, ხასიათი, შეწირვისთვის მზადყოფნა ერთ დღეში დაიზადოს და ჩამოყალიბდეს.

საბედისწერო ნაბიჯი იყო? ამას ვერ ვიტყვი. ჟიული თავისი არსით, ცხოვრებით ერის დიდებულ წარსულს იყო შეძერწილი და მოიქცა ისე, როგორც მის პირსა და გენს ეკადრებოდა. ამ გზისაკენ დიდი წვალეებით, შრომით, ტრაგიზმით მიდიოდა".

27 სექტემბერს საქართველომ აფხაზეთი დაკარგა



ჯღარკავა მალხაზი

მედგრად იბრძოდი იარაღით ხელში,
იმ ტოლ ბიჭებში იყავ პირველი
აფხაზეთისთვის ომში დაეცი
გმირობა შენი--გასაკვირველი.

დაიბადა 1960 წლის 6 ივნისს ქ. სოხუმში.

როცა მშობლიურ კუთხეს გაუჭირდა მალხაზი იდგა, იქ სადაც გმირები დგანან სამშობლოს დასაცავად...

ჯღარკავა მალხაზი დავითის ძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში. პირნათლად ასრულებდა მეთაურის ბრძანებას და საბრძოლო დავალებებს.

განსაკუთრებით მან თავი გამოიჩინა 1993 წლის 15-16 მარტის შემოტევის დროს, მდ. გუმისთის მიდამოებთან მიმდინარე ბრზოლებისას.

ჯღარკავა მალხაზი დავითის ძე დაჯილდოებული იყო მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის" სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის.

1993 წლის 10 ივლისს ჯღარკავა მალხაზი დავითის ძე დაიღუპა მდ. გუმისთის მისადგომებთან მიმდინარე საბრძოლო ოპერაციის დროს. დასაფლავებულია სოხუმის რაიონის სოფ. იაშთახვაში.

33 წლის ვაჟკაცს კიდევ უნდა ეცხოვრა ერის, ქვეყნისა და ოჯახის სასიკეთოდ, მაგრამ არ დასცალდა.



www.gmirchi.ge მურთაზ ბენოს ძე პიტავა

ერთ-ერთი საომარი ოპერაციის დროს გმირულად დაიღუპა მდ. გუმისთის მისადგომებთან 1993 წლის 16 მარტს.

გუმისთის მისადგომებთან შექმნილი საბრძოლო ვითარების გამო 23-ე ბრიგადის ყველა შემადგენლობაში გამოცხადებული იყო განგაში მე-6 სატანკო ბატალიონის ყველა საბრძოლო მანქანის შემადგენლობა იმყოფებოდა იმ მონაკვეთზე რომელიც იმ დროს ეკავა მე-6 ბატალიონს.

საბრძოლო დავალების შესრულებისას საბრძოლო მანქანა გამოყვანილ იქნა მწყობრიდან მტრის მიერ, რის შედეგადაც მძღოლი და ჭურვის მიმწოდებელი გამოვიდნენ მანქანიდან. ამის შემდეგ, შემადგენლობის ორი წევრი პიტავა და ზარანდია მაინც ასრულებდნენ საბრძოლო დავალებას მანამ, სანამ საბრძოლო მანქანას ცეცხლი არ გაუჩნდა. მათ არ დატოვეს საბრძოლო მანქანა და შიგ ჩაიწვნენ.

მურთაზ პიტავა დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ. დასაფლავებულია გულრიფშის რ-ნის სასაფლაოზე.



კახა ფარსმანაშვილი

დაიბადა სოფელ დიდ მარტყოფში 1968 წლის 1 მაისს. მეოთხეკლასელ კახას მამა გარდაეცვალა, დარჩა ობოლი, დედის იმედად. პროფესიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, გაიწვიეს ჯარში – ვოლგოგრადში, სადაც მიენიჭა სერჟანტის წოდება. ჯარიდან დაბრუნებულმა სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. სწავლის პერიოდში მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში, სამხედრო პოლიციაში. ამ პერიოდში დაოჯახდა. შეეძინა ქალიშვილი. აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე ჩაება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში. იბრძოდა ლაბრაში, ოჩამჩირეში, სოხუმში, გაგრაში. ტვინის შერყევით ჩამოიყვანეს თბილისში, მკურნალობდა საავადმყოფოში და თვალის აფხაზეთისკენ ეჭირა. 1993 წლის 21 სექტემბერს აეროპორტიდან დარეკა – ომში მივდივარ და ჩემი ავტომატი მომიტანეთო. დედამ მიუტანა და თავად გადასცა იარაღი. სოხუმში ჩაფრენა არ დასცალდა – 22 სექტემბერს სეპარატისტებმა ჰაერში ააფეთქეს თვითმფრინავი. ჩახოცილ-ჩაფერფლილი მეომრების გვამები ზოგი იქვე დაასაფლავეს, ზოგიც – ჩამოასვენეს. კახაბერს პატარა გოგონა დარჩა – სოფიო. ვერ გაუძლო მამის სიკვდილს 2,5 წლის პატარა გულმა. მამაზე მოგონებებმა, მასზე დარდმა და წუხილმა დაასწებოვნა პატარა სოფიო. 5 წლის ასაკში ბავშვი გარდაიცვალა. თითქოს მამიკოს სულმა თავისთან იხმო პატარა ანგელოზი. კახა ფარსმანაშვილი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. დასაფლავებულია დიღომში, ძმათა სასაფლაოზე.



მამუკა შალვას ძე ჯელაძე

ჩაირიცხა მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მე-2 მოტომსროლელ ბატალიონში 1992 წლის 1 ნოემბერს (ბრძ. N71 04.12.1992 წ. რიგითი N383).

მიღებული აქვს მონაწილეობა ბატალიონის მიერ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მდინარე გუმისთის მისადგომებთან.

1993 წლის 24 აპრილს, სეპარატისტების მიერ განხორციელებული საარტილერიო-სანაღმსატყორცნო ცეცხლდაშენის დროს, ერთ-ერთი ჭურვის აფეთქების შედეგად, ჭურვის ნამსხვრევებით მიიღო სასიკვდილო ჭრილობები თავის არეში.

მარადიული იყოს მამუკა ჯელაძის ხსოვნა.



ვასილ ენვერის ძე ჯიშკარიანი



ჩარიცხული იყო 23-ე ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონის მე-2 ოცეულის მსროლელად (ბრძ. N4. 23.09.92 წ.).

ვ. ჯიშკარიანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბატალიონის მიერ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში, პირნათლად ასრულებდა მეთაურის ბრძანებებს. გამოირჩეოდა დამსახურებული ავტორიტეტით.

1993 წლის 16 მარტს სოხუმზე განხორციელებული ფართომასშტაბიანი შემოტევის დროს გამოიჩინა გმირობა და დაჯილდოებულ იქნა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (ორდენი N00057).

1993 წლის 2 აპრილს, მდ. გუმისთასთან საბრძოლო დავალების შესრულების დროს, სნაიპერის მიერ გასროლილი ტყვიით სასიკვდილოდ დაიჭრა.

ბრძოლის ველიდან გამოასვენეს თანამებრძოლებმა.

დასაფლავებულია სოფ. მაჭარაში.

მალხაზი დავითის ძე ჯღარკავა



აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში პირნათლად ასრულებდა მეთაურის ბრძანებას და საბრძოლო დავალებებს. განსაკუთრებით მან თავი გამოიჩინა 1993 წლის 15-16 მარტის შემოტევების დროს, მდ. გუმისთის მიდამოებთან მიმდინარე ბრძოლებისას.

ჯღარკავა მალხაზი დავითის ძე დაჯილდოვებული იყო მედლით «საბრძოლო დამსახურებისათვის» სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის.

1993 წლის 10 ივლისს ჯღარკავა მალხაზი დავითის ძე დაიღუპა მდ. გუმისთის მისადგომებთან მიმდინარე საბრძოლო ოპერაციის დროს. ბრძოლის ველიდან დაღუპული გამოიყვანეს მებრძოლებმა: ომარ გამახარიამ, ზადრი ბერულავამ და დავით გრიგალაშვილმა. დასაფლავებულია სოხუმის რაიონში სოფ. იაშთხვაში.

33 წლის ვაჟკაცს კიდევ დიდხანს უნდა ეცხოვრა ერის, ქვეყნისა და ოჯახის სასიკეთოდ, მაგრამ არ დასცალდა.

ახლობლებს მუდამ ეხსომებათ მალხაზ ჯღარკავა. მისი ბიჭი, მისი გვარის გამგრძელებელი, კი სასახელო ვაჟკაცი გაიზრდება.



მერაბ ლევანის ძე ჯიქია



ჩარიცხული იყო შსს გულრიფშის ასეულის ოცეულის მეთაურად 1992 წლის 7 ნოემბრიდან.

მერაბი პირნათლად ასრულებდა დავალებებს და თანამებრძოლებს შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1993 წლის 16-17 მარტის შემოტევების დროს მდ. გუმისთაზე მიმდინარე ბრძოლებისას.

დაიღუპა გუმისთაზე 1993 წლის 16 მარტს, ცნობილი საბრძოლო მოქმედებების დროს.



თომა ჯალაღონია



«თომა ჯალაღონია... თოლიკა, როგორც ვეძახოდით მეზობლები, მეგობრები, ახლობლები. თსუ ეკონომიკური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. 28 სექტემბერს გმირულად დაიღუპა სოხუმში.

ჯარში 1993 წლის აპრილში გაიწვიეს. სამხედრო ვალდებულებას საქართველოს სასაზღვრო ჯარებში იხდიდა. სექტემბრის დასაწყისში შეუძლოდ შეიქმნა,

გამოსაკვლევად სამხედრო ჰოსპიტალში დააწვინეს. ავადმყოფობამაც ვერ გაგაჩერა თომა, სოხუმის ამბის გაგებისთანავე იმავე ღამეს გაიპარა აეროპორტში და პირველივე თვითმფრინავს გაყვა სოხუმში. სხვანაირად ვერც მოიქცეოდი, იქ ხომ შენი მეგობრები – მეზობელი ბიჭები მიდიოდნენ და მათთან ერთად შენ უნდა ყოფილიყავი.

– 17 სექტემბერს სახლში დამირეკა, – ყველა თოლიკას დედა გულნარა ჯალაღონია. პატიება მთხოვა გაპარვის გამო, თანაც დამამშვიდა, კარგად ვარ, არ ინერვიულო, მაგრამ დედის გული სულ სხვას გრძნობდა. ისეთი ხმა ჰქონდა საუბრის დროს, ახლა რომ მახსენდება, ვგრძნობდი, მემშვიდობებოდა.

ეს იყო დედა-შვილის ბოლო საუბარი.

...სექტემბრის შუა რიცხვებში საქართველოს სასაზღვრო ჯარების ჯგუფი გაფრინდა სოხუმში. მათ შორის პოლკოვნიკი რეზო ჯალაღონია, თომას მამა.

– სოხუმში რომ დამინახა, გადაირია, რატომ ჩამოხვედიო, ახლა აქაც დამიწყე «კომანდობაო». მახსოვს თავისი სამხედრო აღჭურვილობა მაჩვენა. ეამაყებოდა – მტერს არაფერს დავაკლებო – იხსენებს მამა.

22 სექტემბრამდე ერთად ომობდნენ მამა-შვილი, მერე კი მათი გზები გაიყო – თოლიკა წითელ ხიდთან იბრძოდა, მამა – აეროპორტის მხარეზე. მერე შეიტყო თომას დაჭრის შესახებ, მაგრამ ვაჟიშვილის სიკვდილი ვერავინ გაუმხილა.

თოლიასავით ლამაზად გაფრინდა, და ჩვენ ცოცხლად დარჩენილებს დაგვიტოვა დარდი, ტკივილი და ოცნება – გაბრწყინებული და გამარჯვებული საქართველოს აღორძინება».